პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

წლიწადი მესამე

# კომუნისტი

[illegible]
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ. დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 24 მეორე სართული

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე
ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76
მდივანი 10—58

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 26
ტელეფ. 5—48

ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში 4.000.000 მ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—4 500.000 კოლექტ. ხელის მოწ. 3.000 000 მანეთი განცხადება 15 კაპ. ჩერვონცებით ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მანეთი ჩერვონცებით.

№ 200 შაბათი, 1 სექტემბერი, 1923 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 200,000 მან. № 200

## დ ღ ი უ რ ი

— საბერძნეთის საზღვარზე მოკლეს იტალიის სამხედრო მისიის წევრები. ამის გამო მუსოლინის მთავრობამ ულტიმატუმი გაუგზავნა საბერძნეთს, რომელშიც მოითხოვს დაკმაყოფილებას. ზოგიერთი მოთხოვნილებები მეტად შეურაცხმყოფელია საბერძნეთისათვის. მოელიან ომს.

— ტფილისში ჩამოვიდნენ ამერიკელი სენატორები.

— გამოცხადდა ბურიატების დამოუკიდებელი რესპუბლიკა.

— ჩინეთის მთავრობამ საფრანგეთს გაუგზავნა საპროტესტო ნოტა ჩინეთის სუვერენობის დარღვევის გამო.

დღევანდელი №-რი შეიცავს 6 გვერდს

# საქართველოს სოციალ-დემოკრატიის თვითლიკვიდაცია

მენშევიკური პარტიის სრულიად საქართველოს ყრილობამ, რომელიც გათავდა გუშინ, დიდის უმრავლესობით, მხოლოდ სამი ხმის წინააღმდეგ, დაშლილათ გამოაცხადა „საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია“.

ოდესღაც ძლიერი მენშევიკური სოციალ-დემოკრატიის ძველმა გვარდიამ, პარტიის 90 პროცენტმა, შემდგარმა ძველ რევოლიუციონერ მუშებისა და გლეხებისაგან, რომლებსაც არა ერთხელ, და ბევრს მათგანს რამოდენიმე წლობით, განუცდიათ ძველი რეჟიმისაგან დევნა და წვალება, უგემიათ ციხე-კატორღა,—სოციალ-დემოკრატიის ამ ძველმა გვარდიამ კატეგორიულათ დაჰგმო წარსული პარტიისა, ლიკვიდაცია უყო მის ორგანიზაციას საქართველოში, დადგა კომუნისტური ინტერნაციონალის დროშის ქვეშ და მით ოქტომბრის რევოლიუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის პლატფორმაზე. სოციალისტური რევოლიუციის მებრძოლთა არმიას მიემატა საქართველოში საკმაოთ ძლიერი რაზმი, რომელიც ამიერიდან ძმურათ გაინაწილებს მის ჭირსა და ლხინს, მომავალი ბრძოლების სიმწვავესა და უცილებელი საბოლოო გამარჯვების სიხარულს.

რას მოასწავებს ამ ძველი მებრძოლების საზეიმო გადაწყვეტილება, მათი ურყევი ნებისყოფა ახალ გზაზე დადგომის, უკვე დადგომა ამ გზაზე? მხოლოთ იმას, რომ თვით ძველი ინტერნაციონალური სოციალ-დემოკრატიის საუკეთესო ნაწილმაც შეიგნო, შეისისხლხორცა საუკეთესო საშუალებით: **საკუთარი პრაქტიკით, წარსულის მწარე გამოცდილებით და აწმყოსა და მომავლის გათვალისწინებით**, რომ სოციალისტური რევოლიუციის პერიოდში დამარცხდა ტრადიციული პრინციპები „დემოკრატიის“, რომელიც შეიქნა საფარი მშრომელთა უზომო ექსპლოატაციისა და მონათმფლობელობის, ხოლო გაიმარჯვა კომუნისტურმა თეორიამ და [illegible] პროლეტარიატის დიქტატურის გზამ.

საერთაშორისო სოციალ-დემოკრატია, კერძოთ მისი რუსეთის სექცია და მასთან საქართველოს მენშევიზმი შეება რუსეთის რევოლიუციაში—რომელმაც მისცა დასაწყისი სოციალისტურ გადატრიალებათა ეპოქას—როგორც შეიარაღებული წარსული, განვითარების ეგრედ წოდებული „ორგანიული“ ხანაში გამოჭედილი ფარით. და არ არის გასაკვირალი, რომ ამ იარაღმა ვერ უძლო რევოლიუციის ქარიშხალს, მის ცეცხლსა და ახვილს და ბლაგვი, სრულიათ გამოუსადეგარი გამოდგა მის კოლოსალურ ამოცანათა გადაჭრის დროს. სოციალისტურ რევოლიუციას დასჭირდა თავის გამარჯვებისთვის **პროლეტარული** იაკობინელები, ხერხემალ მაგარი ორგანიზაციით, ნათელი გზით, დიქტატურის გზით, და ფოლადისებური ნებისყოფით გამარჯვებისათვის და სწორეთ ეს თვისებები მან ჰპოვა იმ პარტიაში, რომელიც ერთად-ერთია შესაფერისი მუშათა რევოლიუციის ხანისთვის:—კომუნისტურ პარტიაში და მის საერთაშორისო გაერთიანებაში კომინტერნში.

ამას ხედავს თანდათან სოციალ-დემოკრატიის მიმდევარი მუშები და ეს დაინახა თავის საკუთარი გამოცდილების შედეგათ საქართველოს იმ მუშებმა და გლეხებმა, რომელნიც შეადგენდნენ აქაურ მენშევიკურ პარტიას. ამის შემდეგ კი უბრალო ჯიუტობა და არა პროლეტარული პოლიტიკა იქნებოდა ის, რომ მათ არ გაეკეთებიათ ყრილობაზე მიღებული დასკვნა წარსული დამარცხებული პოლიტიკის და ამ პოლიტიკის მატარებელი, გამტარებელი ორგანიზაციის ლიკვიდაციის შესახებ რადგან წარსულით „შეურაცხყოფილ“, პარტიული ჯინიანობით ჭკუაგაბრუებულ და დაბნელებულ პირებს შეუძლიათ გაყინვა ერთ წერტილზე, შეუძლიათ დადგომა შეუწყვეტელი ავანტიურის გზაზე, რომელიც მათ გარკვეულ დროსა და მომენტში მოუგრეხს და მოსტეხს კისერს—მაგრამ არა მასას, რომლის „ფილოსოფიის“ უკანასკნელი წყარო არის მისი პრაქტიკა, გამოცდილება.

ეს მოხდა დღეს საქართველოში.

რა იქნება მომავალში?

12.000 მუშა და გლეხი, რომლებმაც დაშლილათ გამოაცხადეს მენშევიკური პარტია, მონახავენ თავიანთ ადგილს ზოგი ახლავე, ზოგიც ახლო მომავალში იქ, სადაც მათ უფლება აქვთ პოზიციის დაკავების: ერთი მხრით—საბჭოთა სახელმწიფოებრივობის აღმშენებლობის ფართო ასპარეზზე, რომელიც მათ მიიღებს გულწრფელათ ხელგაშლილი და მეორე მხრით—კომპარტიაში.

მენშევიკების ეგრედ წოდებული „ცეკა“ კი, რომელიც შესდგება ორსამ გაბოროტებულ ერთეულისაგან და რომელიც თავის პრაქტიკაში ეყრდნობა ავანტიურისტულ პარტიზანებს, ეს „ცეკა“, მოკლებული ორგანიზაციულათ და პოლიტიკურათ მისგან ჩამოცლილ მასებს, მოკვდება თავისი ბუნებრივი სიკვდილით, რადგან თითო-ოროლა მათ შორის კიდევ „ილინკილებს“ დროებით, „კომიტეტის ბეჭდის“ ტარებასაც მოახერხებენ ჯიბით, მაგრამ ყოველი მათი ნაბიჯი მასის გარეშე და ფაქტიურათ მის წინააღმდეგ, იქნება სისხლის სამართლის ავანტიურა და როგორც ასეთი—აღმოფხვრილი.

# ტაციის და პროპაგანდის საკითხები საქართველოში

III.

### საბჭოთა—პარტიული სკოლები ჩვენში და მათი ამოცანები.

ჯერ კიდევ მე-11-ტე ყრილობამ რ. კ. პარტიისა მიაქცია დიდი ყურადღება მარქსისტული აღზრდის საქმის შესაფერათ დაყენებას და აღნიშნა მისი დიდი მნიშვნელობა. მე-12-ე ყრილობამ ხაზი გაუსვა მარქსისტული აღზრდის დაყენების აუცილებლობას განაპირა, ნაციონალურ, რესპუბლიკებში. ჩვენს პარტიაში დიდ [illegible]ილს მარქსისტული აღზრდა არ [illegible]ლია. ამის მიზეზები მრავალია. მუშას და გლეხს უწინ არ ჰქონდა [illegible] და მოცლა ამ საქმისთვის მოეკიდა ხელი. მაშინდელი პოლიტიკური პირობები (ნიკოლოზის, შემდეგ მენშევიკების რეჟიმი) არა თუ ხელს [illegible]და მათ ამისათვის, არამედ ხელს უშლიდა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ პირობები ძირიანათ შეიცვალა. შეიქმნა პოლიტიკური და ეკონომიური პირობები ამ მიზნის განხორციელებისათვის. მუშათა და გლეხთა მთავრობა ყოველრიგათ ხელს უწყობს საერთო და კერძოთ კი მარქსისტული განათლების გავრცელებას. ამ მიზნით მან შექმნა მთელი რიგი სპეციალური სკოლებისა, რომელთაც საბჭოთა პარტიული სკოლები ეწოდება.

ეს უკანასკნელნი სულ სხვადასხვა ტიპის არიან. პარტიის წევრი იწყებს ციალური მეცნიერებათა სწავლას პოლიტსკოლებიდან. ამის შემდეგ კი ათ მიყვება საბჭოთა პარტიული სკოლა პირველი საფეხურის, მეორე საფეხურის და ბოლოს კომუნისტური უნივერსიტეტი. პირველნი ამზადებენ საბჭოთა და პარტიულ აქტიურ მომუშავეებს სოფლის და ქალაქის საფაბრიკო-ქარხნო იაჩეიკებისათვის, მეორენი—თემებისა და საფაბრიკო-საქარხნო დაწესებულებათა ჯგუფებისათვის, მესამენი—მაზრებისა და ლაქის რაიონებისათვის და ასე მდეგ.

აქედან ცხადია, რომ საბჭოთა—პარტიულ სკოლებს დასახული აქვთ სპეციალური მიზნები: მარქსისტულათ აღზარდოს და მოამზადოს პარტიის წევრი, რომ მან მეტის ენერგიით და შეგნებით იმუშაოს საბჭოთა და პარტიულ აღმშენებლობაში. ეს მარქსისტული აღზრდა აძლევს საშვალებას ჩვენს მრავალ და მრავალ ამხანაგებს უფრო მეტად გაერკვეს მთელ რიგ რთულ პოლიტიკურ და ეკონომიურ საკითხებში. მთელი საბჭოთა ფედერაცია მოიფინა საბჭოთა-პარტიული სკოლებით. სად გინდათ რომ მას არ შეხვდეთ: არხანგელსკსა და ერევანში, მინსკსა და ვლადივოსტოკში. მათ აქვთ დათმობილი მეტად დიდი ადგილი დღეს. მაგრამ საბჭოთა-პარტიული სკოლების ისტორია არც ისე ხანგრძლივი იყო. მათ მხოლოდ რამოდენიმე წლის ისტორია აქვთ და ამიტომ გასაგებია, რომ ამ დარგში ბევრი დეფექტები იყო. ამდენხანს პროცესი ასეთი ტიპის სკოლების შექმნისა მიდიოდა სტიქიურათ. ადგილობრივი პარტკომები აარსებდენ მთელ რიგ სკოლებს და წინასწარ არ უწევდენ ანგარიშს ლექტორთა და ხელმძღვანელთა რაოდენობას. ეს პროცესი იყო უგეგმო და ამის გამო მრავალი სკოლები იძულებული შეიქნენ დაეხურათ კარები. მაგრამ ჩვენ უნდა ავღნიშნოთ, რომ ეს პერიოდი საბჭოთა-პარტიული სკოლების აღმშენებლობისა, პარტიზანური პერიოდი, უკვე გავიდა. ჩვენ, რუსეთთან ერთად გადავდივართ მეორე პერიოდში, სადაც სწავლის უფრო სწორი მეთოდებით იწყებენ ხელმძღვანელობას და ძველ პარტიზანჩინას თავს ანებებენ.

ჩვენც, საქართველოში, უნდა გაგვევლო პირველი პერიოდი და გავიარეთ უფრო ჩქარა, ვინემ რუსეთში, რადგან ჩვენ ეხლავ შეგვიძლია გამოვიყენოთ ამ მხრივ იქაური ძლიერ მდიდარი მასალა და გამოცდილება. პირველი ნაბიჯები კარგა ხანია გადადგმულ იქმნა და ამით მოსამზადებელი ხანაც დასრულდა. გადავედით შემდეგ ხანში, როდესაც ვიწყებთ სისტემატიურ მუშაობას ამ დარგში.

რა არის ახალი რუსეთში საბჭოთა პარტიული სკოლების აღმშენებლობის დარგში? რა შეგვიძლია გამოვიყენოთ ჩვენ, რომ თავიდან ავიცილოთ მრავალი ნაკლი?

— **ერთი მთავარი ნაკლი** რუსეთის სკოლებისა იყო ის, რომ ისინი იძლევოდენ აბსტრაქტულათ (განყენებულათ) მოაზროვნე ამხანაგებს და არა კომუნისტებს—პრაქტიკოსებს. ეს აბსტრაქტული ცოდნა მოწყვეტილი იყო კონკრეტიულ სინამდვილეს და ამიტომ ჩემს კურსანტებს არ შეეძლოთ პასუხი მიეცათ მრავალ პრაქტიკულ საჭირბოროტო საკითხებზე. **მეორე ნაკლი** იყო ის, რომ არ იყო შესაფერად დაყენებული სწავლა საერთო საგნებისა (ბუნებისმეტყველება და სხვ). **მესამე ნაკლი** მდგომარეობდა იმაში, რომ კურსი სწავლებისა დიდათ მცირე იყო, ასე რომ ამ მოკლე ხნის განმავლობაში კურსანტები ვერ ასწრებდენ ცოდნათა შეთვისებას. თუ ამას მიუმატებთ ლექტორთა და ხელმძღვანელთა უყოლობას, მატერიალურ მდგომარეობის სიცუდეს, მაშინ ჩვენ წარმოგვიდგება წინ ნამდვილი სახე საბჭოთა-პარტიული სკოლისა რუსეთში. ეს ნაკლი ჩვენს სკოლებსაც ახასიათებდა.

როგორ უნდათ რუსეთში გამოასწორონ ეს ნაკლი?

საბჭოთა-პარტიული სკოლების მეორე ყრილობაზე სრული ჯამი გაუკეთეს გამოცდილებას ამ დარგში და დაუსახეს სულ ახალი ამოცანები

1) დაახლოვება თეორიისა პრაქტიკასთან. თეორეტიული კურსი ახლო უნდა იყოს სინამდვილესთან და მის საილუსტრაციოთ აღებულ უნდა იქმნას მასალები კონკრეტიული სამეურნეო ცხოვრებიდან, 2) შემოღება და შესაფერ დონეზე დაყენება საერთო საგნების სწავლების, 3) გაგრძელება კურსის-პოლიტსკოლის—6 თვემდის, I საფეხურის—1 სასწ. წლამდის და მე II საფეხურის—2 სასწ. წლამდის. ამასთან სკოლებზე მიმაგრებულ უნდა იქნას რამოდენიმე მუდმივი მომუშავე ლექტორები.

ეს ახალი გეგმა უკვე ტარდება ცხოვრებაში. ყველა პროგრამები ხელახლა მუშავდება ახალი მეთოდის მიხედვით.

აი ეს გამოცდილება ჩვენ უნდა გამოვიყენოთ. ქსელი საბჭოთა-პარტიული სკოლებისა—უნდა დაარსებული იქნას სრულის გეგმიანობით. ჩვენ უნდა მივაქციოთ მთავარი ყურადღება შემდეგ გარემოებას. ჩვენმა პარტიამ, მისმა ყოველმა წევრმა უნდა შეიგნოს ამ სკოლების ამოცანები. ადგილობრივ პარტკომებმა კი უნდა მისცენ მათ შესაფერი ძალები, ვინაიდან უამისოთ მათი დაყენება შესაფერ სიმაღლეზე ზღაპარია. პარტსკოლებზე მიმაგრებული ამხანაგები განთავისუფლებული უნდა იქნენ მეტწილ სხვა სამუშაოდან. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ და კურსანტებს შორის არ იქნება შესაფერი სულიერი კავშირი, რაც აუცილებელია მარქსისტული კომუნისტური აღზრდისათვის. საბჭოთა-პარტიულ სკოლების ფეხზე დაყენებით ჩვენ ვაკეთებთ დიდ პარტიულ საქმეს, ამით ჩვენ ვქმნით კულტურულ, მომზადებულ ძალებს, წინააღმდეგ მეშჩანურ ინტელიგენციისა, რომელსაც თანდათან სცვლიან ჩვენი ამხანაგები.

ზემონათქვამიდან გამოდის, **მარქსისტული აღზრდის სისტემაში საბჭოთა-პარტიული სკოლები დიდ როლს თამაშობენ.** რომ მათ მიერ ეს როლი წარმატებით იქნას შესრულებული, ამისათვის საჭიროა, რომ ადგილობრივმა პარტკომებმა ყოველნაირათ ხელი შეუწყონ მათ, ამ მიზნის განხორციელებაში.

ქ. ორაგველიძე

# ადგილობრივი ფინანსები

V*).

ადგილობრივ ორგანოთა ბიუჯეტში შენობებზე გადასახადს ყოველთვის თვალსაჩინო ადგილი ეჭირა. თვითმპყრობელობის დროს ადგილობრივ თვითმართველობის უმთავრეს წყაროს შეფასებითი გადასახადი შეადგენდა. ამ გადასახადის მნიშვნელობა ძველი დებულებას თანახმად ძლიერდებოდა იმ გარემოებით, რომ მამულის შეფასების რაოდენობა საზღვრავდა ხმის უფლებას საქალაქო არჩევნებში; მაგალითად ტფილისში საქალაქო არჩევნებში მონაწილეობის უფლება ეძლეოდათ მხოლოდ იმ პირებს, ვისი მამულიც შეფასებული იყო არა ნაკლებ 1.500 მან. დღეს შენობებზე გადასახადმა, როგორც საარჩევნო უფლების წყარომ მნიშვნელობა დაკარგა, მეორე მნიშვნელობა კი, როგორც შემოსავლის თვალსაჩინო წყარო მას დროებით შეუსუსტდა.

რამდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ გადასახადს ტფილისის ბიუჯეტში დავინახავთ შემდეგი ცხრილიდან:

| წლები | მთელი შემოსავლის პროცენტებში | | | მთელი გასავლის პროცენტ. |
|---|---|---|---|---|
| | შენობებზე გადასახადი | წარმოებათაგან | ვაჭრობა-მრეწ.-დან | წარმოებათა შენახვა |
| 1909 | 38,35 | 30,48 | 7,68 | 12,36 |
| 1910 | 14,06 | 12,33 | 2,99 | 5,38 |
| 1911 | 30,08 | 26,23 | 6,59 | 8,40 |
| 1912 | 32,37 | 29,43 | 7,69 | 12,58 |
| 1913 | 27,95 | 25,41 | 6,08 | 10,74 |
| 1914 | 29,82 | 35,23 | 6,05 | 15,70 |
| 1915 | 34,15 | 40,72 | 3,23 | 15,97 |
| 1916 | 26,29 | 50,10 | 1,84 | 38,64 |
| 1917 | 12,50 | 31,90 | 1,85 | 38,55 |
| 1918 | 12,30 | 58,50 | 19,48 | 50,51 |

ამ ცხრილიდან ნათლად სჩანს, რომ ქალაქის შემოსავლის უმთავრესი წყარო უძრავ ქონებაზედ გადასახადი ყოფილა. მართალია, უძრავ ქონებაზედ გადასახადის შემდეგ ყურადღებას იპყრობს შემოსავალი წარმოებათაგან, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ წარმოებაზედ გაწეულ ხარჯების რაოდენობას დავინახავთ, რომ წარმოებათაგან ქალაქს სრულიად მცირედი შემოსავალი ჰქონია.

ხოლო რევოლიუციის შემდეგ 1917 წელში ქალაქი წარმოებას აძლევს მთელი შემოსავლის 7 პროცენტს, 1918 წ. კი წარმოებანი აძლევენ 7 პროცენტს.

მაშასადამე, ქალაქის ბიუჯეტში 1919 წლამდის პირველი ადგილი უკავია გადასახადებს და მათ შორის უძრავ ქონებაზედ გადასახადს.

ჩვენ ხელთ გვაქვს ქ. ტფილისის ანგარიშები და ამიტომ ჩვენს დასკვნებს ვამყარებთ ამ მასალებს, თუმცა დაბეჯითებით შეგვიძლიან ვთქვათ, რომ რასაც ვიტყვით ტფილისის შესახებ, უდავოდ მართალი იქნება სხვა ქალაქების შესახებაც.

უძრავ ქონებაზედ და შენობებზედ გადასახადი, არის ერთი ისეთი გადასახადთაგანი, რომელიც ითხოვს დიდს წინასწარ მუშაობას.

ძველი და ახალი კანონიც გადასახადის განკვეთის განსაზღვრამდე ითხოვს დასაბეგრავ ობიექტების, ე. ი. ქონების, შენობების შესწავლას. შენობების დაბეგვრამდის უნდა გამოირკვეს მათი შემოსავალი და ღირებულება. ამას ვეძახით შეფასებას, მაშასადამე, უნდა მოხდეს შენობების შეფასება.

გადასახადი, რომელიც არ უნდა იყოს ის, მაშინ არის სამართლიანი და თანაბარი, როდესაც იგი სწორეთ, სავსებით და მთლიანად ეხება დასაბეგრავ ობიექტს. ასევეა შენობების დაბეგვრის დროს.

უძრავ ქონებაზედ, შენობებზედ გადასახადის თანაბარობა და სამართლიანობა ყოველთვის დარღვეული იქნება თუ ერთი შეფასებიდან მეორე შეფასებამდის დიდი ხანი გაივლის, თუნდაც იდეალური იყოს პირველი შეფასება.

დავასაბუთოთ მაგალითით. ქალაქ ტფილისში უძრავ ქონებათა შეფასება მოხდა 1874, 1885, 1897 და 1911 წ. დაახლოვებით თერთმეტ წელიწადში ერთხელ.

| წლები | ქალაქის ქონების შეფასება მანეთებში: |
|---|---|
| 1874 | 25,328,333 |
| 1885 | 42,653,884 |
| 1897 | 65,094,585 |
| 1911 | 111,969,591 |

მაშასადამე საზოგადო ღირებულება მამულებისა ტფილისში 1911 წლის ბოლოში ე. ი. ორმოცი წლის განმავლობაში გაზრდილა 342 პროც., ანუ საშუალოთ თვითეულ ათ წ.-ში 85,5 პროცენ. მაშასადამე, მამულების შეფასების მეორე წელსვე, და მით უმეტეს მეცხრე და მეათე წელს, ქალაქის შეფასება სრულიად აღარ შეეფერებოდა ნამდვილ ღირებულებას და მაშასადამე, ყოველ წლივ ირღვეოდა გადასახადის თანაბარობა. თუ ამ ხნის განმავლობაში ერთი მამულის ღირებულება და შემოსავალი იზრდებოდა, მეორე—ღირებულებას კარგავდა და შემოსავალი უმცირდებოდა, გადასახადი კი პირველისა და მეორე მამულისათვის ძველი რჩებოდა. ამგვარად ირღვეოდა გადასახადის თანაბარობა და ეს გარემოება უსამართლო დაბეგვრის მიზეზი ხდებოდა.

ამ უსამართლობის შესუსტება და გადასახადის თანაბარობის ცოტათ თუ ბევრად განმტკიცება მოახერხა ახალმა კანონმდებლობამ, რომელმაც სავალდებულოთ გახადა შენობების შეფასება ხუთ წელიწადში ერთხელ. (იხილე წესები ამ გადასახადისა მუხლი მე-4-ე მართალია ადგილობრივ ორგანოს უფლება აქვს შენობების ნაწილობრივ შეფასებისა (იხილე იმავე წესების მუხლი 6), მაგრამ გადასახადის თანაბარობის დაზღვევა უფრო ხშირად შედეგია მამულის ნაწილობრივ გადაფასებისა.

ამ გადასახადის წესების მეექვსე მუხლში ნათქვამია, რომ ნაწილობრივი შეფასება შეიძლება მოხდეს მხოლოდ ახლად აგებულ შენობებისა, მიშენების ან არსებული შენობების გადაშენების შემდეგ, ანდა შენობის მთლიან ან ნაწილობრივ განადგურების შემდეგ, ცეცხლის, წყალდიდობის, მიწის ძვრის ან სიძველისაგან დანგრევის გამო. ესეთი დადგენილება სამართლიანი არის განყენებულად, რადგან შენობის ღირებულების და შემოსავლის შეცვლასთან უნდა შეიცვალოს გადასახადიც. მაგრამ ამ შემთხვევაშიც ხშირად უსამართლობას აქვს ადგილი. ქალაქის ცხოვრებაში ერთი ასეთი მაგალითი იყო. 1910 წელს შეფასებული შენობა, ცეცხლის გაჩენის შემდეგ 1919 წელს, ხელმეორეთ იქნა შეფასებული. 1910 წელს შენობა შესდგებოდა 8 ოთახისაგან; ცეცხლის შემდეგ დარჩა ორი ოთახი, მამულის პატრონმა ქალაქს სთხოვა შენობის გადაფასება. 1919 წ. დამფასებლებმა ცეცხლისაგან გადარჩენილი შენობა დააფასეს დროის მიხედვით და გამოვიდა, რომ დაწვის შემდეგ შენობა ღირებულა ათჯერ მეტი, ვინემ დაწვამდის და გადასახადიც ათჯერ გაუდიდდა. ჩვენ აქ მოვიყვანეთ უკიდურესი მაგალითი იმის დასამტკიცებლად, თუ რამდენად უსამართლო შეიძლება იყოს სხვადასხვა დროს და სხვადასხვა პირობებში მომხდარი შეფასება. ქალაქ ქუთაისში უკანასკნელი საერთო შეფასება შენობებისა მოხდა 1904 წ. ქალაქ სამტრედიაში კი 1919 წელს. 1922 წელს ქუთაისის სამაზრო აღმასკომმა შენობების დაბეგვრის დროს იხელმძღვანელა უკანასკნელი შეფასებით და გამოვიდა, რომ ქუთაისი, შენობებით ბევრად მდიდარი სამტრედიასთან შედარებით შენობებზე გადასახადს იხდიდა წელიწადში 600.000.000 მანეთს, სამტრედია კი შენობებით ღარიბი და ბევრად პატარა ქალაქი 900.000.000 მანეთს, ქ. სურამი, სადაც შენობების შეფასება მოხდა 1919 წ. შენობებზედ გადასახადს თითქმის იმდენსავე იხდიდა 1920 წელში, რამდენსაც ქალ. ტფილისი. აი თვალსაჩინო მაგალითები სხვადასხვა დროს და სხვადასხვა პირობებში მომხდარ შეფასებათა უსამართლობისა.

მაშასადამე, ყველა შენობების შეფასება უნდა მოხდეს თანაბარ პირობებში, ამას კი მივაღწევთ მაშინ, თუ ყველა შენობები ერთდროულად იქმნებიან შეფასებულნი და არა სხვა და სხვა დროს, სხვადასხვა პირობებში.

თანაბრობის დაცვას აღნიშნულ გადასახადში დიდს ყურადღებას აქცევენ დასავლეთ ევროპაში და ამიტომ ბევრგან უძრავ ქონებათა შეფასება ყოველ წელიწადს ხდება. პრუსიის ბევრს ქალაქებში და თვით ბერლინში უძრავ ქონებათა შეფასება ხდება ყოველწლივ ავსტრიაში კანონით ზოგს ქალაქებში შეფასება ხდება ყოველწლივ, ზოგან კი ორ წელიწადში ერთხელ. ისეთ დიდს ქალაქებში, როგორიც არის ლონდონი, ყოველგვარ ხარჯების მოურიდებლად, შეფასება ხდება ყოველწლივ.

შემდეგ ამ გადასახადის წესების მე-5 მუხლი ამბობს, რომ შენობების ახალ შეფასების მოხდენამდის ადგილობრივ აღმასკომს შეუძლიან გადასახადის საფუძვლად აიღოს შეფასება უკანასკნელი კადასტრით და, იმ ქალაქებში, სადაც ეს შეფასება მოხდა 1917 წლამდის, გაადიდოს 100.000 ჯერ, ხოლო იმ ქალაქებში, სადაც შეფასება მოხდა 1917 წლის შემდეგ—გაადიდოს 10,000 ჯერ, ეჭვს გარეშეა ეს ზომა დროებითი ზომათ უნდა იქნეს ცნობილი. რადგან კარგად ვიცით, რომ ცენზიანი საბჭოს მიერ მოხდენილი შეფასება შენობებისა, არ შეეფერებოდა, ქონებათა ნამდვილ ღირებულებას შეფასების პირველ დღესვე. მექანიკურად შეფასების გადიდება, მეორეს მხრივ ადიდებს შეცდომებსაც, ძველი კანონით მრავალი შენობები, რომლებითაც დღეს იბეგრება განთავისუფლებულნი იყვნენ გადასახადისაგან. ესეთი შენობები იყვნენ: სასულიერო უწყების და სახაზინო შენობები.

1. ტფილისში სასულიერო უწყებას ჰქონდა 381 მამული, ხაზინას 361, რომელთა 74 პროც. თავისუფალი იყო გადასახადიდან. თუ ქალაქს აქამდისინ არ მოუხდენია ამ მამულების შეფასება და დაბეგვრა მან უკვე დიდი თანხა დაკარგა და შემდეგშიაც დაკარგავს.

მაშასადამე უძრავ ქონებათა შეფასება უნდა მოხდეს:

1) კანონის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად;

2) გადასახადის თანაბრობის და სამარლიანობის აღსადგენათ;

3) შეფასების სინამდვილესთან დასაახლოვებლად;

4) ძველის კანონით გადასახადიდან თავისუფალ მამულების დასაბეგრავად;

და 5) ადგილობრივ ორგანოთა ფინანსების გამოსასწორებლად.

კანონის დეფექტათ უნდა იქნას ჩაჩნეული ის გარემოება, რომ მასში ნაჩვენები არ არის ის სქემა მაინც, რომლის მიხედვით უნდა მოხდეს შენობების შეფასება.

ჩვენი ადგილობრივი ორგანოთა მესვეურნი ადგილობრივ გადასახადთა და საზოგადოთ ადგილობრივ მეურნეობაში ახლად არიან ჩაბმულნი და ამიტომ შეფასების მეთოდები ზოგადათ მაინც უნდა იყოს გაშუქებული კანონმდებლობით. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ სათანადო ორგანოებმა დაუყოვნებლივ უნდა შეიმუშაონ ზოგადი დებულებანი შეფასების მეთოდების შესახებ.

ხ.

---

*) იხ. „კომუნისტი“ №№ 182, 183, 191, 197.

# მენშევიკური პარტიის ლიკვიდაცია

## დეკლარაცია

საქართველოს სოც. დემოკრატიულ მუშათა პარტიის (მენშევიკების) სრულიად საქართველოს ყრილობისა

## პარტიის გაუქმების შესახებ

საქართველოს ს. დ. მ. პარტიის (მენშევიკების) სრულიად საქართველოს ყრილობა, უკეთებს რა ჯამს საქ. სოც. დემოკრატიულ მუშათა პარტიის სამი წლის სახელმწიფოებრივ პრაქტიკას (1918—1921 წ. წ.) და საქ. საბჭოთა ხელისუფლების 2 ნახ. წლ. მუშაობას (1921—1923 წ.წ.) მიდის შემდეგი მტკიცე დასკვნამდე:

საქ. სოც. დემოკრატიული მუშათა პარტია, რომელსაც აქვს დიდი რევოლიუციონური დამსახურება რუსეთის პირველ რევოლიუციის დროს, როცა პროლეტარიატი აწარმოებდა ბრძოლას მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, შემდეგ რა აშკარა მრუდე გზაზე ჯერ კიდევ მსოფლიო ომის და თებერვლის რევოლიუციის შემდეგ, გადავარდა კონტრ-რევოლიუციის ბანაკში მიუხედავათ იმისა, რომ პარტიის წევრი მუშები არა ერთხელ ცდილობდენ პარტიის შეჩერებას დაცემისაგან.

რუსეთის პროლეტარიატის ოქტომბრის რევოლიუცია, რომელიც წარმოშვა შრომისა და კაპიტალის შორის გამწვავებულმა ბრძოლამ, ერთის მხრივ, და მუშათა და გლეხთა ფართო მასების ბრძოლამ იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ—მეორეს მხრივ, შეცდომით იყო გაგებული და დაფასებული მენშევიკური პარტიის მიერ. ისტორიამ სავსებით გაამართლა მთელი ძალაუფლების გადასვლა მშრომელთა ხელში და ამით ცხადად დაამტკიცა რუსეთის და საქართველოს მენშევიზმის სიკოტრე და მიუღებლობა პროლეტარიატისათვის.

საქართველოს მენშევიზმის ბრძოლა ოქტომბრის რევოლიუციისაგან წარმოშობილ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ სწარმოებდა დემოკრატიის ნიშან ქვეშ, რომელიც ცნობილი იყო მშრომელთა მასის ყველა შინაურ და გარეშე ურთიერთობათა გარდაქმნის მშვიდობიან იარაღათ, ე. ი. მცხოვრებთა დიდი უმრავლესობის სასარგებლოდ და საკეთილდღეოთ

მაგრამ დემოკრატიული სახელმწიფოებრივი მშენებლობის პრაქტიკამ ცხად ჰყო, რომ პროლეტარიატის და რევოლიუციის ხანაში, რომელიც მიისწრაფვის კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმის მძიმე უღლის დამხობისაკენ მშრომელთა დიქტატურის დამყარებით, დემოკრატია ბრმა იარაღათ ხდება კონტრ-რევოლიუციისა და რეაქციას ხელში და არ შეუძლია გადასჭრას ხალხთა ფართო მასების სასარგებლოდ არც ერთი სასიცოცხლო საკითხი.

საქ. ცხოვრების პირობებში, მისი თავისებური სოციალური სტრუქტურით, დემოკრატია თითქო უნდა გამხდარიყო მუშათა კლასის და მრავალ რიცხოვან გლეხობის ინტერესების გამომხატველი. მაგრამ სინამდვილეში კი დემოკრატიული რეჟიმი გადაიქცა საშუალებათ საქ. შიგნით და გარე მყოფ მყვლეფელ კლასების და ჯგუფების ბატონობის განმტკიცებისათვის.

მშვიდობიანობის ნაცვლად დემოკრატიულ მთავრობის მიერ გამოცხადებული მუდმივი ნეიტრალიტეტის საფუძველზე, საქართველოს მშრომელებმა მიიღეს დაუბოლავებელი სისხლის მღვრელი ომები ამიერ-კავკასიის ხალხებთან და თვით საქართველოში არსებულ ეროვნებათა უმცირესობებთან ყველა ქვეყნის იმპერიალისტების სასიხარულოდ. მიწის საკითხი გადაიჭრა არა უღარიბეს გლეხობის, არამედ იმავე მემამულე თავადებისა და სოფლის „კულაკების“ სასარგებლოდ. მრეწველობა აყვავების მაგიერ სულ დაირღვა და დაიშალა.

მუშათა მასებისა და მის პროფკავშირების მოთხოვნილებებს არავინ აქცევდა ყურადღებას იმ მიზნით, რომ შენახულიყო ბურჟუაზიასთან ნაციონალური გაერთიანება.

ბრძოლა ნაციონალური კულტურისათვის ხშირად უცხო ნაციონალური ელემენტების საწინააღმდეგო ბრძოლის სახეს ღებულობდა. ნაწილი დემოკრატიისა იმ სისხლის მდინარში ჩაიღრჩო, რომელიც დაღვარა მშრომელებმა ქართველთა ომებში: სომხების, თათრების, ოსების, აფხაზების, აჭარლების და სხვათა წინააღმდეგ. პოლიტიკური თავისუფლებით სარგებლობდნენ ის პარტიები, რომელნიც აშკარად გამოხატავდნენ ფეოდალების და ბურჟუაზიის ნება სურვილებს და მემარცხენე პარტიები მოექცნენ იმ ადმინისტრაციის სადავეს ქვეშ, რომელიც სავსე იყო მეფის პოლიციის აგენტებით. ქვეყანა სამაგალითო დემოკრატიისა გადაიქცა მშრომელთა უბედურების და ტანჯვის ასპარეზათ და 1920 წელს ნოემბერში ე. ი. ოქტომბრის რევოლიუციასთან გათიშვის სამი წლის თავზე, ჩვენი პარტიის ბელადი ნოე ჟორდანია იძულებული იყო საქვეყნოდ აღიარებინა, რომ საქ. არამც თუ დაღუპვის გზაზე დამდგარი, არამედ იგი უკვე დაღუპვის უფსკრულის პირზე სდგასო.

საგარეო ურთიერთობათა დარგში დემოკრატიულმა რეჟიმმა მოუტანა საქართველოს მშრომელთ დამამცირებელი მონური დამოკიდებულება სოც.-დემოკრატიულ მთავრობისა ევროპის ყველა იმპერიალისტურ კოალიციებისაგან და სამარცხვინო კავშირი რუსეთის შავი რეაქციის ძალებთან. ჯერ გერმანიის და შემდეგ ანტანტის კოალიციის იმპერიალისტებს სრული თავისუფლება ჰქონდათ მინიჭებული ემოქმედნათ საქართველოში, როგორც ესურვებოდათ და მოეყვანათ სისრულეში თავიანთი რეაქციონური ზრახვები საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ასეთივე თავისუფლებით სარგებლობდენ რუსეთის მუშათა და გლეხთა ჯალათები (და უკეთუ გაიმარჯვებდენ, ქართველი ხალხის მომავალი ჯალათებიც) დენიკინელები, ვრანგელები და სხვა, რითაც დიდი ზიანი ეძლეოდა თავის თავის განთავისუფლებისათვის მებრძოლ მუშათა კლასის საქმეს—და ეს ხდებოდა საქართველოს მენშევიკური მთავრობის სანქციით და დახმარებით.

ყოველივე მისწრაფებას საქართველოს მუშებისა და გლეხებისას ჩვენში საბჭოთა ხელისუფლების შემოღებისაკენ, აგრეთვე მენშევიკური პარტიის ცალკე წევრების მისწრაფებასაც, რუსეთის პროლეტარიატთან ძმური კავშირის შესაქმნელად დაუნდობლად სდევნიდა და ახშობდა საქართველოს დემოკრატიული მთავრობა და ნაცვლად ამისა შეურიგებელ მტრობას და სიძულვილს სთესდა საბჭოთა რუსეთისადმი და მის პატრონის—ტანჯულ რუსეთის პროლეტარიატისადმი.

მიუხედავად იმისა, რომ ყოველგვარი ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გაძლიერებული ბურჟუაზიული რეაქციის პირობებში დაღუპვას უქადდის მუშათა კლასს და მის რევოლიუციონურ მონაპოვართ, და ახშობს სოციალიზმის იდეას, მენშევიზმი დღემდის განაგრძობს მწვავე და შეურიგებელ ბრძოლას მუშურ-გლეხური ხელისუფლების წინააღმდეგ

ღებულობს რა ყველა ამას მხედველობაში, ყრილობა ადგენს:

1) იმ დროს, როდესაც საერთაშორისო რეაქცია თავს უყრის თავის ძალებს და ემზადება მკაცრი შეტაკებისათვის პროლეტარიატის წინააღმდეგ, ამ უკანასკნელს შეუძლია ჰპოვოს შესაფერი ძალა ყოველგვარი მტრის დასამარცხებლად, მხოლოდ მთლიანი პროლეტარული ოჯახისა და ფოლადისებური მებრძოლი რიგების შექმნით, რომელიც მწყობრათ იქნება მიმართული რეაქციის წინააღმდეგ და ამ ბრძოლის დროს ყოველი ნამდვილი სოციალისტის და მუშური საქმისათვის მებრძოლის ადგილი მხოლოდ იმ პროლეტარიატის მთლიან, ერთსულოვან ოჯახშია, რომელიც ჩაბმულია მის კლასიურ მტერთან ბრძოლაში.

2) დარწმუნდა რა იმაში, რომ მენშევიკური პარტიის პოზიცია ოქტომბრის რევოლიუციის მიმართ იყო შემცდარი, მისი ხაზი და მოქმედება უკანასკნელი წლების განმავლობაში მუშური საქმისათვის მეტად საზარალო, სთვლის რა აგრეთვე ამ ახლო ხანში გამოქვეყნებულ ლოზუნგის „უკან კაპიტალიზმისაკენ“ სოციალიზმის წინაშე აშკარა დანაშაულობათ, სრულიად საქართველოს ყრილობა საბოლოოდ სტოვებს მენშევიკური პარტიის ტაქტიკას და ურყევათ გადადის პროლეტარიატის დიქტატურის პოზიციაზე, რომელსაც მშრომელ გლეხობასთან ერთად მტკიცე კავშირში შეუძლიან შეინარჩუნოს ძალაუფლება და მიაღწიოს საბოლოო მიზანს, სოციალიზმისა და კომუნიზმის განხორციელებას.

3) სთვლის რა დამძველებულად, სრულიად მიუღებლად სოციალისტურ რევოლიუციების თანამედროვე ეპოქისათვის მენშევიკურ პარტიაში დამტკიცებულ პრინციპს: „დემოკრატიზმიდან სოციალიზმისაკენ“, ყრილობა სავსებით დგება პროლეტარიატის დიქტატურის პლატფორმაზე.

4) ღებულობს რა მხედველობაში, რომ ყოველ კუთხეში გატარებულმა კონფერენციებმა უკვე დაშლილად გამოაცხადეს მენშევიკური ორგანიზაციები, იღებს რა მხედველობაში, რომ ამ კონფერენციებზე წარმოდგენილი იყვნენ ყველა პროლეტარული და გლეხური ელემენტები, წევრები ამ პარტიის, თითქმის ყველა, საქართველოში მყოფი ძველი პარტიული კადრები საქართველოს მენშევიზმისა, ყრილობა დაშლილად აცხადებს საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას (მენშევიკებისას), ამ პარტიის მანდატებს კი, რომელნიც აქვთ როგორც ემიგრაციაში მყოფ, ისე ამ პარტიის ყველა წევრებს, სთვლის გაუქმებულად და მხურვალედ მოუწოდებს ყველა წევრებს, ყოფილ მენშევიკურ პარტიისას მჭიდროთ დაირაზმონ მესამე ინტერნაციონალის დროშის ქვეშ. ამასთან ერთად სრულიად საქართველოს ყრილობა საჭიროდ სცნობს მოწვეულ იქნეს ყრილობა ყოფილ მენშევიკებისა სრულიად საკავშირო მაშტაბით მენშევიკური პარტიის სრული ლიკვიდაციის მოსახდენათ ყველა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებში.

**გაუმარჯოს პროლეტარიატის დიქტატურას.**

**გაუმარჯოს მსოფლიო სოციალისტურ რევოლიუციას.**

**გაუმარჯოს მე-3 მე კომინტერნს მსოფლიო რევოლიუციის შტაბს.**

# საქ. მენშევიკური პარტიის მიმართვა

## სოციალისტური ინტერნაციონალის ბიუროს

(ახლა კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტს).

პატივცემულო ამხანაგებო!

სრულიად საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა (მენშევიკების) პარტიის ყრილობამ, რომელიც არჩეულია 11,235 პარტიის წევრისაგან, მიიღო მესამე კომინისტური ინტერნაციონალის პლატფორმა, აცხადებს თავის პარტიას, და ყველა იმ ორგანიზაციებს, რომლებიც შედიან ამ პარტიაში, გაუქმებულად, **ამ გადაწყვეტილების მიხედვით ყრილობა აცხადებს გაუქმებულად საქ. სოც.-დემოკრ. მუშათა პარტიის იმ წარმომადგენლების მანდატებს, რომლებიც შედიან სოციალისტურ ინტერნაციონალში.** გაცნობებთ რა ამას, ყრილობას მიაჩნია საჭიროდ გააკეთოს შემდეგი განმარტება თავისი სრულუფლებიანობის შესახებ. ყრილობა წარმოადგენს საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის მთავარ საფუძველს, მის მუშურ-გლეხურ ნაწილს.

პარტიის 11.235 წევრმა, რომლებმაც აირჩიეს დელეგატები ამ ყრილობაზე, აქვთ სტაჟი 1898 1917 წლებში, ისინი წარმოადგენენ დიდ უმრავლესობას, 90 პროცენტზე მეტს, პარტიის წევრებისას 1917 წლამდე, ე. ი. ამ პარტიის დამაარსებელთა და 25 წლის განმავლობაში მებრძოლთა 90 პროცენტს. ყრილობა გამოსთქვამს მტკიცე რწმენას იმის შესახებ, რომ სოციალისტური ინტერნაციონალის ბიურო, რომელიც დაეყრდნობა სრულუფლებიან ყრილობის დადგენილებას, არ სცნობს ამიერიდან არ-არსებულ საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა (მენშევიკები) პარტიის არავითარ მანდატს.

**ამხანაგური სალამით ყრილობის პრეზიდიუმი.**

# საზღვარ-გარეთელი კომუნისტები საქართველოში

ამჟამად ტფილისში იმყოფებიან კომინტერნის აღმასკომის წევრი და იაპონიის კომპარტიის ბელადი ამხ. კატაიამა, გერმანიის ახალგაზრდათა კომკავშირის ც. კ. წევრი—ამხ. ჰოპე და ამერიკის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ამხ. გურვიჩი. ეს სამი ადამიანი, შეაერთა იატაკის ქვეშ საერთო მუშაობამ. ცხოვრობენ ისინი მშობლიურ მუშათა ოჯახის გარეშე, მაგრამ მხოლოთ და მხოლოთ ტირანიისაგან მისი განთავისუფლებისათვის.

ამხ. კატაიამა, ძველი იაპონელი მუშაა.—კომინტერნის აღმ. კომიტეტის წევრი, რევოლიუციის ვეტერანი, რომელიც 64 წლის ჰასაკში რევოლიუციონურმა ენტუზიაზმმა მხნეთ და მოძრავათ შეინახა.

ამხ. ჰოპე,—გერმანიის ახალგაზრდათა კომკავშირის ც. კ. ის წევრი, ახალგაზრდა, ენერგიული ჭაბუკია. იგი არა მარტო მომავალს ეკუთვნის,—მას აქვს დიდი რევოლიუციონური სტაჟიც, და ჩვენთან ის მოხვდა მხოლოთ იმიტომ, რომ იძულებული იყო გაქცეოდა დევნას: იგი საპყრობილედან რუსეთში გაიქცა.

მესამე ამხანაგი—გურვიჩი,—ძველი რევოლიუციონერია ამერიკის კომუნისტურ პარტიის ცაკის წევრი, კომინტერნის მე-2 კონგრესის დელეგატი. იგი ამხ. კატამაიასთან ერთად არალეგალურათ მუშაობდა ამერიკაში.

იაპონია, გერმანია, ამერიკა ამ სამ რევოლიუციონურ ცეცხლში გახვეულ სახელმწიფოს წარმომადგენლებს მრავალი რამ, რაც ვერ დაეტევა გაზეთის წერილში, შეუძლიათ გვიამბონ...



ამხ. კატაიამა



ამხ. ჰოპპე

### ამხ. კატაიამა.

ამხ. კატაიამას დიდი წილი უდევს იმ რევოლიუციონურ ცეცხლის გაჩაღებაში, რომელმაც უნდა გადაბუგოს კაპიტალისტური იაპონია, საუბარი მასთან არ იქნება მთლიანი, თუ არ მოვიყვანთ ორიოდე ცნობას მისი ბიოგრაფიიდან, რომელიც გამოხატავს იაპონელ რევოლიუციონერის და იაპონიის ნორჩ კომუნისტურ პარტიის ეკლიან გზას.

ჯერ კიდევ 1904 წელს, როდესაც ძალიან გამწვავებოლი იყო შუღლი იაპონიასა და რუსეთს შორის (ომის დროს) ამხ. კატაიამა მიემხრო კაპიტალისტურ ომის მოწინააღმდეგეთ.

სოციალისტურ პარტიების ამსტერდამის კონგრესზე კატაიამამ იაპონიის პროლეტარიატის სახელით ხელი ჩამოართვა ამხ. პლეხანოვს.

— „იაპონია და რუსეთის მშრომელი მასები არავითარი შუღლით არ არიან განწყობილნი ერთმანეთისადმი“. ამბობდა ეს ხელის ჩამორთმევა.

და ამხ. კატაიამა განდევნა იაპონიის მთავრობამ თავის სამშობლოს საზღვრებიდან.

შემდეგი მისი მუშაობა არალეგალურ პირობებში სწარმოებს 1916 და 17 წლ. ამხ. ტროცკის, ბუხარინის, გურვიჩთან ერთად ის აწყობს ამერიკის სოციალისტური პარტიის მემარცხენე ფრთას.

დაპატიმრებანი აიძულებს მას გაიქცეს მექსიკაში—ასეთ ხეტიალში გაატარა თავისი სიცოცხლე იმ რევოლიუციონერმა, რომელიც სამშობლოში არ ყოფნის დროსაც ხელმძღვ ნელობდა იაპონიის მუშათა მოძრაობას.

რა პირობებში უხდებოდა მუშაობა ამ „იაპონიის რევოლიუციის ბაბუას“?

იაპონიის რეაქციონური მთავრობა, რომელსაც მხარს უჭერს სეი-იუ-კაის პარტია გარეგნულად არ აწარმოებს წინანდელ მთავრობის საომარ პოლიტიკას

სეი-იუ-კაი არის ლენდ-ლორდების, მემამულე-არისტოკრატების პარტია, რომელიც მთავრობის დახმარებით აღრმავებს მშვიდობიან ექსპლოატაციას. მაგრამ მაინც ეხლანდელი მთავრობით კმაყოფილი არ არიან არც კაპიტალისტების და არც ლიბერალების ჯგუფები. ასეთი ჯგუფები კი რამდენიმეა.

**კაკუშინი**—რომელიც წარმოადგენს წვრილ ბურჟუაზიულ პარტიას, რომელსაც ჰყავს პარლამენტში 50 წარმომადგენელზე მეტი, სცდილობს მუშათა მასებში და გლეხთა შორის გავლენის მოპოვებას და ქადაგობს საყოველთაო საარჩევნო უფლებას.

**კენ-სე-კაი**—წარმოადგენს ქალაქის კაპიტალისტების პარტიას.

ეს პარტია გაითქვიფება შოუკოტოს პარტიაში, რომლის ბაზასაც წარმოადგენს მსხვილი მრეწველობა.

ყველა ჩამოთვლილი პარტიები: სეი-იუ-კაი, კაკუშინი, კენ-სე-კაი, შოუნლტო იბრძვიან მომავალ წელს განზრახულ არჩევნებში გამარჯვების მოსაპოვებლად.

სეი-იუ-კაის დაუხმარებლად მთავრობა დაუყოვნებლივ დაეცემოდა.

მთავრობის შემადგენლობაში სხვათა შორის არ შედის სეი-იუ-კაის არც ერთი წევრი.

რით აიხსნება ურთი-ერთი დახმარება ამ პარტიასა და მთავრობას შორის?

რაც უნდა უცნაურად არ გვეჩვენოს, მაინც დიდ როლს თამაშობს შემდეგი მოსაზრება—პარტია ფიქრობს გამარჯვებას მომავალ არჩევნებში, სარგებლობს რა იგი მთავრობის ტეხნიკური აპარატით.

რას გამოიწვევს ეს გამარჯვება?

უკვე დღეს პოლიტიკურ წრეებში დადის ხმები, რომ პარტია [illegible] თავის მთავრობას—ეს იმას ნიშნავს, რომ გამოცვლილი იქნებიან ყველა გუბერნატორები და სხვ.

იაპონიასა და რუსეთს შორის ხელშეკრულების დადების წინააღმდეგია იგივე სეი-იუ-კაის პარტია. მისი პოლიტიკა არის ოფიციალური იაპონიის პოლიტიკა.

როგორ ხვდებიან ამას მშრომელი მასები?

მთელი რიგი გაფიცვებით და უწესოებით უპასუხებენ მუშები და გლეხები მთავრობის რეპრესიებზე, იმ მთავრობის, რომელიც განიცდის ბურჟუაზიულ პარტიის გავლენას.

იაპონიის გლეხობა იმდენად უუფლებოა რამდენადაც რევოლიუციონერი.

ამის შესახებ მჭერმეტყველურად ლაპარაკობს იაპონიაში მომხდარ აჯანყებათა ისტორია და რამდენიმე წლის წინად მომხდარი „ბრინჯის აჯანყება“.

გლეხობა გაერთიანებულია კავშირებში, რომელთაც თავის კონფერენციებზე გამოაქვთ რეზოლიუციები და კიცხავენ გამყიდველ მთავრობის მოქმედებას.

გლეხთა კავშირები მნიშვნელოვანი პოლიტიკური ძალაა.

**კომუნისტური პარტია.**

ეს პარტია ჯერ კიდევ ახალგაზრდაა, ის დაარსდა ორი წლის წინეთ და, რასაკვირველია, მუშაობს არალეგალურათ.

მაგრამ მიუხედავათ თავისი მცირე ხნის არსებობისა, მან შესძლო თავის გავლენის ქვეშ მოექცია მასები და დაემარცხებია იაპონიის შრომის ფედერაციის რეაქციონური მიმართულებანი. ამ უკანასკნელის მემარცხენე ფრთა შეურთდა წითელ პროფინტერნს.

ყველა კავშირებში არიან პარტიის წევრები, რომელნიც იქ ეწევიან კომუნიზმის პროპაგანდას.

დამამტკიცებელი იმისა, თუ რამდენათ ძლიერია იაპონიის კომპარტიის ორგანიზაცია, არის მთავრობის „განსაკუთრებული ყურადღება“ მისდამი. გაძლიერდა დევნა და რეპრესიები პარტიის წინააღმდეგ, დატუსაღებული იქნა 100 მეტი გამოჩენილი პარტიული ამხანაგები.

ამ რეპრესიებმა კიდევ უფრო გაძლიერა პარტიის პრესტიჟი და მასების რევოლიუციონური განწყობილება.

**საბჭოთა რუსეთთან დამოკიდებულება.**

ყველაზე უფრო პოპულიარული ეხლა იაპონიაში არის ამხ. იოფფე, რადგან ფართო მასები მომხრე არიან საბჭოების დაუყოვნებლივ ცნობისა და მათთან მეგობრულ დამოკიდებულებათა დამყარების.

მაგრამ იგივე სეი-იუ-კაი, პოლიტიკური მოსაზრებით, წინააღმდეგია ამისი და ფიქრობს უშუალო შეთანხმება მოახდინოს რუსეთთან, მთავრობის გარეშე.

ყოველ შემთხვევაში ხელშეკრულება, დადებული იქნება თუ გინდ იმავე სეი-იუ-კოის პარტიის მიერ.

**„უმჯობესია გვიან, ვიდრე არასოდეს“.**

— გაიმეორა ამხ. კატაიამამ თავის სიტყვები, რომელიც მან წარმოსთქვა ყოფილ მენშევიკთა კონფერენციაზე. შეეხო რა კონფერენციაზე მიღებულ შთაბეჭდილებას, „იაპონიის რევოლიუციის ბაბუამ“ სთქვა:

„სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, რომ ნათელი მომავლის გულისათვის ეს ამხანაგები დგებიან მე-3-ე კომინტერნის დროშის ქვეშ“

### ამხ. ჰოპპე

ამხ. ჰოპპეს, ჩვენ ვხედავთ 3 ნახ. წლის წამების შემდეგ, რომელიც მან გაატარა სენნენბურგის ციხეში. მხოლოდ ამას წინათ ისარგებლა მან შვებულებით ციხიდან და მიაშურა თავის ავადმყოფ დას.

ისინი, ამხანაგებო, დღემდეც იტანჯებიან ციხეში და იმედი აქვთ მოკავშირე რესპუბლიკების დახმარების.

თუ როგორ ექცევიან მათ ჯალათი სოციალ-დემოკრატები ეს სჩანს შემდეგიდან: როდესაც დაპატიმრებულებს ხოცავდენ წყურვილით და მათ სცადეს პროტესტი განეცხადებიათ, ამის წინააღმდეგ კარებზე დაკაკუნებით, ციხის მცველებმა მათ უპასუხეს: ჩააფურთხეთ ერთი მეორეს პირშიო...

პატიმრები ჩაცმული არიან გასვრილ სისხლიან ჩვრებში, რომლებიც გახადეს დასავლეთის ფრონტზე დახოცილებს.

ასეთი არის ციხეში ცხოვრება: მაგრამ არც გარეთ არის დიდათ უკეთესი მდგომარეობა.

მთელი გერმანია ითელება სტინესების და ებერტების ფეხქვეშ, აი მცირე, მაგრამ დამახასიათებელი ილიუსტრაცია.

საუბარი ამხ. ჰოპპესთან სწარმოებდა ორი კომუნარის საუზმის შემდეგ, რომლებიც დაბრუნდენ სასადილოდან.—რამდენი დაუჯდებოდა ასეთი ასეთი საუზმე ერთ კაცს გერმანიაში? ამხ. ჰოპპემ სისწორით შეაჯენა ამის ჯამი და გადაიტანა მარკებზე.

აღმოჩნდა, რომ დაჯდებოდა ერთი მილიონი მარკა.

საქმე ფასში კი არ არის,—დასძინა ჩვენმა მოსაუბრემ, საქმე იმაშია, რომ სამი თვის წინათ ასეთი საუზმე ღირდა 2 ათასი მარკა. საკმაო იყო მხოლოდ სამი თვე, რომ სახელმწიფო მისულიყო ასეთ კრახამდე.

ციხეში სხედან გამოჩენილი რევოლიუციონერები, რომელთაც ჰკვებავენ ასეთი ცნობებით:

— თუ უცხოეთის ჯარების შეტევა რუსეთზე წარმატებით მიმდინარეობს...

როდესაც შეტევას აწარმოებდენ დენიკინი და კოლჩაკი პატიმრებს იუწყებოდენ, რომ თეთრი გენერლები უკვე მოსკოვში არიანო...

### ამხ. გურვიჩი.

ამხ. გურვიჩი გადმოგვცემს ამერიკის ფილმისტების „მუშაობის“ საშინელ სურათს. ის, რასაც გადმოგვცემს ამხანაგი გურვიჩი, არ შეიძლება შევადაროთ ნამდვილ ამერიკულ კინო-ფილმისტებს.—ხანძარის დროს მუშებს ხვრეტდენ. ასე იყო 1913 წელს. ბევრად შეიცვალა მდგომარეობა ეხლა?

1919 წელს, ოქტომბრის რევოლიუციის ორი წლის თავის დღესასწაულის მოლოდინში, სახლების სახურავებზე დადგეს ტყვიისმფრქვეველები და გამზადეს სანიტარული ფურგონები.

როდესაც ჩვენ კატაიამასთან ერთად იძულებული ვიყავით დავმალულიყავით, იაპონიის ყველა გაზეთებში დაიბეჭდა ჩვენი სურათები, რათა დახმარება გაეწიათ საიდუმლო პოლიციისათვის.

„მეფის ციხე არაფერია ამერიკის ციხესთან შედარებით“...—მოგვითხრობენ ამხანაგები.

საქართველოს 3 სტუმარი არის ცოცხალი მატიანე რევოლიუციონური წვისა, ეს არის გამოცანა.

და ეხლა, იგონებენ რა წითელ საზღვრებს იქით დარჩენილ ამხანაგებს ისინი აღვსილი არიან საბოლოო გამარჯვების რწმენით.

# ამერიკელი სენატორები საქართველოში

გუშინ, დღის 11 საათზე, ტფილისში დაბრუნდა ამერიკელთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: სენატორები ლედდი და კინგი, დეპუტატი ფრირი, პროფესორი ჯონსონი, კსნერსა ბოუენი და ისაკ ლევინი.

**მგზავრობის მიზანი.**

„ზაკროსტა“-ს თანამშრომელთან საუბარის დროს ამერიკის დელეგაციამ აღნიშნა, რომ მათი მგზავრობის მიზანია ს. ს. რ. კ. პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიური ცხოვრების რაც შეიძლება სრული შესწავლა, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის მდგომარეობის შესწავლა.

**ს. ს. რ. კ. მრეწველობის აღდგენა.**

ამერიკელებმა გაიარეს მთელი ფედერაცია — მოსკოვიდან ამიერ კავკასიამდე და ნათელი წარმოდგენა გამოიტანეს ს. ს. რ. კ. მრეწველობის ჩქარი აღდგენის შესახებ: მრეწველობა აღორძინების გზაზეა დამდგარა და ის ეგუება ცხოვრების ახალ პირობებს. დამახასიათებელია ამ მხრივ ურალისა და ვოლგის რაიონის ქარხნები.

**ჩვენი ტრანსპორტი**

შეეხენ რა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირის ტრანსპორტს, ამერიკელმა სტუმრებმა აღნიშნეს, რომ სინამდვილე ამ მხრივ აღემატება ყოველივე მათ მოლოდინს და მშვენივრად აბათილებს იმ ხმებს, რომელიც გავრცელებულია საზღვარგარეთ საბჭოთა ტრანსპორტის მდგომარეობის შესახებ. მიუხედავათ ასეთი დიდი მარშრუტისა (მოსკოვი—ყაზანი—ეკატერინბურგი—ჩელიაბინსკი—ზლატოუსტი—[illegible] ვოლგაზე [illegible] ლნიე—[illegible] ამიერ კავკასიაში), რომელიც წინასწარ იყო შედგენილი დელეგაციის მიერ, მატარებლების მიმოსვლის ცხრილი გზაში სისწორით სრულდებოდა. კერძოთ, ამერიკელებზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა საქართველოს სამხედრო გზამ: მათი ერთსულოვანი განცხადებით, ეს გზა ყველაზე უფრო ლამაზია მთელს ქვეყანაზე.

**ამერიკის დამხმარე კომიტეტის მუშაობა სომეხთა შორის.**

დელეგაციის ჩამოსვლის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია სომხეთის ხალხის ცხოვრების გამოკვლევა, რომლის მდგომარეობას ესე თანაუგრძნობს ამერიკის ხალხი.

ამერიკული კომიტეტის მუშაობა სომეხთა დახმარების საქმეში, განსაკუთრებით კი ბავშვების, დელეგაციის მიერ ცნობილი იქნა სრულიად ნაყოფიერათ. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ დელეგაციის წევრები სთხოვენ ამერიკის ხალხს, რომ გაგრძელებულ იქნეს გაჭირვებულ სომეხთა დახმარება.

**ამერიკისა და რუსეთის ხალხების მეგობრობა აუცილებელია.**

გამოკვლევის მთელი შედეგები მოხსენდება ამერიკის ხალხს, რომელიც დაინტერესებულია თავის მუდმივ მეგობრის—რუსეთის ხალხის ბედით. დელეგაციის წევრები, როგორც ერთი კაცი, ამბობენ, რომ ორივე ხალხის მეგობრობა აუცილებელია. ეს ტრადიციათ გახდა უკვე და ეს რწმენა ურყევია ყოველ ამერიკელის შეგნებაში.

# ხაზით-დეპეშები

(„ზაქროსტა“-ს ცნობები)

## იტალია-საბერძნეთის ინციდენტი

**იტალიის სამხედრო დელეგაციის წევრთა მოკვლა.**

ვენა. 29 აგვისტო. უცნობმა პირებმა საბერძნეთში მოჰკლეს იტალიის სამხედრო დელეგაციის საბერძნეთ-ალბანეთის საზღვრების გამომრკვევ კომისიის წევრი გენერალი ტელლინი, პოლკოვნიკი კორტი და 3 ოფიცერი.

**იტალიის ულტიმატუმი საბერძნეთის მთავრობისადმი.**

ბერლინი. 31 აგვისტო. საბერძნეთში საბერძნეთ-ალბანეთის საზღვრების დამწესებელ იტალიის სამხედრო დელეგაციის წევრთა მოკვლის გამო, იტალიის წარმომადგენელმა ათინაში მონტანიემ გადასცა საბერძნეთის მთავრობას ულტიმატუმი, რომელიც მოითხოვს საბერძნეთისაგან: 1) სრულ ოფიციალურ ბოდიშის მოხდას, 2) საზეიმო პანაშვიდის გადახდას მოკლულების ცხედართან ათინაში, საბერძნეთის მთავრობის მთელი შემადგენლობის თანადასწრებით, 3) განსაკუთრებულ პატივისცემას იტალიის ფლაგისადმი, რომელიც აღმართულია იტალიის ფლოტის მიერ პირეიში. სალიუტის დროს საბერძნეთის გემებზე უნდა აღმართულ იქნეს იტალიის ფლაგი, 4) საბერძნეთის ხელისუფლების მიერ დაუყოვნებლივ კვლევა ძიების დაწყება მკვლელობის გამო. კვლევა-ძიება უნდა მოხდეს იტალიის სამხედრო ატაშეს თანდასწრებით, 5) მკვლელობაში ყველა დამნაშავეების სიკვდილით დასჯას, და 6) 50 მილ. ლირის გადახდას, რომელიც უნდა იქნეს შეტანილი 5 დღის განმავლობაში.

**დიპლომატიურ წრეებში.**

ლონდონი. 31 აგვისტო. ინგლისის დიპლომატიურ წრეებში მდგომარეობას სერიოზულად სთვლიან. საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტროში აგრეთვე სერიოზულად უცქერიან იტალიის სამხედრო დელეგაციის წევრთა მოკვლას. იტალიის ელჩმა პარიზში მიიღო განკარგულება შეუთანხმდეს საფრანგეთის მთავრობას მკვლელობის გამო.

**იტალიის ფლოტი მზადაა.**

ლონდონი. 31 აგვისტო. იტალიის დელეგაციის წევრთა მოკვლის გამო, იტალიის გემმა ტარენტოში მიიღო ბრძანება იყოს მზად. ამ ბრძანებას ლონდონში დიდ მნიშვნელობას აძლევენ.

**ელჩთა კონფერენცია.**

ლონდონი. 31 აგვისტო. ელჩთა კონფერენციამ პარიზში წინადადება მისცა საფრანგეთის, ინგლისისა და იტალიის მთავრობებს პროტესტი განაცხადონ იტალიის დელეგაციის წევრთა მოკვლის გამო და მოსთხოვონ საბერძნეთის მთავრობას დაუყოვნებელი კვლევა-ძიების მოხდენა.

**საბერძნეთის პასუხი ულტიმატუმზე.**

ლონდონი. 31 აგვისტო. ჯერ კიდევ არ არის მიღებული ოფიციალური ცნობა საბერძნეთის მიერ ულტიმატუმზე პასუხის გამოგზავნის შესახებ. არაოფიციალურად იტყობინებიან, რომ საბერძნეთის მთავრობა თანახმაა დააკმაყოფილოს იტალიის ყველა მოთხოვნილებანი, რომელთაც დამამცირებელი ხასიათი არ აქვთ.

**იტალია თავს უყრის ჯარებს.**

ლონდონი 31 აგვისტო. ფლოტის კონცენტრაციის გარდა, იტალია თავს უყრის ქვეითა ჯარებს სამხრეთით.

**საბერძნეთის ჟურნალისტების გადასახლება.**

პარიზი. 31 აგვისტო გაზ. „ტრიბუნას“ ცნობით, საბერძნეთის გაზეთების 3 კორესპონდენტს წინადადება მიეცათ დაუყოვნებლივ დასტოვონ იტალია.

**ალბანელებს აბრალებენ.**

რომი. 31 აგვისტო. საბერძნეთის პრესა ათავსებს ვრცელ წერილებს, რომელშიაც სცდილობს იტალიის დელეგაციის წევრების მკვლელობა ალბანელებს გადააბრალოს. ამავე დროს მკვლელობა მოხდა 10 მილის მანძილზე ალბანეთის ტერიტორიიდან, მოკლულთა გვამები კი იპოვეს მხოლოდ რამდენიმე ასეულ იარდის მანძილზე საბერძნეთის მოწინავე სადარაჯოებიდან.

**საბერძნეთი წინადადებას იძლევა გამორკვეულ იქნეს ინციდენტი.**

რომი. 31 აგვისტო. რომის გაზეთების ათინის კორესპონდენტები იტყობინებიან, რომ მუსოლინის ნოტის საპასუხოდ, რომელიც მოითხოვს დაკმაყოფილებას იტალიის სამხედრო დელეგაციის წევრთა მოკვლისათვის, საბერძნეთის მთავრობამ განაცხადა, რომ იგი მზათაა შეასრულოს იტალიის მთავრობის მოთხოვნილებათა ნაწილი და წინადადებას იძლევა იტალიის წარმომადგენლებთან ერთად განხილულ იქნეს დანარჩენი მოთხოვნილებანი, გარდა იმათი, რომელნიც არღვევენ საბერძნეთის სუვერენიტეტს.

ავტორიტეტულ წრეებიდან მიღებულ ცნობების თანახმად, მუსოლინი მოითხოვს იტალიის ნოტაში ჩამოთვლილ ყველა მოთხოვნილებათა შესრულებას.

**ომის სუნი ტრიალებს.**

რომი. 31 აგვისტო. თუმცა აკრძალულია გაზეთებში მოთავსებულ იქნეს ცნობები ჯარების გადაჯგუფების შესახებ, მაინც გამოირკვა, რომ იტალიის მთავრობის მოთხოვნილებათა შესრულების მიზნით, იტალიის ჯარები მზად არიან საბრძოლველად. პოლიტიკური ატმოსფერა იტალიის სამხედრო მისიის წევრთა მოკვლის გამო, ძალიან წააგავს მსოფლიო ომის პირველ დღეების ატმოსფერას.

## გერმანიის ამბები

**კომუნისტების დევნა.**

ბერლინი. 30 აგვისტო გერმანიის კომპარტიის ბერლინის ბიუროში მოხდენილ გაჩხრეკის შემდეგ დაკავებულია სხდომის ანგარიშები და დაპატიმრებულია: პარტიის მდივანი პფევერადეცკი, ქალაქის მრჩეველი—კომუნისტი ფერგენერი, და ქალაქის ხმოსნები—კომუნისტები: ნავეროვიჩი, შუმახერი, ნოვროცკი, გელმანი და გროტე. დაშლილია რამოდენიმე ხნის წინეთ დაარსებული ბერლინის ოპოზიციონურ ქარხკომების ცენტრალური კომისია რესპუბლიკის დაცვის კანონის ძალით.

**აშკარა ცილისწამება.**

გამოაქვეყნა რა დაკავებული სხდომის ანგარიშები, ბეჭდვითი საქმის პრუსიის ბიურო ცდილობს დაამტკიცოს, რომ კომუნისტები ამზადებდენ აჯანყებას, რომლის მებაირაღტრეებათ გამოდიოდენ ქარხკომები, და განზრახული ქონდათ უცხო სახელმწიფოებთან კავშირის დაჭერა. პრესის ბიურო სდუმს იმ გარემოების შესახებ, რომ ლაპარაკი შესაძლებელია არა უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, არამედ, საზღვარგარეთელ კომპარტიების შესახებ..

„როტეფანე“ ენერგიულათ ილაშქრებს ზევერინგის მიერ ქარხკომების ახალ ცენტრალურ კომისიის აკრძალვის წინააღმდეგ, რომელიც დაარსებული იყო წინანდელ დაშლილ კომისიის მაგიერ ქარხკომების ყრილობაზე იერიშის მიტანის მიზნით.

ცხადია, დიდი კოალიცია გრძნობს თავისი მდგომარეობის სისუსტეს და ცდილობს თავს აიცილოს გერმანიის კომპარტიის თავდასხმა.

**ბერლინელ კომუნისტების დაპატიმრების მიზეზები.**

ბერლინი. 30 აგვისტო. ზევერინგის წინააღმდეგობის მიუხედავათ, კომუნისტები ენერგიულათ ემზადებოდენ საქარხნო და საფაბრიკო კომიტეტების კონგრესისათვის. იმართებოდა მუშათა კრებები ქარხკომების ასარჩევათ. დაარსებული იყო ოპოზიციონურ ქარხკომების კომიტეტი, რომელსაც დავალებული ქონდა კონგრესის ორგანიზაცია. ქარხკომების კომიტეტმა და კომუნისტ. პრესამ მიმართეს სხვადასხვა დარგის მუშებს, სასოფლო მუშებს, წვრილ გლეხობას და მოხელე-მოსამსახურეებს მოწოდებით, რომელშიაც წინადადებას აძლევდენ მათ მონაწილეობა მიეღოთ კონგრესის წევრთა არჩევნებში.

მოძრაობის ასეთი მასიური ხასიათი იყო ბერლინელ კომუნისტების დაპატიმრების მიზეზი.

**გერმანელ ფაშისტებს იმედი გაუცრუვდათ.**

ბერლინი. 30 აგვისტო. გერმანელ ფაშისტების წრეებში ძლიერდება უკმაყოფილება თავიანთ მეთაურების მიმართ. ფაშიზმი უძლურია სერიოზული საშიშროება შექმნას მუშათა მოძრაობისათვის. პირველი დამარცხება ფაშისტებმა იგემეს მიუნხენში, 1 მაისს, როდესაც, მიუხედავათ ფაშისტების მუქარისა, კომუნისტებმა გამართეს დღესასწაული და დემონსტრაციები. მეორე დამარცხება—29 ივლისს, როდესაც გაიმართა მრავალრიცხოვანი მიტინგები, მიუხედავათ ფაშისტების მიერ შექმნილ დაბრკოლებებისა, მაგრამ განსაკუთრებით მკაფიოთ ფაშისტების სისუსტე გამოაშკარავდა გერმანიის უკანასკნელ გაფიცვების დროს.

**ფაშისტურ ორგანიზაციებს დიდი უკმაყოფილება ეჩნევა. ფაშიზმის უძლურების მიზეზია გერმანიაში მასსებზე კომუნისტების დიდი გავლენა, რომლებიც ფრთხილათ მოქმედებენ და წინდაწინვე აქარწყლებენ პროვოკაციულ გამოსვლების შესაძლებლობას.**

**ლეიპციგის ბაზრობამ უფერულად ჩაიარა.**

პარიზი. 31 აგვისტო. ლეიპციგის ბაზრობა დასრულდა. მეტისმეტი სიძვირის გამო მორიგება თითქმის არ მომხდარა. ბაზრობაზე ხალხიც ცოტა იყო.

## ს. ს. რ. კ. ცნობის გარშემო

პეკინი. 30 აგვისტო პეკინის სტუდენტების კავშირი პროტესტს აცხადებს უცხოელების მოთხოვნილების წინააღმდეგ ლინჩინის ინციდენტთან დაკავშირებით. კარახანი ამბობს, რომ მთავრობის კამპანია კომუნისტების წინააღმდეგ და კომიტეტის აკრძალვა მიზნად ისახავს საბჭოთა რუსეთის ცნობის დაგვიანებას. ამავე დროს მხოლოდ რუსეთს შეუძლია დაუბრუნოს ჩინეთს თავისი უფლებები, რომელიც წაართვა მას მეფის მთავრობამ და მოითხოვს დაუბრუნონ ინგლისელებმა ჩინეთს ვენ-ხაი-ვეის ნავთსადგური.

**რუსეთ-დანიის კეთილ მეზობლური ურთიერთობა.**

კოპენჰაგენი. 30 აგვისტო. დანიის პრესა დიდის თანაგრძნობით იხსენიებს რუსეთის სრულუფლებიან წარმომადგენელს გეინეს და მოჰყავს ვრცელი საუბრის შინაარსი მასთან, მომავალ სავაჭრო ურთიერთობისა და კეთილ-მეზობლურ განწყობილების შესახებ საბჭოთა რუსეთის მიმართ. გეინი აღნიშნავს დანიის საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ თავაზიან მიღებას და ამბობს, რომ ასეთი მიღება საფუძვლად დაედება მის მოღვაწეობას დანიაში.

**ნდობა საბჭოთა რუსეთის მიმართ.**

მოსკოვი. 31 აგვის. ინგლისის დამზღვევმა საზოგადოებებმა პირველად გაჰბედეს დაზღვევა ინგლისური ფირმებისა სრულიად საკავშირო გამოფენაზე.

**რუსეთ-ლატვიის ურთიერთობის განმტკიცება.**

რიგა. 30 აგვის. ლატვიაში მყოფმა რუსეთის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა არალოვმა, რწმუნების სიგელის გადაცემის დროს, განუცხადა ლატვიის მთავრობას, რომ ურთიერთობა ორივე სახელმწიფოთა შორის მტკიცე ნიადაგზე დგებაო. ლატვიის პრეზიდენტმა კმაყოფილებით აღნიშნა ურთიერთობის გაუმჯობესება და დიდად დაინტერესდა რუსეთის კონსტიტუციით. საუბრის დასასრულს პრეზიდენტმა სინანული გამოსთქვა, რომ ვერ სარგებლობს სრულიად საკავშირო გამოფენაზე საპატიო მიწვევით.

## ოკუპაციის გარშემო

**სეპარატიული მოძრაობა რეინის-ოლქში.**

ბერლინი. 30 აგვისტო. სეპარატისტული მოძრაობა რეინის ოლქში შესაჩნევათ გაძლიერდა. მას უერთდება მოსახლეობის სხვა და სხვა წრეების წარმომადგენლები და აგრეთვე სინდიკალისტების გავლენის ქვეშ მყოფი მუშები. მოძრაობას ხელს უწყობს სიძვირის ზრდა და სურსათის ნაკლულობა.

„ველტ ამ მონტაგი სეპარატისტულ საშიშროებას სერიოზულათ სთვლის და რურისა და რეინის ოლქის გადასარჩენათ მოითხოვს პუანკარესთან მოლაპარაკების დაუყოვნებლივ განახლებას, პასსიურ წინააღმდეგობის შეწყვეტას და რურის ოლქის ევაკუაციას.

**ურჩების დასჯა.**

ბერლინი. 31 აგვისტო. მიუნხენსა და გალადბახში სეპერატისტების დემონსტრაციების ჩაშლის შემდეგ ბელგიის საოკუპაციო ხელისუფლებამ გააძევა ქალაქის თავები, ადგილობრივ პროფკავშირთა მდივნები და პოლიციის რამდენიმე ოფიცერი.

**ხანძარი მაღაროებში.**

ბერლინი. 31 აგვისტო. დორტმუნდის მახლობლად იწვის ნახევარ მილიონი ტონა ქვა-ნახშირი და 300,000 ტონი კოქსი.

**ხელფასის ფონდს იტაცებენ.**

პარიზი. 31 აგვისტო. საფრანგეთის საოკუპაციო ხელისუფლებამ დღეს ხელში ჩაიგდო მოხელეებისა და რკინისგზელებისათვის ხელფასის დასარიგებელი თანხები. ოთხშაბათს ოკუპანტებმა წაიღეს 431 მილიარდი მარკა.

**მაღაროების დაჭერა.**

პარიზი. 31 აგვისტო. დიუსელდორფში ოკუპანტებმა დაიჭირეს კიდევ ორი მაღარო და ნაწილი „ფენიქსის“ ქარხნისა.

**სიმშილობის ბლოკადა.**

მილანი. 29 აგვისტო. „კორიერა დე—ლა სერა“ იტყობინება, რომ რამდენათაც შეიძლება დამყარება დაკავებულ რურიდან იშვიათად მოსულ ცნობებზე, სურსათ-სანოვაგე, რომელიც იქ იმყოფება, ჩქარა გამოილევა. შემოღებულია ბარათების სისტემა კვერცხი და რძე სრულიად აღარ იშოვება.

## ახლო აღმოსავლეთში

**ოსმალეთი.**

**სტამბოლის ევაკუაცია.**

პარიზი. 30 აგვისტო. როდესაც სტამბოლი მოკავშირეთა ჯარების ევაკუაცია დასრულდება, იქ ჩავა ქემალ-ფაშა.

## შორეული აღმოსავლეთი

**ჩინეთი.**

**ჩინეთის სუვერენიტეტის შელახვა.**

პეკინი. 29 აგვისტო. პეკინში არსებულ ინგლისურ გაზეთის „დეილი ნიუზის“ ცნობით, საფრანგეთის კოლონიების სამინისტრომ ჩაიდინა ისეთი რამ, რაც არღვევს ჩინეთის სუვერენულ უფლებებს. მთავარ ქალაქში, რომელიც მდებარეობს ინდოეთის ჩინეთის საზღვარზე იუნანში, ფრანგებმა მოაწყვეს ძლიერი რადიო-სადგური. ჩინეთის მთავრობამ ამის გამო განმარტება. მოსალოდნელია იაპონიის მთავრობის პროტესტიც, რომელიც იუნანის პროვინციას იაპონიის გავლენის ქვეშ მყოფ ზონად სთვლის.

**იაპონია**

**ახალი პრემიერი.**

რომი. 31 აგვისტო. ტოკიოდან იუწყებიან, რომ გრაფმა იამანატომ იკისრა კაბინეტის შედგენა იმ პირობით, რომ კაბინეტის შედგენის ვადა მორიგ არჩევნებამდე გაგრძელდეს.

## ინდოეთში

**გაფიცვა.**

რომი. 30 აგვისტო. სიმლასა და ბომბეიში მუშათა გაფიცვა გამოცხადდა.

**ინდუსების აჯანყება.**

ლონდონი. 28 აგვისტო. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ აგერში და ინდოეთის სხვა ადგილებში მოხდა ინდუსების ამბოხება.

## ფიუმეს საკითხი

**სამხრეთ სლავიის გეგმა.**

ვენა. 29 აგვისტო. იტალიური წყაროებით, სამხრეთ სლავია, იტალიისათვის მიცემულ პასუხში, წინადადებას იძლევა, რათა ფიუმეს მართვა-გამგეობა ერთი წლის ვადით მინდოს იტალია—სამხრეთ სლავიის პარიტეტულ კომისიას, ხოლო ამის შემდეგ კი ფიუმეს საკითხი გადასაწყვეტად გადაეცეს შვეიცარიის პრეზიდენტს, თუ ერთი წლის განმავლობაში ვერ მიაღწიეს შეთანხმებას ამ საკითხის შესახებ. ამის სამაგიეროდ სამხრეთ-სლავია თხოულობს, რათა მისი სუვერენული უფლება აღიარონ ბაროშის ნავთსადგურზე.

ამავე დროს იტალიის გაზეთები იუწყებიან, რომ იტალიის მთავრობა განაგრძობს იარაღის გზავნას ფიუმეში.

## სხვადასხვა

**ბულგარეთი**

**ეძებენ სწორ გზას.**

ვენა. 30 აგვისტო სოციალ-დემოკრატების ბელადები კვლავ უარყოფითად უცქერიან ბულგარეთის კომპარტიის წინადადებას ერთიანი ფრონტის შექმნის შესახებ. მიუხედავად ამისა, ადგილებზე სოციალ-დემოკრატებს ემჩნევათ საერთო ენის გამონახვას სურვილი კომუნისტებთან. სოციალ დემოკრატიული გაზეთი „ეპოხა“ აღნიშნავს, რომ მთავრობის გაძლიერებული ტერრორის გამო სოციალ-დემოკრატიამ უარი უნდა სთქვას ბურჟუაზიასთან კოალიციაზე და გამოვიდეს მთავრობის შემადგენლობიდან.

**რუმინეთი**

**კომუნისტების განთავისუფლება.**

ვენა. 30 აგვისტო. 4 თვით ციხეში ყოფნის შემდეგ გაანთავისუფლეს ბესარაბიის კომუნისტების ლიდერები ბუონოსკი და ტკაჩენკო, ბრალდების დაუმტკიცებლობის გამო.

**„ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე“ რუმინეთში.**

ვენა. 30 აგვისტო. ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის მოახლოვების გამო, რუმინეთის ახალგაზრდობის კომკავშირი მოუწოდებს მშრომელ ახალგაზრდობას ბრძოლისაკენ ფაშიზმის მილიტარიზმის წინააღმდეგ და ახალგაზრდობის დღის საწინააღმდეგო გამოსვლებისაკენ.

**შეერთებული შტატები.**

**ფოსტერზე თავდასხმის გამო.**

ნიუ იორკი 30 აგვისტო. ფოსტერზე თავდასხმის მომწყობნი ვერ აღმოაჩინეს. თავდასხმის შემდეგ ფოსტერი განაგრძობდა სიტყვას.

# საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

**საბერძნეთი**

**გაფიცულების დევნა.**

ვენა. 30 აგვისტო. მეზღვაურთა საერთო გაფიცვის დასრულების შემდეგ, საბერძნეთში მასიური დაპატიმრება სწარმოებს. საბერძნეთის მინისტრის გონატორის განცხადებით, მთავრობა არ მოითმენს კომუნისტური იდეების გავრცელებას მუშათა ორგანიზაციებში. მთავრობის გაძლიერებულმა ტერრორმა ხელი შეუშალა ფოსტატელეგრაფის მოსამსახურეთა განზრახულ გაფიცვებს.

**ინგლისი**

**მუშათა მოძრაობა უგაზეთოდ ვერ განვითარდება.**

ლონდონი 18 აგვისტო. „დეილი ჰერალდ“-ში მოთავსებულია მთელი წყება წერილებისა და დეპეშებისა მუშათა პარტიის განყოფილებათა და ტრედუნიონებისა, საიდანაც სჩანს, თუ რა ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა მუშებზედაც [illegible] გაზეთის შეჩერების შესახებ.

დეპეშებში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ მუშათა მოძრაობა უგაზეთოდ ვერ განვითარდება.

**უნგრეთი**

**ხელფასის მომატებისათვის.**

ვენა. 28 აგვისტო. ბუდაპეშტის საფქვავ ქარხნებში მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს და მოითხოვეს ხელფასის გადიდება 75 პროცენტით.

**იტალია**

**მემანქანეებიც გაიფიცნენ**

რომი. 30 აგვისტო. ტრანში, მარმარილოს დამმუშავებელ ფაბრიკაში კვირაზე მეტია გრძელდება მუშების გაფიცვა, რომლებიც არ ეთანხმებიან სამუშაო ხელფასის შემცირებაზე. ყველა გაფიცულები ჩაწერილი არიან ფაშისტურ პროფკავშირებში.

# ამიერ კავკასიის ფედერაციაში

**საქართველო**

**აჭარა**

**ახალი ადმინისტრატიული დაყოფა.**

ბათომი. 31 აგვისტო. ცენტრალურმა აღმასკომმა დაამტკიცა აჭარის ს. ს. რ. ახალი ადმინისტრატიული დაყოფის პროექტი. ამ პროექტის მიხედვით აჭარა დაიყოფა 4 მაზრათ: ბათომის, ქოროხის, ქობულეთის და კოდის.

**დაზღვევის საქმე.**

ბათომი. 31 აგვისტო. იმის გამო, რომ ადგილებზე არ არის დამზღვევი კასის ექიმები და აუცილებელი კი არის საექიმო დახმარების გაწევა იქ მყოფ დაზღვეულთათვის, აჭარის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა ცირკულიარული განკარგულება დაუგზავნა ჩაქვისა, აჭარის-წყლისა, ქობულეთისა, ქედისა და ხულოს ყველა საავადმყოფოებისა და საექიმო პუნქტების გამგებს—პარალელურათ თავის პირდაპირ ვალდებულებებთან აწარმოონ აგრეთვე დამზღვევ ექიმების ვალდებულებაც.

**ქობულეთის კურორტი.**

ბათომი. 31 აგვისტო. „ზაქროსტა“-ს კორესპონდენტთან საუბრის დროს კურორტის რწმუნებულმა განაცხადა. უკანასკნელ დროის განმავლობაში ქობულეთს სერიოზული ყურადღება აქვს მიქცეული ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ, რომელმაც თავის 24 აგვისტოს სხდომაზე დაადგინა გადადებულ იქნეს 25,000 მან. ოქროთი ქობულეთის აგარაკების აღდგენისა, შეკეთებისა და მოწყობისათვის. აჭარის ჯანმრთელობის სახალხო კომისარს ქიჩუაშვილს მინდობილი აქვს ათი დღის ვადაში შეადგინოს ხარჯების დაწვრილებითი ხარჯთაღრიცხვა, რომელიც საჭირო იქნება აგარაკების აღსადგენათ, და აგრეთვე აღდგენის გეგმა. პირველ რიგში სდგას სანატორიების მოწყობის საკითხი: მოწყობილი უნდა იქნეს 50 საწოლიანი საზამთრო სანატორიუმი და 1 საწოლიანი—საზაფხულო. ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველო კისრულობს ვიწრო ლიანდაგიან გზის გაყვანას სად. ქობულეთიდან სოფ. ქვეჩენარამდე, რაც დიდ როლს ითამაშებს ქალაქ ქობულეთის განვითარებაში. მუშაობა ვიწრო ლიანდაგიან გზის გაყვანისა და კურორტის აღსადგენათ დაიწყება ზამთრის თვეებში, იმ ანგარიშით, რომ დამთავრებულ იქნეს 1924 წ. გაზაფხულისათვის.

აზერბეიჯანი

**ძველი წარწერების შესწავლა.**

ბაქო. 30 აგვისტო. აზერბეიჯანის საარქეოლოგიო კომიტეტმა გამოკვლევის დროს აღმოაჩინა სოფ. ნარდარაკსა და მუშტაღაში ძველ და ნაგებ კოშკების ქვებზე წარწერები არაბულ ენაზე, რომლის არსებობაც დღევანდლამდე არავინ იცოდა. წარწერები ეკუთვნის მე-13 საუკუნეს. ეს წარწერები სინათლეს ჰფენენ აზერბეიჯანის საშუალო საუკუნეთა ისტორიას. შეუდგნენ აგრეთვე ბაქოში არსებულ წარწერების შესწავლასაც.

**პროლეტ-კინო.**

ბაქო. 30 აგვისტო. სექტემბრის ნახევრიდან ბაქოში მოქმედებას დაიწყებს პროლეტ-კინოს ამხანაგობის ბაქოს განყოფილება. მაზრებისა და დაბა-სოფლებისათვის ქირით გაიცემა სამეცნიერო, სააგიტაციო და სამხატვრო სურათები და მოძრავი კინემატოგრაფი.

**ძირტკბილას დამზადება.**

ბაქო 30 აგვისტო. ვაჭრობა-მრეწველობის სახალხო კომისარიატმა და ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველომ საზიაროდ დაამზადეს 20,000 ტონა ძირტკბილა, განჯისა და უჯარის რუბისურის ქარხნების მუშაობის უზრუნველსაყოფათ.

# საქართველოს მენშევიკური პარტიის ლიკვი

## მენშევიკური პარტიის სრულიად საქართველოს ყრილობა

(სტენოგრაფიული ანგარიშები.)

### ამხ. ქატაიამას სიტყვა

(მენშევიკური პარტიის 30 აგვისტოს სხდომაზე).

სალამს უძღვნი ყრილობას იაპონიის ომუნისტურ პარტიისა და რევოლიციონურ მუშათა სახელით.

მოხარული ვარ აგრეთვე, მოგესალმოთ ყველა ქვეყნის მუშათა სახელით ქვენ, რომლებიც სდგებით კომინტერნის დროშის ქვეშ.

დადგა დრო მომავლისათვის აღშენებისა და წარსულ შეცდომების დავიწყებისა.

სიამოვნებით გავიგე, რომ ამ ყრილობამ დაადგინა ჩადგეს კომინტერნის დროშის ქვეშ და ვესალმები ყრილობის ამ ფრიად მნიშვნელოვან ნაბიჯს.

ჩვენ განვიცდით უმნიშვნელოვანეს მომენტს კაცობრიობის ისტორიაში. ყველა ქვეყნის სოციალ-დემოკრატიამ მრავალ შემთხვევაში და მრავალ ქვეყანაში დაივიწყა თავისი წარსული რევოლიუციონური დამსახურებანი და მსოფლიო კაპიტალიზმის უბრალო მსახურეთ გახდა.

მეორეს მხრით ჩვენ განვიცდით ყველა ფრონტზე კაპიტალის გააფთრებულ შემოტევის პერიოდს და ამ შემოტევის დროს კაპიტალიზმი განსაკუთრებულ სიმძიმით თავს ესხმის რევოლიუციონურ პროლეტარიატის ავანპოსტს - ყველა ქვეყნის კომუნისტურ პარტიებს. მაგალითად, ამ ჟამათ გერმანიის კომპარტიას სდევნიან. იაპონიის რეაქციონურმა მთავრობამ რამოდენიმე თვის წინეთ დააპატიმრა 100 იაპონელი კომუნისტი, რომლებიც აქამდე სარდაფებში იტანჯებიან.

კაპიტალიზმის ეს შემოტევა ავალებს ყველა რევოლიუციონურ მუშებს მჭიდროთ დაირაზმონ მე 3 ინტერნაციონალის გარშემო.

წამოდით ჩვენსკენ ჩვენი წითელ დროშების ქვეშ. ჩვენ ყველამ, და მათ შორის თქვენც, უნდა ვიმუშაოთ რევოლიუციონურ გერმანიის დასახმარებლათ. მალე ისტორია მოგვთხოვს ამ დახმარებას. და ბოლოს, თქვენ უნდა ეცადოთ განამტკიცოთ რუსეთის კომუნისტური პარტია.

კიდევ მოგესალმებით კომინტერნისა და იაპონიის კომპარტიის სახელით. იმედი მაქვს თქვენ იმუშავებთ მომავალ პროლეტარულ რევოლიუციის საკეთილდღეოთ.

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას!

გაუმარჯოს მე-3 ინტერნაციონალს!

გაუმარჯოს საბჭოთა რუსეთს, საბჭოთა საქართველოს და საქართველოს კომუნისტურ პარტიას!

### ამხ. ჟუმბურიძის საბოლოო სიტყვა

**თავმჯდომარე:** ამხანაგებო, ორატორთა სია ამოწურულია. ნება მიბოძეთ საბოლოო სიტყვა მივცეთ მომხსენებელს.

**ჟუმბურიძე:** ამხანაგებო, მე ჩემს ბოლო სიტყვაში ბევრი აღარ დამრჩა სათქმელი, რადგანაც ის მთავარი დებულებები, რომელიც გამოთქმული იყო ჩემს მოხსენებაში, კონფერენციის მიერ ერთსულოვნად არის გაზიარებული. ეს აშკარათ სჩანს იმ ორატორთა სიტყვებიდან, რომელნიც გამოდიოდენ და რომელნიც სავსებით არიან გამომხატველნი კონფერენციის სულისკვეთებისა.

ამხანაგებო! აქ ორიოდე პიროვნება გამოვიდა იმ მიზნით, რომ დაეცა ჩვენი კონფერენციის პრესტიჟი, [illegible] მისი მნიშვნელობა. მათ [illegible] უპასუხეს ამხანაგებმა, მაგრამ მე როგორც მომხსენებელი, მა[illegible] მოვალეთ ვსთვლი ჩემს თავს ორიოდე სიტყვით უპასუხო მათ და ამ პიროვნება გამოამზეურო. მე განვაცხადე გუშინ, რომ არალეგალური მენშევიკური ცეკა ჩვენი კონფერენციის გარშემო აწარმოებს მუშაობას. მან მობილიზაცია უყო ყველა თავის ძალებს. ეხლა ჩვენ ნამდვილი ცნობა გვაქვს, რომ არა ლეგალური მენშევიკური ცეკის აგენტები [illegible], მოდიან ჩვენ ამხ. დელეგატებთან და ეუბნებიან: ოღონდ თქვენ ადექით და განაცხადეთ, რომ თქვენ ძალით მოგიყვანეს და თქვენ უზრუნველგყოფთო. აი ასეთი არის ამხანაგი, რომელსაც მიმართეს ასეთი წინადადებით, სწორეთ ასეთი მუშაობის [illegible] დელეგატი მურმანოვის გუშინდელი გამოსვლა. მე მგონია ამხ. [illegible]ნიევმა დაუმსახურებელი ნდობა გამოუცხადა მურმანოვს როდესაც [illegible], ვითომ მურმანოვს თითქმის [illegible] დამოკიდებულება არ ქონია არალეგალურ ცეკასთან. მე მგონია ეს აზრი შემცდარია. თქვენ, რომ [illegible] სიტყვა ლექსიკონი ამ დელეგატის—ეს სიტყვა, ეს ლექსიკონი [illegible] ამოღებულია არალეგალურ [illegible] ორგანოს „ჩვენი ერთობის“ ფურცლებიდან. იქაც წაიკითხავთ ამ სიტყვებს: „კომუნისტები [illegible] ოკუპანტები, უცხო ძალით შემოსული, დიქტატურა კომუნისტებისა [illegible] პროლეტარიატის დიქტატურას, ეს არის ერთი მუჭა ავანტიურისტების დიქტატურა“. ეს განაცხადა იმ დელეგატმა და ამავე [illegible] არალეგალურ უკანასკნელ [illegible] ფურცელში. ასე რომ ეს დელეგატი აქ აუცილებლივ მოვიდა [illegible] განსაზღვრულ დირექტივებით. [illegible] ვიტყვი. მისი აქ გამოსვლა [illegible] ცეკას დეკლარაცია. მისი [illegible] მოკლეთ, კონსპექტიურათ გამოთქმული.

რა თქვა ამ დელეგატმა? მან განაცხადა, რომ ბევრი აქაური დელეგატი ძალით არის მოყვანილი, [illegible] ძალით გამომდენესო. მაგრამ [illegible] კუთხიდან მოსულმა დელეგატმა [illegible] ტურამ, დაადასტურა, რომ [illegible] რამეს ადგილი არ ჰქონია, [illegible]და, რომ მე არ მოველოდი და [illegible] მისი ასეთი განცხადება. [illegible] ამომრჩევლებს ეს არ დაუ[illegible]. მაშ ვინ დაავალა? ცხადია ტფილისში ჩამოსულს და ვალა[illegible] ცეკის აგენტებმა. სა[illegible] იმ პროვოკაციული ხმების [illegible], რომელსაც ავრცელებენ [illegible] და რომლის მიზანიც არის [illegible] პრესტიჟი, მნიშვნელობა [illegible] კონფერენციის—ამის შესახებ [illegible] შემდეგი: თვით მე [illegible] ვიყავი ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანი იმ წინანდელ კრებებისა [illegible] სამაზრო კონფერენციებისა, [illegible] სწყდებოდა უკანასკნელი სა[illegible] ყოველი კრების გახსნის წინ, [illegible] გაიხსნებოდა ჩვენ ვაც[illegible] წინასწარ, რომ ეს კრება სრულიად თავისუფალი და ყვე[illegible] უძლია გამოვიდეს და გამოთქვას თავისი შეხედულება და თავისი (ხმები: მართალია) ამხანაგები დაადასტურებენ ამას. ჩვენ წინააღმდეგ გამოდიოდენ მოწინააღმდეგენი, და როდესაც საკითხის გადაწყვეტა ხდებოდა, ნაწილი კიდეც პროტესტით სტოვებდა კრებას, იყო თუ არა ასეთი მოვლენა. (ხმები: იყო).

აი მე მინდა, რომ თქვენ დაადასტუროთ ეს, რადგანაც ამ პროკლამაციაში, რომელიც გამოცემულია უკანასკნელ ხანებში არალეგალურ ცეკას მიერ ნათქვამია: „აი ეს ავანტიურისტების ჯგუფი... (კითხულობს) მე მინდა, რომ თქვენ დაადასტუროთ აქ,—ამით არავის შეურაცხყოფა მინდა—მაგრამ შესაძლებელია აქ შემთხვევით არის არალეგალურ ცეკას წარმომადგენელი და მან გადასცეს იმ ავანტიურისტებს და „სამოზვანცებს“, რომ ასეთ შემთხვევას ადგილი არ ჰქონია. რომ ეს არის შეურაცხყოფა ძველი მუშებისა, რომელთაც მთელი თავისი სიცოცხლე გაუტარებიათ მუშაობაში, რომელთაც 20 და 30 წლიწადი [illegible] ამ საქმისათვის. შეურაცხყოფაა იმ ამხანაგებისა, რომელიც ჯერ კიდევ თვითმპყრობელის წინააღმდეგ იბრძოდა თავისუფლების მოსაპოვებლად, რომელმაც მთელი თავისი ჯანმრთელობა ჩასტოვა ციხე-კატორღებში. მე მგონია, რომ აქ ასეთები არიან და ისინი ასე ადვილად არ გაჰყიდიდენ თავის პოლიტიკურ სინიდისს. ამხანაგებო, მეორე დელეგატი, რომელიც დაახლოვებით ასეთივე მიზნით გამოვიდა, აქ მთელ ბრალდებას და დანაშაულს თავზე ახვევდა პარტიის ინტელიგენტურ ნაწილს. ამის შესახებ უკვე გასცეს მათ შესაფერი პასუხი და სთქვეს, რომ ეს არის შეურაცხყოფა შეგნებული მუშებისა, რომელნიც ხომ ცხვრები არ არიან, რომ ვინც სად მოისურვებს იქით გარეკავს. რომ ინტელიგენტებს და მეთაურებს ეს არ შეუძლიანთ და მუშები თავის სურვილით მოვიდნენ აქ. მე ამას ვამბობ იმ დელეგატის საყურადღებოდ, მოვიყვან მრავალ მაგალითებიდან ერთ მაგალითს. ყველამ იცის, რომ მსოფლიო ომის დროს ნოე ჟორდანია იცავდა ობორონცების პოზიციას, და განსვენებულ გიორგი პლეხანოვთან ერთად ამტკიცებდა, რომ თუ ანტანტის კოალიციამ არ გაიმარჯვა—ეს დაღუპავს კაცობრიობას და მუშათა კლასის [illegible] ცუდათ დამთავრდებაო. როდესაც მან მოხსენება გააკეთა ტფილისში „იაქესავით“ დარჩა, რადგანაც მუშებმა მას მხარი არ დაუჭირეს. ის ლანჩხუთიდან გზავნიდა ტფილისში წერილებს, რომლებსაც არ უბეჭდავდნენ. ერთხელ გამოგზავნა ასეთი წერილი ქუთაისში, სადაც გამოდიოდა „მუშათა კვალი“. ჯერ არ უშვებდნენ და შემდეგ გაუშვეს უშველებელი შენიშვნით, სადაც იყო ნათქვამი, რომ ამ წერილში გამოთქმულ აზრებს სრულიად არ ვიზიარებთო. მაშასადამე, არც ისე ადვილად შეიძლება შეგნებული მუშის წაღმა-უკუღმა ტრიალი, როგორც ამტკიცებს ამას ერთი დელეგატი და ბევრნი ამას ადასტურებენ. თუ ვცდებოდით ყველანი, ჩვენც, მურმანიშვილიც და სხვებიც. მე არ უარვყოფ ამას. ჩემს წინააღმდეგ იყო გამოთქმული ასეთი შეხედულება, რომ მე წინად ერთს ვლაპარაკობდი და ახლა მეორეს. არ უარვყოფ ამას სრულიად. როდესაც მე ხაშურში ვმუშაობდი, სადაც სამ-ოთხი წლის განმავლობაში ვიყავი, ხშირად ვამბობდი, რომ ბოლშევიკები სცდებიან, არ არის მომზადებული ნიადაგი სუბიექტიური და ობიექტიური, რომ პროლეტარული რევოლიუცია მოხდეს, და ძალაუფლება ხელში აიღოს პროლეტარიატმათქო. საერთოდ ვამბობდი, რომ ოქტომბრის რევოლიუცია უდღეური არისთქო. მაგრამ განვლო 21 წელმა და ეს არ დამტკიცდა, არ აღმოჩნდა და გამოჩნდა ის, რომ შემცდარი ვყოფილვართ და შემცდარათ ვაფასებდით მაშინდელ ისტორიულ მომენტს. ძალიან დიდი გმირობა არ არის ესა ვთქვათ, და არც ის არის კარგი, რომ ჩვენ ვიძახოთ: ჩვენ ვსცდებოდით და თქვენ მართალი იყავით, როგორც ჩვენ ვეუბნებით ამხ. კომუნისტებს. ეს პირადი, ცალკე, საკუთარ თავმოყვარეობის საკითხი არ არის. ამხანაგებო, ის დელეგატი, რომელზედაც მე მოგახსენეთ, კიდევ ლაპარაკობს ვიღაც იდეურ მენშევიკებთან შეკავშირებაზე. მე არ ვიცი ვინ არიან ეს იდეური მენშევიკ-ბოლშევიკები, ვინ ჰქონდა მას სახეში. მაპატიეთ მე, რომ მის გულწრფელობაში და იდეობაში ეჭვი შემაქვს. მის განცხადებას, ცოტა არ იყოს, ინტრიგის სული უდის.

აქ იყო ნათქვამი სოციალ-დემოკრატიის წარსულის შესახებ. ამის შესახებ ილაპარაკა დიდათ პატივცემულმა ფილიპე მახარაძემ. მან აღნიშნა წარსული დამსახურება სოციალ დემოკრატიისა. ამის უარყოფა არ შეიძლება და არც მე გამიტარებია ჩემს მოხსენებაში ასეთი აზრი. პირიქით მე საერთოდ აღვნიშნე ის დამსახურება, რომელიც მიუძღვის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას საერთოდ კავკასიის ერების წინაშე, ამის უარყოფა შეუძლებელია, შეუძლებელია იმის უარყოფაც, რომ სოციალ-დემოკრატიამ თავის აკვანში მრავალი რევოლიუციონერები გამოზარდა და როდესაც „ტრიბუნის“ პუბლიცისტები ამას აქარწყლებენ და ამბობენ, რომ სოციალ-დემოკრატია შემფერხებელი იყო, მოღალატე იყო, შემზღუდველი ქართველი ხალხის განვითარებისაო,—ეს არის ღირსი იმ პუბლიცისტებს, იმ პოლიტიკოსების, რომლებიც ამას ამბობენ და ბოლოს და ბოლოს სირცხვილია, რომ საქართველოს საუკეთესო შვილებს, საუკეთესო რევოლიუციონერებს, სოციალ-დემოკრატიას რევოლიუციონერობაში ეცილებიან.

ამხანაგებო, საერთო მთავარი დებულება, რომელიც წამოყენებული იყო ჩემს მოხსენებაში, პარტიულ ორგანიზაციების ლიკვიდაციის შესახებ, ამის გარშემო ერთსულოვანი აზრი არსებობს, როგორც სჩანს გამოსულ ორატორების სიტყვებიდან. შემდეგ ამ კონფერენციის უკანასკნელ სხდომაზე წარმოდგენილ იქნება შესაფერი რეზოლიუცია, რომელსაც ალბათ ერთხმად გაიზიარებს კონფერენცია. საერთოდ სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, რომ მიზანი, რომელიც დასახული გვქონდა სრულდება და კონფერენცია [illegible] მუშაობა საუკეთესო ნაყოფიერი არის. სრულდება ის მიზანი, რომ უნდა გაერთიანდეს დღევანდელ საბედისწერო მომენტში საქართველოს მუშათა კლასი. ეს მიზანი სრულდება, და ვინც არ უნდა ილაპარაკოს, რაც უნდა სთქვან ცეკის „სამოზვანცების“ და ავანტიურისტების გაბოროტებულმა ენებმა, ეს სრულდება, რადგანაც ჩვენთან არის საუკეთესო ნაწილი მენშევიკური პარტიის წევრებისა. ჩვენთან არის 12000 საუკეთესო წევრი, და როგორც გუშინ ფარნიევმა თავის სტატისტიკით გაარკვია, მათთან რჩება 1000 კაცი. მათ უკანასკნელ პროკლამაციაში აღნიშნული აქვთ, რომ ისინი, ვინც გადიან პარტიიდან, ჰკარგავენ უფლებას პარტიის მომავალზე ლაპარაკისა. სჩანს იქ ალბათ გაცვეთილი იურისტი ზის, რომელიც ამას ეპოტინება, მაგრამ ეს ვერ უშველის იმ ავანტიურისტებს, რომლებიც საბოლოოდ გადაემიჯნენ საქართველოს მუშათა კლასს, საქართველოს გლეხობას და კავშირი გააბეს მათ მტრებთან, ქართველ მემამულეებთან, მღვდელ თან, ჩოლოყაშვილთან და მაწყავასთან. ჩვენ აღვნიშნავთ სიამოვნებით ამ ერთსულოვნებას, ვულოცავთ მუშებს ამ კონფერენციას, ვულოცავთ რევოლიუციონურ ნაბიჯს, რომელსაც ერთსულოვნად სდგამს ფეხს მუშათა კლასი. გაუმარჯოს ჩვენს დღევანდელ ისტორიულ რევოლიუციონურ ნაბიჯს (ტაში). (მუსიკა უკრავს ინტერნაციონალს).

**თავმჯდომარე:** ამხანაგებო, ეს საკითხი ამოწურულად უნდა ჩავთვალოთ. რეზოლიუცია შემდეგ იქნება და განვიხილავთ. ახლა უკვე 10 საათია, დაღლილები ხართ და ალბად დაშლას მოისურვებთ. ჩვენც არ დავარღვევთ რეგლამენტს. ამას გარდა ამხანაგებო, თქვენ არ [illegible], როცა სამანდატო კომისიას ირჩევდით. ისეთი კარგი გამოდგა და ისე ზრუნავს თქვენზე, რომ აი „კინო“ მოგიწყოთ და გეპატიჟებათ სურათების სანახავათ.

ამხ ფარნიევს აქვს განცხადება.

**ფარნიევი:** ამხანაგებო, ზოგმა დელეგატებმა არ შეავსეს განცხადება. სამანდატო კომისია სთხოვს პრეზიდიუმს, რომ გამოვაცხადოთ, რომ აუცილებელია ანკეტების შევსება. შეავსეთ ამხანაგებო, და გადაეცით სამანდატო კომისიას მიიღეთ ეს სახეში და ნუ შეაფერხებთ სამანდატო კომისიის მუშაობას.

(კრება თავდება ღამის 10 საათზე)

## მეხუთე სხდომა

(28 აგვისტო, სალამოს სხდომა)

### ამხ. რუხაძის მოხსენება ეროვნულ საკითხის შესახებ

**თავმჯდომარე:** ამხანაგებო, მე-5 სხდომას გახსნილად ვაცხადებ. გუშინ დავამთავრეთ მე-2 საკითხი. ეხლა გადავდივართ მე-3 მოხსენებაზე—ეროვნულ საკითხის შესახებ. სიტყვა ეძლევა ამხ. არჩილ რუხაძეს.

**რუხაძე:** ამხანაგებო, ეროვნული საკითხი მეტად მწვავე საკითხი არის, განსაკუთრებით, ისეთ ქვეყნებში, რომლებიც ათეულ წლების განმავლობაში განიცდიდნენ ჩაგვრას გაბატონებულ ერისაგან. მე ვამბობ, რომ ეროვნული საკითხი არის მეტად რთული და მტკივნეული საკითხი საქართველოს ფარგლებში მცხოვრებ ერებისათვის. სანამ გადავიდოდე ეროვნულ საკითხის მდგომარეობის განხილვაზე ჩვენში, მინდა მოკლედ შევეხო იმას, თუ როგორი იყო, საზოგადოდ, სოციალ-დემოკრატიულ პარტიის შეხედულება ეროვნულ საკითხზე წინეთ, რა [illegible] გავიარეთ ჩვენ ამ საკითხის თანამედროვე პირობების მიხედვით გადაჭრაში, რა აზრის ვიყავით წინეთ და რა აზრის ვართ დღეს. ჩვენი პარტიის შეხედულება ამ საკითხზე სხვადასხვა ისტორიულ და პოლიტიკურ პირობებში სხვადასხვა იყო. ჩვენი შეხედულება განიცდიდა ერთგვარ ევოლიუციას. ჯერ კიდევ 1906 წელს, როდესაც კავკასიის სოციალ-დემოკრატები შეეკითხენ კაუცკის, თუ რა აზრისა არის ის ეროვნულ საკითხის შესახებ ჩვენში—კაუცკი სწერდა კავკასიელ ამხანაგებს: „სანამ სწარმოებს საერთო ბრძოლა ძველი რეჟიმის წინააღმდეგ, მანამ არა მარტო რევოლიუციონური ფენების საერთო ინტერესს შეადგენს, რათა ეროვნული წინააღმდეგობა და პრობლემები შეძლებისდაგვარად იქნეს მივიწყებული, არამედ მებრძოლი პროლეტარიატის ინტერესსაც შეადგენს, რათა მის რიგებში სუფევდეს სრული ინტერნაციონალური სოლიდარობა. პროლეტარიატის ეს სოლიდარობა გამოწვეულია არამარტო მომენტის სიტუაციით, არამედ იგი არის აუცილებელი მისი ყოველდღიური ბრძოლისათვის“ აი, როგორც დაინახეთ ამ ამონაწერიდან, ჯერ კიდევ 1906 წელში კაუცკი წინააღმდეგი იყო იმისა, რომ საქართველო, სომხეთი და სხვა კავკასიის სახელმწიფოები გამოყოფოდნენ რუსეთს და დამოუკიდებელი არსებობა ჰქონოდათ. მაშინ კაუცკი ხსნიდა ამ თავის შეხედულებას იმით, რომ საჭიროა საერთო ფრონტი რუსეთის პროლეტარიატთან და სანამ რევოლიუცია არ დაგვირგვინდება გამარჯვებით, შეუძლებელია რომელიმე ერის პროლეტარიატი გამოეყოს მეორე ერის პროლეტარიატს. მეორე სოც.-დემ. პარტიის ყრილობამ 1903 წლის აგვისტოში უარჰყო ფედერაციის პრინციპიც კი და დაადგინა ეროვნულ საკითხის შესახებ, რომ „მცხოვრებთა უფლებას შეადგენს განვითარების მიღება სამშობლო ენაზე... რაც იქნება უზრუნველყოფილი სახელმწიფოს და თვითმმართველობის ორგანოების ხარჯზე საჭირო სკოლების გახსნით. თვითეული მოქალაქის უფლებას შეადგენს ილაპარაკოს კრებაზე თავის ენაზე საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ დაწესებულებათა ყველა ადგილებში სახელმწიფო ენასთან ერთად სამშობლო ენის შემოღება, თვითგამორკვევის უფლება ყველა ერებისათვის, რომლებიც შედიან სახელმწიფოში“. აი, ასეთი იყო ჩვენი პარტიის მეორე ყრილობის დადგენილება. შემდეგ მოხდა ეგრედ წოდებული გამაერთიანებელი ყრილობა 1906 წლის აპრილში. ამ ყრილობამ დაამტკიცა მე-2 ყრილობის დადგენილება და ამავე დროს მოუწოდა ყველა ეროვნულ-სოც.-დემ. პარტიებს შეერთებოდენ რუსეთის სოც.-დემოკრატიულ მუშათა პარტიას. ჩვენში, საქართველოში, კულტურულ ავტონომიის მოთხოვნაც კი ლიკვიდატორების ყრილობის მიერ უარყოფილი იყო. იმდენად ცენტრალისტები და პატრიოტები ვიყავით რუსეთის პროლეტარიატისა, რომ ჩვენთვის კულტურული ავტონომიაც კი მიუღებელი იყო. ჩვენში, საქართველოში 1917 წლამდე საქართველოს სოც.-დემოკრატია უჭერდა მხარს რუსეთთან გაერთიანებას ჩვენთვის ფართო საოლქო თვითმმართველობის მინიჭების საფუძველზე, ამას იქით ჩვენი მოთხოვნილება ეროვნულ საკითხში არ მიდიოდა, ჩვენ ვფიქრობდით, რომ ეს სრულიად სწყვეტს ეროვნულ საკითხს. მაგრამ აი დადგა 17 წლის თებერვლის დღეები. იფეთქა რუსეთში და ჩვენში რევოლიუციამ. რა შედეგი მოჰყვა ამ რევოლიუციას? რუსეთის ძველი რეჟიმის მიერ საუკუნოებით ჩაგვრამ ერებში აღძრა რევოლიუციის პირველ დღიდანვე სურვილი გამოყოფისა და ცალკე სახელმწიფოების დაარსებისა. ეს გამოიხატა სხვა და სხვა ეროვნული ორგანიზაციების, ეროვნული საბჭოების და სხვა ასეთი ნაციონალურ ორგანიზაციების შექმნაში. პირველად ამაში გამოიხატა ეროვნული სულისკვეთება ყველა იმ განაპირა სახელმწიფოებისა, რომლებიც რამდენიმე წლების განმავლობაში განიცდიდნენ გაბატონებულ ერის ხელქვეშ ყოფნას. რუსეთის განაპირა კუთხეები დაიფარენ ეროვნულ საბჭოებით და, ამგვარად, დაიწყო რუსეთის სახელმწიფოს დაშლის პროცესი. ეს პროცესი დაიწყო თებერვლის პირველ დღეებშივე. როგორ შეხვდა ამას დროებითი მთავრობა? დროებითი მთავრობა, სადაც გაბატონებული იყვნენ ტენდენციები მთლიანი განუყოფელ რუსეთისა, საშინელ წინააღმდეგობას უწევდა იმ ერებს, რომლებიც ფიქრობდნენ გამოყოფას და ცალკე არსებობას. ჩვენი სოც-დემოკრატიული პარტიაც ასეთი მიმართულებას უჭერდა მაშინ მხარს. მართალია, მიზანი სხვადასხვა იყო, მაგრამ ბოლო კი ერთი. ბურჟუაზიული რუსეთის მთავრობა-კადეტები და სხვები წინააღმდეგნი იყვნენ ერების გამოყოფისა იმიტომ, რომ რუსეთის ინტერესი და მიზანი იმპერიალისტური იყო. ჩვენც, სოციალისტები, მხარს უჭერდით ამას იმიტომ, რომ არ დაშლილიყო რუსეთი. მაგრამ ეს იმ მიზნით, რომ გაერთიანებული ყოფილიყო რევოლიუციონური ფრონტი. ისე, რომ ჩვენ უჭერდით მხარს რუსეთის განუყოფელობას ერთიან რევოლიუციონურ ფრონტის მიზნით. კადეტები კი მოითხოვდენ იმას რომ ყოფილიყო ერთიანი რუსეთი და დარჩენილიყო ძლიერი რუსეთი იმპერიალისტური მიზნით. აი მაშინდელი განსხვავება სოც. დემოკრატიულ პარტიასა და კადეტებს შორის. ბურჟუაზიულმა მთავრობამ, რომელიც მოექცა სახელმწიფოს სათავეში თებერვლის შემდეგ, შესცვალა ძველი ეროვნული ჩაგვრა ახალი ჩაგვრის უფრო უხეში ფორმებით. როცა ფინეთის სეიმმა გამოაცხადა ფინეთის დამოუკიდებლობა, სოც. დემოკრატიულ პარტიის ერთ ერთ ხელმძღვანელთაგანი გაგზავნილი იყო ჯარებით, რომ ფინეთის სეიმის დადგენილება გამოყოფის შესახებ ცხოვრებაში არ გატარებულიყო. ჩვენი დახმარებით ფინეთი ისევ დარჩა რუსეთის ფარგლებში. ასეთივე მდგომარეობა შეიქმნა უკრაინაშიაც. იქაც ამხ. კაკი წერეთელი იქნა გაგზავნილი, რომ უკრაინას არ გამოეცხადებინა დამოუკიდებლობა და რუსეთთან დარჩენილიყო. სასტიკი ზომების მიღებაც კი შეიქმნა საჭირო, რომ მთლიანი რუსეთი დარჩენილიყო. და აი ოქტომბრის რევოლიუციამდე ჩვენ ვხედავთ გამწვავებულ ბრძოლას. ჩვენ ვხედავთ, რომ ცალკე ეროვნებები, რომელნიც მოითხოვდნენ დამოუკიდებლობას, სასტიკ რეპრესიულ ზომების საშუალებით უერთდებოდნენ ისევ რუსეთს და გამოყოფის საშუალება არ ჰქონდათ. თებერვლის რევოლიუციის შემდეგ გამწვავებული მდგომარეობა დამთავრდა ოქტომბრის რევოლიუციით. ცალკე ეროვნებებს მიეცა თვითგამორკვევის უფლება და აღიარებულ იქნა ფინეთის დამოუკიდებლობაც. ოქტომბრის რევოლიუციის ერთი უმთავრესი ლოზუნგთაგანი იყო—ერებისთვის თვითგამორკვევის მინიჭება სრულ დამოუკიდებლობამდისაც კი. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელიც ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა ეროვნულ ავტონომიას და ფედერაციასაც კი, ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ უცებ უცვლის ფრონტს. მაშინ ის მოითხოვს ამიერ-კავკასიის და შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობასაც, რომელსაც ცხოვრებაში ატარებს. რა იყო მიზეზი ამიერ-კავკასიის და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა. ორი მიზეზი იყო: ერთი იყო ის, რომ ჩვენ ვთქვით: თუ გამოვაცხადეთ ამიერ-კავკასიის და საქართველოს დამოუკიდებლობა, ჩვენ ამით თავს ვიხსნით ეგრედ-წოდებულ ბრესტის ზავისაგან.

ბრესტის ზავის მიხედვით ჩვენ უნდა გადაგვეცა იმპერიალისტურ ოსმალეთისათვის ბათომი, ყარსი, არდაგანი. ვფიქრობდით, რომ თუ გამოვაცხადებდით თავს დამოუკიდებლათ, მაშინ რუსეთის [illegible] ბრესტში დადებულ ზავისაგან თავისუფალი ვიქნებოდით, ის ჩვენთვის არ იქნებოდა სავალდებულო. ჩვენ ვიტყოდით, რომ არ არის მისაღები ეს ხელშეკრულება, გავმართავდით მოლაპარაკებას და შესაძლებელია ჩვენი ტერიტორია შეგვერჩინა. მეორე მიზეზი ჩვენი დამოუკიდებლობის გამოცხადებისა იყო სურვილი გამიჯვნისა ოქტომბრის რევოლიუციის ტალღებისაგან. ჩვენ ვამბობდით: რადგან რუსეთში მოხდა ბოლშევიკური გადატრიალება და იქ ბოლშევიკური მთავრობაა, ჩვენ შეგვიძლია შევინარჩუნოთ დემოკრატიზმი, თუ გამოვაცხადებთ თავს დამოუკიდებელ სახელმწიფოთ. აი ეს ორი მიზეზი, რის გამო იქნა გამოცხადებული ჩვენი დამოუკიდებლობა მაგრამ ჩვენ მაშინ ვიყავით პარტიაში, ორგანიზაციებში და თვით ცენტრალურ კომიტეტში, როდესაც ჯერ კიდევ სწარმოებდა წინასწარი მოლაპარაკება, და სანამ ეს საკითხი გადაიდოდა პარლამენტში, რომ თუ დადგებოდა რუსეთში შესაფერი პირობები, მაშინ ჩვენ ისევ ხელს გაუწვდიდით რუსეთის პროლეტარიატს და მასთან ვიქნებოდით გაერთიანებული. ჩვენ მხედველობაში გვქონდა, რომ რუსეთში დამყარდებოდა დემოკრატიული წესწყობილება და მაშინ ჩვენ რუსეთთან ვიქნებოდით. ჩვენთვის, პირველ ხანებში მაინც ეს დამოუკიდებლობა არ იყო ფეტიში. ჩვენ არ ვამბობდით, რომ დამოუკიდებლობა მუდმივი უნდა ყოფილიყო. ჩვენ ვამბობდით, რომ ეს დროებითია. ეხლა თქვენ იცით, რომ ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობამ რასაც ხელს უწყობდა ოსმალეთი იმპერიალიზმი, არა თუ გვიხსნა ბრესტის ზავისაგან, არამედ დაჰყო ამიერ-კავკასია სამ სახელმწიფოთ და იმავე დროს საქართველო მოაქცია გერმანიის ჯარების ოკუპაციის ქვეშ. ასე, რომ ჩვენ დამოუკიდებლობას მოჰყვა გერმანიის ჯარები. თქვენ გახსოვთ თუ რა საშინელ პირობებში ვიყავით. ჩვენში დამყარდა გერმანიის ჯარების დიქტატურა. რასაც ფონ-კრესები იტყოდენ, ის ჩვენთვის კანონი იყო. თქვენ გახსოვთ, როცა ფონ-კრესი შეეკითხა ჩვენს მთავრობას—რატომ ჩამოართვით მემამულეებს მიწები და დაურიგეთ გლეხებს, მაშინ ჩვენმა მთავრობამ უთხრა: ეს მხოლოდ იმიტომ, რომ გლეხები იტაცებენ მიწებს და ჩვენ შევაგროვეთ ორასი ათასი დესიატინა და იმას მივცემთ გლეხებს, რომ დატაცება აღარ მოხდესო, რაც შეეხება მემამულეების მდგომარეობის გაუმჯობესებას, ამისთვის ჩვენ გვაქვს შემდგარი სპეციალური კომისია, რომელიც იმუშავებს ზომებს მათი უზრუნველყოფისათვის. ეს იყო ნაძალადევი პასუხი, ეს იყო გამოწვეული მით, რომ ჩვენ წინააღმდეგ არ აგვემხედრებინა გერმანიის ოკუპანტები. აი, ამით იყო ეს გამოწვეული. ბოლოს ახალციხის და ახალქალაქის მაზრები გადავიდენ ოსმალეთის ხელში და თვით ბათომი კარგა ხანს იყო ოსმალეთის, ინგლისის და დენიკინელების ხელში. [illegible], რომ ბრესტის ხელშეკრულებას ჩვენთვის უდიდესი და უმნიშვნელოვანესი მუხლი, რომლის გამო ჩვენ გამოვაცხადეთ დამოუკიდებლობა, მაინც გატარდა ცხოვრებაში და ჩვენმა დამოუკიდებლობამ ვერ გვიხსნა ამ მუხლის შესრულებისაგან.

რამდენად ჩვენთვის ხელსაყრელი იყო საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება გერმანიის პროტექტორატის ქვეშ იმ მიზნით, რომ ფიზიკური არსებობა შეგვენარჩუნებია, იმდენად ამ ჩამოშორებამ რუსეთისაგან მოგვცა მეტად დიდი მინუსები. ჩვენ ჩამოვშორდით რუსეთის პროლეტარიატს. მოვწყდით მას სრულებით. ჩვენ ერთში გამოგვადგა ეს. ჩვენ თავი დავახწიეთ ოსმალეთის ურდოებს და ხალხი ასე თუ ისე გადავარჩინეთ ფიზიკურ განადგურებას. მაგრამ მეორეს მხრივ ეს იყო დიდი მინუსი—სრულიად ჩამოშორება რუსეთის პროლეტარიატისაგან, ოქტომბრის რევოლიუციისაგან, რომელიც დაიწყო ცენტრში და თანდათან ვრცელდებოდა და მისი ტალღები უახლოვდებოდენ განაპირა ქვეყნებს. რამდენადაც ოქტომბრის რევოლიუციის ტალღები უახლოვდებოდენ ჩვენ ქვეყანას, იმდენად ჩვენ შორს ვდგებოდით რუსეთისაგან, იმდენად მეტი იყო ანტაგონიზმი რუსეთის მიმართ, იმდენათ უფრო მაგრდებოდა ხალხში სურვილი საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცებისა. მიზეზი ის იყო, რომ ჩვენც ვფიქრობდით, რომ ჩვენში მოდიოდენ რუსეთის იმპერიალისტები და საქართველოს დაპატიმრებას ლამობდენ. ჩვენ გვეუბნებოდნენ, გვიმტკიცებდნენ, რომ აქ მოვა იმპერიალისტური რუსეთი, მოსპობს სამშობლო ენას, გაანადგურებს მშობლიურ კულტურას, გაანადგურებს ეროვნულ დაწესებულებებს და მოხდება სრული რუსიფიკაცია საქართველოსი.

აი ამიტომ რამდენათაც ჩვენ გვიახლოვდება ოქტომბრის რევოლიუციის ტალღები, იმდენად მეტი იყო ჩვენში სურვილი, რომ ბრძოლა გამოგვეცხადებია ოქტომბრის რევოლიუციისათვის და იმავე დროს თანდათან [illegible] რუსეთის პროლეტარიატს. ჩვენსა და რუსეთის პროლეტარიატს შორის გაითხარა საშინელი ღრმა ორმო და ვფიქრობდი, რომ მისი ამოვსება შეუძლებელი იყო ოდესმე. ჩვენ ჩამოვშორდით რუსეთს და ჩვენ და რუსეთს შორის გაითხარა საშინელი უფსკრული. ჩვენ, ამავე დროს, სრულიად გადავიხრეთ დასავლეთ ევროპის იმპერიალისტურ ბანაკში. იმ დროს, როდესაც ჩვენ ვფიქრობდით, რომ რუსეთის ორიენტაციის არსებობა შეუძლებელია, ჩვენ მტკიცე კავშირი გვქონდა ანტანტასთან და მის იმპერიალისტებთან. ჩვენში მოდიოდა უცხო ქვეყნის ჯარი, ბატონობდა ის, გვიბრძანებდენ უცხოელები და ჩვენ ვიყავით ამსრულებლ [illegible] გახსოვთ, ალბად, რომ [illegible] ლების [illegible] ჩვენ წ [illegible] დიას დაერქვა სახალხ [illegible] გახსოვთ, ალბათ, რომ სასახლეზე წითელი დროშის მაგიერ აფრიალდა ეროვნული დროშა. ეს იყო გავლენა უცხოელების. როდესაც იხმებოდა საკითხი, რომ არის თუ არა დრო ზურგი ვაქციოთ ანტანტის იმპერიალისტებს და გავიხედოთ იმ რუსეთისკენ, რომელთანაც ერთად ვიყავით ამდენი წლის განმავლობაში, მივიდეთ, ხელი გაუწოდოთ რუსეთის პროლეტარიატს, რომელთან ერთად ჩვენ ვჭედდით რევოლიუციას. მაშინ ხშირად იყო განცხადება ჩვენი ლიდერებისა: „აღმოსავლეთის ფანატიკოსებს გვირჩევნია დასავლეთის იმპერიალისტებიო“. აი დევიზი, [illegible] დევიზი მივიღეთ და ამ დევიზის ქვეშ ვმუშაობდით. მაგრამ ჩვენ გვავიწყდებოდა, რომ ანტანტა აქ მოდიოდა იმიტომ, რომ განეხორციელებია თავისი შავი მიზნები და ეკონომიურად დაემორჩილებია ამიერ-კავკასია. ანტანტას თავისი ანგარიში ჰქონდა, მას თავის საქმეები აინტერესებდა და არა ის, რომ ქართველი ერის დამოუკიდებლობა დაეცვა და მისთვის ებრძოლა.

ეს ჩვენ დავინახეთ მაშინ, როდესაც საქართველოს მოადგა წითელი ჯარი. ჩვენ ვფიქრობდით, რომ დასავლეთის ევროპის იმპერიალისტები დაგვეხმარებიან, ჩვენ უკანასკნელ დღემდე, ბათომამდე, ვფიქრობდით, რომ მოვიდოდა ინგლისის ჯარი, შავკანიანები და ჩვენ იარაღით ხელში დაგვიცავდნენ. მე არ ვიყავი მაშინ ტფილისში, მე დამფუძნებელ კრებასთან და მთავრობასთან ერთად ბათომში ვიყავი და აქ დარჩენილი ამხანაგები მეუბნებოდენ შემდეგ თუ რა ხმები იყო გავრცელებული, რომ შავკანიანი ჯარები უკვე აქ არიან; მაშინ, როდესაც წითელი ჯარი მიდიოდა ბათომისკენ, ტფილისში ასეთი ხმები იყო გავრცელებული. აი ამ იმედით ვიბრძოდით და ვფიქრობდით, რომ დასავლეთის ევროპის იმპერიალისტები დაიცავდენ ჩვენს დამო

## საქართველოს მენშევიკური პარტიის მიმართვები

### საერთაშორისო პროლეტარიატისადმი

ამხანაგო მუშებო! საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ყრილობამ დაადგინა დაშალოს მენშევიკური ორგანიზაცია და დადგეს მე 3 კომუნისტური ინტერნაციონალის დროშის ქვეშ.

საქართველოს მენშევიკური პარტიას ცენტრალური კომიტეტი ბრალს გვდებს ჩვენ იმაში, ვითომ ჩვენ ვსტოვებდეთ მენშევიკურ პარტიას საგანგებო კომისიის ზეგავლენით, რეპრესიული ზომების შიშის გამო.

ამხანაგებო! ჩვენ მთელი ქვეყნის პროლეტარიატის წინაშე ზიზღით უარვყოფთ ამ ბრალდებას. საქართველოს მენშევიკური პარტიიდან გარბიან არა ერთეული, არამედ პროლეტარიატის და გლეხების მასსები; მას ზურგს აქცევს დიდი უმრავლესობა მუშებისა, რომელნიც მრავალ წლების განმავლობაში ჯერ კიდევ მეფობის დროს აწარმოებდნენ არალეგალურ მუშაობას. არავის შეუძლია ბრალი დასდოს ამ მასსებს, რომელთაც უამრავი მსხვერპლი გაიღეს რევოლიუციურ ბრძოლაში და რომელნიც არ უშინდებოდენ მეფის დროს არც კატორღას და არც დახვრეტას, ვითომც ისინი ღალატობენ თავის პოლიტიკურ რწმენას შიშის გამო.

მუშები და გლეხები სწავლობენ არა აკადემიებში, არამედ პრაქტიკულ ბრძოლის სკოლაში და სწორედ ამ სკოლაში პრაქტიკაზე დავრწმუნდით, რომ ჩვენ აწი მენშევიკურ პარტიაში ადგილი არა გვაქვს. ამ პარტიამ, რომელიც პირველი რუსეთის რევოლიუციის დროს, როდესაც ჩვენ ვაწარმოებდით ბრძოლას მეფის თვითმპყრობელობასთან, დაიმსახურა საპატიო დაფნის გვირგვინი, მსოფლიო ომის დროს მთელ მე 2 ინტერნაციონალთან ერთად თავის დროშა იმპერიალისტური ბურჟუაზიის ქვეშ დაანარცხა. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ კი საქართველოს მენშევიკური პარტია უკვე ცხადად დაადგა კონტრ-რევოლიუციის გზას, ეფარებოდა რა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დროშას. შევადარეთ რა მენშევიკური მთავრობის მოქმედება საქართველოში საბჭოთა მთავრობის მოქმედებას, ჩვენ დავრწმუნდით, რომ პირველი აბამდა მას (საქართველოს) ბურჟუაზიის რკინის უღელში და მეორეს კი გამოყავს იგი ჭეშმარიტი სოციალიზმის ფართო გზაზე; ამიტომ და მხოლოდ ამიტომ ჩვენ გადავსწყვიტეთ დავსტოვოთ მენშევიკური პარტიის რიგები.

ჩვენი ყოფილი მენშევიკი—ლიდერები, რომელნიც საზღვარგარეთ გაიქცნენ, ავრცელებენ იქ ხმებს, ვითომ მოსკოველ ბოლშევიკებს იმპერიალისტური მიზნებით დაეპყროთ საქართველო, ძალით აეღოთ ის წითელი არმიის საშუალებით და მოესპოთ მისი დამოუკიდებლობა, და პარტიები მე-2 ინტერნაციონალისა ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ ამ ჭორების გავრცელებას, რომ დაეფრთხოთ დასავლეთ ევროპის მუშები და ჩამოეშორებიათ ისინი კომუნისტებისათვის.

ამხანაგო მუშებო! იცოდეთ, რომ ამ ზღაპარში ხელოვნურად და თვალთმაქცურათ არის არეული ერთმანეთში სიმართლე და ჭორი.

ჩვენი ყოფილი ლიდერები, ერთის მხრივ, გიმალავენ თქვენ, რომ ისინი ოქტომბრის გადატრიალებამდე დიდი რუსეთის პატრიოტები იყვნენ, (რითაც ისინი სხვავდებოდენ ბოლშევიკებიდან), რომ მხოლოდ ისინი იცავდენ დიდი რუსეთის მთლიანობის აზრს, რომ ისინი წინააღმდეგნიც კი იყვნენ რუსეთის რესპუბლიკის ფედერატიულ საფუძვლებზე მოწყობისა, ისინი ბრალს სდებდნენ ლენინს მას „პორაჟენცობა“-ში, ვინაიდან ის მხარს უჭერდა და დახმარებას უწევდა რუსეთის დანაწილებას, მოითხოვდა მისცემოდა რუსეთის ჩაგრულ ერებს „უფლება თვითგამორკვევისა, თვით სრულ გამოყოფამდე“. საქართველოს დამოუკიდებლობას მხარი დაუჭირეს ჩვენმა ლიდერებმა მხოლოდ ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ და მხოლოდ იმიტომ, რომ გამიჯვნოდენ საბჭოთა ხელისუფლებას, მაგრამ ამასთან ერთად არ მალავდენ, რომ, როდესაც საბჭოთა ხელისუფლება დამარცხდება, საქართველო ისევ შეუერთდება რუსეთსო.

ჩვენი ყოფილი ლიდერები, მეორე მხრით, გიმალავენ თქვენ, ამხანაგებო, რომ მენშევიკური პარტიის ბატონობის დროს საქართველო სარგებლობდა დამოუკიდებლობით მარტო ქაღალდზე: ქართველი მენშევიკები მოქმედობდნენ პირველათ გერმანელი გენერლების ჩაგონებით, რომელნიც აფარებდნენ თავის კალთას ქართველ მემამულეებს, და შემდეგ კი ინგლისელ გენერლების ჩვენებით, რომელნიც ურიგდებოდნენ საქართველოს დამოუკიდებლობას მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მენშევიკური მთავრობა დახმარებას უწევდა ანტანტას საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლაში, ხელს უწყობდა რა საქართველოს ტერიტორიაზე დენიკინის და ვრანგელის ლაშქრებისათვის რაზმების შედგენას.

ჩვენი ყოფილი მენშევიკი—ლიდერები, მესამე მხრით, სტყუიან, როდესაც ამტკიცებენ, რომ მოსკოვის ბოლშევიკებმა იმპერიალისტური მიზნებით დაიპყრეს საქართველო. ჩვენ ვიცით, რომ სწორეთ მოსკოვის ბოლშევიკები—ლენინი და ტროცკი წინააღმდეგნი იყვნენ წითელი ლაშქრის საქართველოში შემოყვანისა. წითელი ლაშქრის საქართველოში შემოყვანა ითავეს თვით ადგილობრივმა ქართველმა ბოლშევიკებმა, რომელთაც თავის მოსკოველი ამხანაგები შესრულებულ ფაქტის წინაშე დააყენეს, და მოიმოქმედეს ეს მათ, როგორც ჩვენ დღეს ვიცით, თავის სამშობლოსადმი სიყვარულის გამო: ქართველ ბოლშევიკებს არ შეეძლოთ მოეთმინათ, რომ საქართველო, რომელსაც ასეთი სახელოვანი რევოლიუციონური წარსული ჰქონდა, გადაქცეულიყო კონტრ-რევოლიუციის იარაღათ, იარაღათ იმპერიალისტური მახინაციებისა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და სხვადასხვა ნაციების ქიშპობის ასპარეზათ.

ჩვენი ყოფილი ლიდერები, მეოთხეთ და უკანასკნელათ, სრულებით ამახინჯებენ საქართველოს გასაბჭოების შედეგებს. საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ, ჩამოაშორა რა საქართველო საბჭოთა რუსეთს, მით მოუსპო საქართველოს საჭმელი პური და დაამშია ის. დღეს საქართველოს მუშები და გლეხები ისევ უზრუნველყოფილი არიან პურით და მათ არ შეაშინებთ სიმშილის აჩრდილი. საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ, რომლის წევრები რუსეთის თვითმპყრობელურ პატრიოტებიდან უეცრად ქართველის თვითმპყრობელურ პატრიოტებათ—შოვინისტებათ იქცნენ, დაბადა აქ ნაციონალური განხეთქილება და საფუძველი ჩაუყარა [illegible] სრულებელ საურთიერთო ბრძოლას ქართველებს, სომხებს, აფხაზებს და აჭარლებს შორის. საბჭოთა ხელისუფლებამ ბოლო მოუღო ამ ბრძოლას და დაამყარა ამიერ-კავკასიის ერთა შორის მშვიდობიანობა. საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ, შეკრა [illegible] ერთიანი ფრონტი ფეოდალურ და ბურჟუაზიულ ნაციონალისტებთან ეგრედ წოდებულ, „რუს ბარბაროსთა“ წინააღმდეგ, ვერ გაბედა გადაწყვეტით გაეტარებია თავისი საკუთარი საშუალო აგრარული პროგრამა. საბჭოთა ხელისუფლებამ წითელი ლაშქრის ერთი წლის შემოსვლის შემდეგ საქართველოში ჩამოართვა მემამულეებს მიწა და მისცა იგი გლეხებს. საქართველოს მენშევიკური მთავრობის დროს 8 საათის სამუშაო დღე შემოღებული იყო მხოლოდ ქაღალდზე. საბჭოთა ხელისუფლების დროს კი მუშები ყველგან რვა საათს მუშაობენ, იქ კი, სადაც მუშაობის პირობები განსაკუთრებით მძიმეა—სამუშაო დღე შემცირებულია 6 საათამდე.

ჩვენი ყოფილი ლიდერები გვაშინებდნენ ჩვენ, რომ თუ შემოვიდნენ ბოლშევიკები, ისინი ცეცხლითა და მახვილით მოსპობენ მთელ ქვეყანასო, და გაანადგურებენ საქართველოს და მის კულტურასო. რა დავინახეთ სინამდვილეში? სწორეთ იმ მენშევიკურმა გვარდიამ, რომელსაც ინგლისელების მოთხოვნით წითელი გვარდიის მაგიერ „სახალხო გვარდია“ დაერქვა და რომელშიაც შემდეგ გარდამწყვეტი უმრავლესობა ბურჟუაზიულ ელემენტებს ეკუთვნოდა, სწორეთ ის ნაციონალურ უმცირესობასთან ბრძოლის დროს შეუბრალებლად სწვავდა სოფლებს, რასაც აშკარად აღიარებს ამ საზიზღრობათა გმირი ჯუღელი თავის წიგნში „მძიმე ჯვარი“. აღსანიშნავია, რომ „სახალხო გვარდია“ სჩადიოდა ამ მხეცობას და ძალადობას იმ მუშათა პროტესტების მიუხედავათ, რომელნიც შედიოდნენ მის შემადგენლობაში. მენშევიკურ „სახალხო გვარდია“-

[illegible] ერთხმად [illegible] საქართველოში [illegible] სამაგალითოდ. [illegible] რბა უკან დახე- [illegible] ხიდებს და მან [illegible] ელის სოფ. ეთე- [illegible] სკოვის საბჭოთა [illegible] თუ წაილო რაიმე [illegible] ელიდან, პირიქით, ის უნა- [illegible] საქართველოს თავის მცი- [illegible] ლობასაც-კი ამ უკანასკნე- [illegible] ეკონომიურათ აღორძინები- [illegible] და არავის შეუძლია უარ- [illegible] რომ საბჭოთა ხელისუფლე- [illegible] რი წლის განმავლობაში ბევრი [illegible] ქვს გაკეთებული ამ მხრივ: კეთ- [illegible] ზარი-გზები, აღდგენილია ხა- [illegible] შენდება ახალი რკინის გზა [illegible] ურგეთი), შენდება ნ ელექტრო- [illegible] ური, აღდგენილია ჩათახის თუ- [illegible] ნამთხვრელი ქარხანა, შეკეთე- [illegible] და [illegible] თუმანში, შენდება აბრეშუმის სა- [illegible] ფაბრიკა რუსეთიდან ჩამოტა- [illegible] მასალებიდან, აშენებულია სა- [illegible] დასასვენებელი და საბავშვო [illegible], დაარსებულია მუშათა ფაკულტეტები, დაბეჭდილია და ვრცელდება მრავალი მარქსისტული ლიტერატურა სამშობლო ენაზე და [illegible] და ყველაფერს ამას სდევს [illegible] არა რუსიფიკაცია საქართველო- [illegible], როგორც ჩვენ გვაშინებდნენ, [illegible] რამედ იგი გამოწვეულია საქართველოს ნაციონალურ კულტურის ასაყვავებლად.

საქართველოს გასაბჭოებით წააგეს მარტო მემამულეებმა, მევახშეებმა და ბურჟუაზიამ. საქართველოს მუშებმა და გლეხებმა მხოლოდ დღეს [illegible] სრულად ამიტომაც არ გასაკვირველია, რომ ისინი, დააკვირდნენ რა საბჭოთა წესწყობილებას, მასიურათ სტოვებენ მენშევიკების პარტიას მიუხედავათ იმისა, რომ ამ პარტიას ღრმად ჰქონდა გადგმული საქართველოში ფესვები, მიუხედავათ იმისა, რომ მას საქართველოში თვალსაჩინო რევოლუციონური ღვაწლი მიუძღვის წარსულში, სამწუხაროდ შორეულ წარსულში.

ამხანაგო მუშებო! უკანასკნელად ჩვენ ნებას მივცემთ ჩვენ თავს, გამოვსთქვათ სურვილი: დაე ჩვენი გამოცდილება, გამოცდილება პატარა, მაგრამ ბრძოლით მდიდარ საქართველოსი, იყოს თქვენი დამხმარე შემდეგი საკითხის გამოსარკვევათ, რომელ გზას მიყავს მუშათა კლასი თავისუფლებისაკენ: მენშევიკურ გზას მე-2-ე ინტერნაციონალისას, გზას შეთანხმებისას ბურჟუაზიასთან, თუ ბოლშევიკურ გზას მე-3-ე ინტერნაციონალისა. ჩვენ ჩვენთვის უკვე საბოლოოდ გადავჭერით ეს საკითხი.

მენშევიკურმა მთავრობამ, წინააღმდეგ ჩვენი პარტიის ორგანიზაციების უმრავლესობის მოთხოვნისა, ჩამოხსნა თბილისის სასახლეზე წითელი დროშა და შესცვალა იგი სამფეროვანი ნაციონალური დროშით. საბჭოთა ხელისუფლებამ ხელახლა აფრიალა საქართველოში წითელი დროშა და ფიცს ვსდებთ, რომ შევძლებთ დავიცვათ იგი მუშათა კლასის აშკარა მტრებისა და ცრუ მეგობრებისაგან.

**გაუმარჯოს სოციალისტურ რევოლუციას!**

**გაუმარჯოს მე-3-ე კომუნისტურ ინტერნაციონალს!**

# რუსეთის პროლეტარიატს

**ძვირფასო ამხანაგებო!**

საქართველოს პროლეტარიატის არაჩვეულებრივ აღტაცების და სიხარულის, დღეს, მხურვალე სალამით მოგმართავთ თქვენ.

მძიმე და ნარ-ეკლიანი იყო, ამხანაგებო, ჩვენი გზა რევოლუციის ამ ექვსი წლინახევრის განმავლობაში. რუსეთის პოლიტიკურ და ეკონომიურ კავშირს მოწყვეტილი ქართველი მშრომელი ხალხი დასავლეთის იმპერიალისტებს ჩაუვარდათ ხელში. იმ დროს, როცა თქვენ გარეშე მტრებთან და შინაურ კონტრ-რევოლუციასთან ბრძოლაში სისხლიდან იცლებოდით, ჩვენ საქართველოს სოციალ-დემოკრატი მუშები, თქვენი განუყრელი ამხანაგები პროლეტარიატის საქმისათვის ბრძოლაში, სამოქალაქო მშვიდობიანობას ვუწყობდით ხელს და დემოკრატიულ რესპუბლიკის აღმშენებლობას ვაწარმოებდით. მაგრამ ამასთან ერთად მთელი ჩვენი თანაგრძნობა თქვენსკენ იყო. ჩვენ გაფაციცებით ვადევნებდით თვალს თქვენს თავგანწირულ, დაუნდობელ ბრძოლას, და ყოველი თქვენი გამარჯვება ჩვენში უსაზღვრო სიხარულს იწვევდა. არც ისე ადვილი აღმოჩნდა საქართველოს მშრომელი ხალხის რუსეთის მუშათა კლასისაგან ჩამოშორება. ჩვენს ქვეყანას ბევრი უცხო მოძალადე სტუმარი ახსოვს. თემურ-ლენგის, მურვან ყრუს და შაჰ-აბასის შემოსევა და ზოგიერთი მათგანის ასეულ წლობით საქართველოზე ბატონობა შავი ასოებითაა აღნიშნული ჩვენს ისტორიაში. მაგრამ სულ სხვა იყო მეფის რუსეთის ჩვენში 117 წ. ბატონობა. ამ ხნის განმავლობაში მოხდა უდიდესი რევოლუცია ქვეყნის მეურნეობაში. ჩაისახა და განვითარდა ახალი საზოგადოებრივი კლასი — პროლეტარიატი, თავისი იდეებით და მისწრაფებებით.

თვითმპყრობელობის და ბურჟუაზიის წინააღმდეგ შეკავშირებულმა ბრძოლამ, რამდენიმე ათეულ წლების განმავლობაში რუსეთის და საქართველოს მშრომელი ხალხის შორის ურყევ ძმობის და პროლეტარულ სოლიდარობის ნიადაგი მოამზადა და ეს ორი სხვადასხვა ერების, მაგრამ ერთი მისწრაფებით და ლტოლვილებით გამსჭვალული მშრომელი ხალხი ერთმანეთს დაუახლოვა.

საქართველოს მუშათა კლასმა შექმნილ პირობების გამო, სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ხელმძღვანელობით პირველად გამოაცხადა ამიერ-კავკასიაში საქართველოს დამოუკიდებლობა, მაგრამ დღეს, როცა მსოფლიო პროლეტარიატის სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვს მისი რაზმების მჭიდრო შეკავშირებას უფსკრულის პირზე მდგარ კაპიტალისტურ სამყაროს გასანადგურებლად, როცა რუსეთში ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებამ [illegible] პირობები შექმნა ყველა ერის მშრომელ ხალხთა თავისუფალ კავშირში გაერთიანების, საქართველოს მუშათა კლასი, რომელიც სოციალ-დემოკრატიულ პარტიის რიგებში მოიპოვებოდა, საქვეყნოდ აცხადებს, რომ ის კვლავ თქვენთან არის, კვლავ თქვენი თანამოძმეა.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების სამი წლის დამოუკიდებლობამ, ნაცვლად ერთა შორის მშვიდობიანობისა, რომლისთვისაც დასაბამიდანვე იბრძოდა სოციალ-დემოკრატია, ეროვნული შუღლი და მტრობა კვლავ ახალი ძლიერებით გააცხოველა, სრულ დამოუკიდებლობის მაგიერ, ამიერ-კავკასიის ტერიტორია იმპერიალისტური ჯარების სათარეშოდ გარდაიქცა.

მაგრამ ოქტომბრის რევოლუციის ტალღა ჩვენშიც შემოიჭრა.

დადგა რა საქართველოს გასაბჭოების ფაქტის წინაშე, ძალაუფლება დაკარგულ სოციალ-დემოკრატიამ არ მოისურვა მასთან შერიგება და აირჩია გზა იატაკ ქვეშ ბრძოლის მუშათა და გლეხთა მთავრობის წინააღმდეგ. თავის მთავარ მიზნად მან საბჭოთა ხელისუფლების დამხობა დაისახა და მის განსახორციელებლად არავითარ საშუალების წინ არ ჩერდებოდა, შედიოდა კავშირში ბურჟუაზიულ პარტიებთან, ხელს უწყობდა ბანდიტიზმს და თავს უყრიდა მის გარშემო ყველა უკმაყოფილო ელემენტებს. ემიგრაციაში მყოფი საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის გამოჩენილი წევრები ავრცელებენ ინსინუაციებს და ჭორებს საბჭოთა ხელისუფლების მოღვაწეობის შესახებ საქართველოში და მით სურთ სახელი გაუტეხონ მას ევროპის მუშათა კლასის თვალში.

მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების ჩვენში დამკვიდრებამ თან მოიტანა სოციალურ-ეკონომიურ და პოლიტიკურ კითხვების გადაჭრა.

საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში საქ. სოციალ-დემოკრატიის მუშათა პარტიას აღარ შერჩა ხელთ არც ერთი ლოზუნგი, რომლის გარშემო მას შესძლებოდა პარტიის რიგებში მყოფ მუშების თავის მოყრა და რომელიც მას დაახასიათებდა, როგორც რევოლუციონურ სოციალისტურ პარტიას.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგაც კი, ამ წლინახევრის განმავლობაში ვიბრძოდით ჩვენ, ამხანაგებო, ამ პარტიის რიგებში, მაგრამ ყოველ დღე თანდათან ვრწმუნდებოდით, რამდენად დამღუპველი და მიუტევებელი იყო ჩვენი ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ჩვენ [illegible] მივედით იმაში, რომ ოქტომბრის რევოლუციის დამარცხებით რეაქცია გაიმარჯვებდა.

ჩვენ დავკარგეთ ბრძოლის მიზანი და ამ იდეური მარცხის შემდეგ დაიწყო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ორგანიზაციული რღვევა და დაშლა. მასიურათ იწყო პარტიის მიტოვება განსაკუთრებით მის მუშურმა და მოწინავე გლეხების ნაწილმა. პარტიის რიგებიდან ახლით გაქცევა იმდენად გაიზარდა, რომ მისი უმრავლესობა ამ პარტიის გარეშე დარჩა. ამას მოჰყვა თემების კრებები, სამაზრო კონფერენციები და დღეს ჩვენი სახით თავი შეუყარა სრულიად საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ყრილობამ, რომელიც გამოხატავს 12 ათას მუშებისა და გლეხების სურვილსა და ნებას.

ჩვენი მიზანია ბოლო მოუღოთ, დასასრული მივსცეთ იმ ავანტიურისტულ უნაყოფო ბრძოლას, რომელიც დღემდის სწარმოებდა და სწარმოებს ქართული სოციალ-დემოკრატიის სახელით. ჩვენი მიზანია დავდგეთ ჭეშმარიტ, პროლეტარულ რევოლუციის გზაზე, ამიერიდან აღარ აქვს ადგილი განხეთქილებას საქართველოს პროლეტარიატის რიგებში, ვინაიდან ჩვენ დაკავშირებული ვართ ძმურ სოლიდარობისა და მთლიანობის ურყევ თანაგრძნობით.

და ამ ჩვენი შეკავშირების, პროლეტარულ [illegible] ისტორიულ დღეს — ჩვენ კვლავ გიგონებთ თქვენ, ამხანაგებო, რომლებთანაც ერთად გვქონდა ჭირი და ლხინი და რომლებთანაც ჩვენ ვიბრძოლებთ შრომის საბოლოო გამარჯვებამდე, მუშათა კლასის ოცნების განხორციელებამდე.

**გაუმარჯოს პროლეტარულ მთლიან ფრონტს!**

**გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარიატის სოლიდარობას!**

**გაუმარჯოს მე-3 კომუნისტურ ინტერნაციონალს!**

---

[illegible] დეს არ გვიმტყუნებს. ჩვენთვის აუცილებელ საქმიანობას შეადგენდა [illegible] ნებში მაინც, როდესაც საქართველოს მოსაზღვრე სახელმწიფოში უკვე საბჭოთა ხელისუფლება იყო — ჩვენ მათთან მტკიცე კავშირი შეგვეკრა და ვყოფილიყავით სრულ კონტაქტში რუსეთის პროლეტარიატთან. აი ამხანაგებო, ამ მხრივ ჩვენ ჩავიდინეთ დიდი შეცდომა. საქართველოს დამოუკიდებლობას ყველაზე უფრო დაუჭერდა მხარს და განამტკიცებდა რუსეთის პროლეტარიატი, ვიდრე დასავლეთის ევროპის იმპერიალისტები, მაგრამ მარტო ჩვენ არ ვიყავით შემცდარი. ჩვენთან ერთად სცდებოდნენ რუსეთის საბჭოთა ხელისუფლების მეთაურებიც.

მაშინ, როდესაც ჩვენ მუშებს [illegible] კითხვა, რომ 1920 [illegible] წარმომადგენლები წა[illegible] რუსეთში, გაეცნობოდნენ რუსეთის მდგომარეობას, გაეცნობოდნენ საბჭოთა ხელისუფლების მუშაობას, ჩვენ ვერ ვიღირსეთ ნებართვას, რომ ჩვენი მუშები იქ წასულიყვნენ. მართალია საბჭოთა ხელისუფლების მეთაურებელნი გვეუბნებოდნენ, რომ ჩვენ ვერ გავგზავნით არჩეულ მუშებს, რადგანაც ჩვენში არ არიან კომუნისტები, მაგრამ მე მგონია ქართველი კომუნისტები კი არ უნდა წასულიყვნენ, — უნდა წასულიყვნენ სწორედ ის მუშები, ვინც მტრულად უყურებდა რუსეთს, ვინც ფიქრობდა, რომ იქ [illegible] ამბებია, აი სწორედ მათ [illegible] მისცემოდათ უფლება გაეცნოდნენ იქაურ პირობებს, რომ შემდეგ მოსულიყვნენ აქ ეთქვათ, თუ რა ხდება იქ, რას წარმოადგენს რუსეთი, რას წარმოადგენს ის გზა, რომელზედაც ჩვენ ახლა ვდგევართ და შესაძლებელია უფრო ადრე დავმდგარიყავით. შესაძლებელია, რომ ამით ის საშინელი შეცდომები არ განმეორებულიყო ჩვენ ისტორიაში. ერთის მხრივ ამხანაგმა ბოლშევიკებმა დიდი შეცდომა დაუშვეს, რომ არ მოგვცეს საშუალება ჩვენი დელეგაცია გაგვეგზავნა. ჩვენი ხაზი ეროვნულ საკითხის შესახებ გადიხარა იმ [illegible], რომელიც ეწინააღმდეგებოდა ინტერნაციონალის პრინციპებს. ეს ხელსაყრელი იყო იმპერიალიზმისათვის. ჩვენ ჩამოვშორდით რუსეთის პროლეტარიატს, თითქმის, როგორც გვეგონა, სამუდამოდ და შევკარით მტკიცე კავშირი ანტანტის იმპერიალისტებთან. ეს შეცდომა ჩვენ ვერ გამოვასწორეთ მაშინაც კი, როცა საბჭოთა ჯარები უკვე მოადგნენ საქართველოს და ჩვენთვის აშკარა იყო, რომ ბრძოლა მათთან შეუძლებელი იყო. ჩვენ ვხედავდით ჩვენ შინაურ მდგომარეობას, ვხედავდით გარეშე მდგომარეობას. ძნელი და უაზრო იყო ეს ბრძოლა. მაგრამ მაშინ ვერ [illegible] ამის ძალით და იმ საშინელ შეცდომებს, რომელსაც ჩვენ [illegible] 1918 წელს, [illegible] უკანასკნელ დრო[illegible]

რა გზა, რა ხაზი უნდა აიღოს პროლეტარიატმა ეროვნულ მოძრაობაში. ეს საკითხი აუცილებლად უნდა იქნეს გარკვეული, თუ სწორედ მივუდგებით ეროვნულ საკითხის გადაჭრას. ეროვნულ მოძრაობაში მთავარი მომქმედი პირი — ფაქტორი არის ბურჟუაზია. ეროვნულ შუღლს, ეროვნულ ინტერესების შეჯახებას აქვს ადგილი მხოლოდ ბურჟუაზიულ წესწყობილებაში. მხოლოდ მაშინ, როდესაც ძალაუფლება ბურჟუაზიის ხელშია, ბურჟუაზია ეძებს ახალ ბაზრებს. ის ეძებს ქვეყნებს, სადაც უნდა გაასაღოს თავისი ნაწარმოები. ის ჩაგრავს ყოველთვის მის მიერ დამორჩილებულ ერის ბურჟუაზიას, ავიწროებს მას ყოველმხრივ — [illegible] და ყოველ [illegible], და, როდესაც დაჩაგრულ ერის ბურჟუაზია შევიწროებულია, მაშინ ეს შევიწროება ეხება მშრომელ მასასაც. თუ დაიჩაგრა ერის ენა, სკოლა და სხვა, თავის თავად ცხადია, რომ ეს პროლეტარიატსაც ეხება. ეროვნულ შუღლს, ბრძოლას, შოვინიზმს, მოესპობა ნიადაგი მაშინ, როდესაც არ იქნება ადგილი ბურჟუაზიულ წესწყობილებას, ბურჟუაზიულ ჯგუფების ქიშპობას და განმტკიცდება სოლიდარობა ყველა ერებს შორის.

მაშინ, როდესაც ჩვენში იყო დემოკრატიული წყობილება, როდესაც ანტანტის აგენტები მეფობდნენ, აქ მუდმივი იყო ომი — ბრძოლა მეზობელ სახელმწიფოებთან. ჩვენი ნერვები მუდამ დაჭიმული იყო ომების გამო. მაგრამ დამყარდა თუ არა პროლეტარიატის ძალაუფლება, მოეღო თუ არა ბოლო დემოკრატიულ წესწყობილებას და დასავლეთ ევროპის იმპერიალისტების თარეშს, ჩვენ ვხედავთ, რომ არა აქვს ადგილი დღეს ეროვნულ შუღლს, ეროვნულ ბრძოლას. ვხედავთ, რომ სრულიად მტკიცე კავშირი ერებს შორის და წარმოუდგენელია, რომ ქართველმა ერმა გაილაშქროს სომხეთის ერის წინააღმდეგ და სომხის ერმა გაილაშქროს ქართველ ერის წინააღმდეგ ამის ნიადაგი აღარ არის. ეს ჩვენთვის წარმოუდგენელია. დემოკრატიულ წყობილების დროს კი ჩვენ ყოველ წამს ველოდით, რომ დაგვესხმოდა ვინმე და დაგვიმსხვრევდა.

როგორ პირობებში იყო წინედ ეროვნული საკითხი საქართველოში. მე გითხარით, რომ უმთავრესი ფაქტორი ეროვნულ მოძრაობისა, შუღლისა და შოვინიზმისა — არის ბურჟუაზია და ბურჟუაზიული წესწყობილება. ჩვენში, საქართველოში, გაბატონებული იყო სომხეთის ბურჟუაზია. ქართველი ბურჟუაზია არ იყო ისე გამაგრებული და მომწიფებული, როგორც სომხის ბურჟუაზია. აქედან იწყება ჩვენი ანტი-სომხური ნაციონალიზმი და ეს ანტი-სომხური ნაციონალიზმი ხშირად იღებდა ჩვენში [illegible] სახეს. [illegible] თუ რა მდგომარეობა იყო მაშინ ჩვენში, როცა ადგილი ჰქონდა ანტი-სომხურ ნაციონალიზმს და გაბატონებული სომხური ბურჟუაზია საქართველოში. ავიღოთ ტფილისის საბჭო 1916 წელს. იქ ქართველები იყო სამსახურში 17,6 პროც., სომხები 56,6 პროც., დანარჩენი ეროვნებები — 25,9 პროც. ეს იმ დროს, როდესაც ქართველები საერთო მოსახლეობის 25 პროცენტზე მეტი იყო ტფილისში. ქართველებს იმ დროს ხმოსნები ჰყავდათ მხოლოდ 17 პროც. 1917 წელში ქალაქის თვითმმართველობის მოსამსახურეთა შემადგენლობა ასეთი იყო: სომხები 50 პროც. ქართველები — 23,1 პროც. რუსები — 20,8 პროც., დანარჩენები 5,3 პროცენტი. რატომ ხდებოდა ეს? ჩვენში ადგილი ჰქონდა ანტისომხურ ნაციონალიზმს. მაგრამ აქ მშრომელი ხალხი არაფერ შუაში არ იყო და არავითარი დანაშაულობას არ სჩადიოდა. აქ დამნაშავე იყო მხოლოდ გაბატონებული სომხური ბურჟუაზია. მაგრამ, დემოკრატიულ რესპუბლიკის დროს ამას ჩვენ ანგარიშს არ ვუწევდით. ჩვენ, საერთოდ, გვეგონა, რომ ყველა სომეხი ქართველის მტერი იყო. აი ასეთი სულისკვეთება იყო ჩვენში. ნამდვილი ამის მიზეზი კი იყო სომხეთის გაბატონებული ბურჟუაზია. რევოლუციის და პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების ხელში აღების შემდეგ ეროვნულ ჩაგვრას ჩვენში ბოლო ეღება. მას შემდეგ, რაც პროლეტარიატი იღებს ძალაუფლებას, ჩვენ ვხედავთ, რომ ადგილი აღარ აქვს ეროვნულ ჩაგვრას. ახლა ტფილისის საბჭოში ქართველები შეადგენენ 43,4 პროც., სომხები 19,4 პროც., რუსები — 26,1 პროცენტი და დანარჩენები 11,1 პროც. მართალია საკმაოდ პროპორცია არც ახლა არის დაცული; ტფილისის მცხოვრებლობა, როგორც უკანასკნელ აღწერამ გამოარკვია, წარმოადგენს ასეთ სურათს: ქართველები არის 34,7 პროც. სომხები 36,6 პროც. რუსები 16,5 პროც. დანარჩენი ეროვნებები — 12,2 პროც. აი ამ პროცენტების მიხედვით უნდა იყოს წარმოდგენილი საქართველოს დედა-ქალაქის საბჭოს დეპუტატთა შემადგენლობა. მაგრამ საქმე შემდეგშია: საბჭოთა ხელისუფლება არჩევნებში მონაწილეობის უფლებას აძლევს მხოლოდ მშრომელ ხალხს. და თუ ამ მხრივ მივაქცევთ ყურადღებას ამ საკითხს ეროვნული პროპორცია სრულიად დაცულია. წინეთ არ იყო ეს.

ჩვენში, ამხანაგებო, ხშირად გამიგონია იმ ამხანაგებისაგან და იმ პირებისაგან, რომლებიც არ იყვნენ და, შესაძლებელია, დღესაც არ არიან კარგად განწყობილნი საბჭოთა ხელისუფლების მიმართ, რომ საქართველოში გაბატონებულია უცხო ელემენტები, რომ საქართველოს დედა ქალაქში ბატონობენ სხვა ქვეყნებიდან ჩამოსული [illegible] არიან [illegible] აქვთ ადგილი ჩვენ დაწესებულებებში. შეიძლება, ბევრი ახლაც ასე ფიქრობს, ახლაც გვგონიათ თითქოს ამ მდგომარეობაში ვიყოთ. მაგრამ მე შემიძლიან მოგცეთ ცნობა, რომ ეს მართალი არ არის. ქალაქის აღმასკომში დღეს შემადგენლობა ასეთია: ქართველები — 61 პროც., სომხები — 19 პროც., რუსები — 11 პროც. დანარჩენები — 9 პროც. რაც შეეხება ქართულ ენას, თქვენ იცით, რომ სპეციალური დეკრეტი იყო და დიდი ინტენსივობით და ენერგიით ტარდება ქართული ენა ყველა სახელმწიფო დაწესებულებებში. ჯერ კიდევ მენშევიკების დროს სახელმწიფო ენათ ცნობილი ქართული ენა, საბჭოთა ხელისუფლების დროს, განსაკუთრებით მე-12 ყრილობის შემდეგ, უფრო მეტი სიცოცხლით ტარდება, ვიდრე ოდესმე. ამას ვერავინ უარყოფს. თუ გადავალთ მუშათა და მოსამსახურეთა შემადგენლობაზე მთელ საქართველოს ფარგლებში, ჩვენ დავინახავთ შემდეგ სურათს. საქართველოში სულ ითვლება 76 672 მუშა მოსამსახურე: აქედან ქართველები შეადგენენ — 50,8 პროც., სომხები — 20 პროც., რუსები — 19,2 პროც., სხვა ეროვნებები — 10 პროცენტს.

თუ მარტო ტფილისს ავიღებთ, დავინახავთ შემდეგს: ტფილისში ითვლება საერთოდ 40 843 მუშა-მოსამსახურე, აქედან ქართველებზე მოდის 37,1 პროც. სომხებზე 28,7 პროც. რუსებზე 23 პროც. დანარჩენ ეროვნებებზე 10,6 პროც. აქედან აშკარაა, რომ ადგილი არ აქვს ქართველთა ეროვნულ შევიწროებას და ქართველ ელემენტების დევნას ჩვენ დაწესებულებებიდან და წარმოებებიდან, რაზედაც ხშირად ლაპარაკობენ ჩვენი [illegible]. ეხლა ამხანაგებო, როგორ უნდა იყოს საერთოდ დღევანდელ პირობებში ჩვენი დამოკიდებულება ეროვნულ საკითხზე. როგორ უნდა იყოს გადაჭრილი ჩვენში და რა ნიადაგზე უნდა სწარმოებდეს ამ საკითხის ირგვლივ მუშაობა.

ჯერ კიდევ 1913 წელში ლენინმა სთქვა: „იმისთვის, რომ სხვა და სხვა ერები თავისუფლად და მშვიდობიანად სცხოვრობდნენ ერთმანეთთან ან და შორდებოდნენ ერთმანეთს, როდესაც ეს მათთვის საჭიროა სხვა დასხვა სახელმწიფოების დაარსებით, ამისათვის საჭიროა სრული დემოკრატიზმი, რომელსაც მხოლოდ მუშათა კლასი იცავს. არავითარი პრივილეგია არც ერთ ერს, არც ერთ ენას, არავითარი შევიწროვება, არავითარი უსამართლობა ეროვნულ უმცირესობისადმი, — აი პრინციპი მუშათა დემოკრატიისა“. აი ამას სწერდა ლენინი 1913 წელში და ეს პრინციპი სრულიად მისაღებია ჩვენთვის. ძველი რუსეთი ჩვენ გვავიწროებდა ეს აშკარაა ყველასათვის. ძველმა რუსეთმა მართალია დიდი საქმე გაუკეთა საქართველოს [illegible] 120 წლის წინეთ [illegible] შეერთება ეს იყო დიდი პროგრესიული ნაბიჯი და აუცილებელი საქართველოსათვის, მაგრამ ბოლოს ჩვენ დავინახეთ, რომ ცარიზმის რუსეთი აწარმოებდა დაპყრობით პოლიტიკას, ატარებდა რუსიფიკატორულ პოლიტიკას, ავიწროებდა ქართველ ეროვნულ ინტერესებს, ასე, რომ თავის თავად ცხადია, რომ ძველი ჭრილობები ჯერ კიდევ არის ჩვენში, ჯერ კიდევ არ არის მოშუშებული. ამიტომ არის, რომ ჩვენში ეროვნული საკითხი ძლიერ მტკივნეულია. სხვა ერს, დიდ ერს რომ უთხრა რა არის შენი ენა, ის ან გაიცინებს ან გეტყვის: ჩემი ენა დიდებული არისო. ქართველს რომ ჰკითხო რა არის შენი ენა, მას საშინლად შესტკივდება გული, შეურაცხყოფათ მიიღებს ამას. რუსს რომ უთხრა, არ მიაქცევს ყურადღებას. ქართველი დიდ ყურადღებას მიაქცევს. რატომ? ეს აიხსნება იმით, რომ ქართველ ერი და საზოგადოთ პატარა ერები მრავალ წლების განმავლობაში ჩაგვრას განიცდიდნენ. ამიტომ რუსეთის სოციალისტების მოვალეობაა ყოველმხრივ ხელი შეუწყონ საქართველოს დამოუკიდებლობას, მათ უნდა იბრძოლონ დიდმპყრობელურ ტენდენციის ნაშთების წინააღმდეგ და მეორეს მხრივ საქართველოს სოციალისტების მოვალეობა არის ხელი შეუწყონ იმ იდეების გავრცელებას, რომ საქართველოს მუშებს და გლეხებს ესაჭიროებათ რუსეთის პროლეტარიატთან დაახლოება და დაკავშირება. თუ ძველი რუსეთი მრავალი ათეული წლების განმავლობაში ავიწროებდა საქართველოს, დღეს რუსეთის სოციალისტების მოვალეობაა, რომ მათი პოლიტიკა იყოს ისეთი, მათი მოქმედება — მუშაობა იყოს ისეთ ფარგლებში ჩამოყალიბებული, რომ ნდობა და კავშირი ჩვენსა და მათ შორის განმტკიცდეს და ძველი ჭრილობები სრულიად მოშუშებულ იქნეს. ეს არის არა მარტო საქართველოს ტერიტორიის მცხოვრებთა ინტერესი, არამედ ეს უნდა იყოს თვით რუსეთის სოციალისტების ინტერესიც.

ჩვენ ვნახეთ ამხანაგებო, რომ მე-12 ყრილობამ მოახდინა ისეთი ამბავი, რომელიც ისტორიას არ ახსოვს. გვიგონიათ, რომ რომელიმე გაბატონებულ ერს ეთქვას, რომ ჩვენ უნდა ვებრძოლოთ ჩვენ ეროვნულ ბატონობას. ეს თქვა რ. კ. პ. მე-12 ყრილობამ. მან განაცხადა, რომ ჩვენ სასტიკი ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ დიდმპყრობელური ტენდენციების წინააღმდეგ. ჩვენ უნდა შევქმნათ ისეთი პირობები, რომ არავინ გრძნობდეს თავს დაჩაგრულათ. ეს დიდი ნაბიჯი, გადადგმული მე-12 ყრილობის მიერ, სრულიად ეთანხმება იმ პრინციპებს, რაც 1913 წელში ჩვენმა დიდმა მოძღვარმა ლენინმა განაცხადა ეროვნულ თავისუფლების შესახებ.

ეს სრულიად ეთანხმება აგრეთვე ამხ. ლენინის ლოზუნგებს, რომელიც მან გამოსთქვა ჯერ კიდევ 1915 წელს მსოფლიო ომის დროს: მან მაშინ განაცხადა, რომ ჩვენ ველიკოროსის სოციალისტები მოვალენი ვართ მივცეთ სრული დამოუკიდებლობა ყველა იმ ერებს, რომლებიც შედიან რუსეთის სახელმწიფოში. ჩვენ უნდა მოვითხოვოთ ეს, ჩვენ უნდა ვებრძოლოთ ამ პრინციპის განხორციელებას. მაგრამ იმავე დროს ჩვენ უნდა ვეცადოთ ამ ერებს, რომ მათ ქონდეთ მტკიცე კავშირი რუსეთის პროლეტარიატთან, რომ ჩვენი საერთო ფრონტი არ იქნეს დარღვეული. აი ჩვენ მენშევიკები ამის წინააღმდეგი ვიყავით. ამ ლოზუნგს წინააღმდეგი ვიყავით როგორც ქართველი, ისე რუსი მენშევიკები.

ჩვენ მაშინ ვთქვით, რომ ლენინს უნდოდა რუსეთის დამარცხება იმპერიალისტურ ომში. მეორე დღეზე ამხ. ლენინის [illegible] ქვეყნის სოციალისტები უნდა იბრძოდნენ, რომ ამ მსოფლიო ომში დამარცხებულ იქნეს მათი სახელმწიფო ჩვენ ამას უწოდეთ ღალატი, დღეს კი ვხედავთ, რომ ლენინი თავის თეზისებში მართალი ყოფილა. რევოლუციას არ შეეძლიან არ მისცეს ფართე უფლებები და სრული დამოუკიდებლობა წინად დაჩაგრულ ერებს. ჯერ კიდევ 1848 წ. მარქსი მოითხოვდა, რომ გერმანიის გამარჯვებულ დემოკრატიას გამოეცხადებინა და განეხორციელებინა იმ ხალხთა თავისუფლება, რომლებიც გერმანელების მიერ იყვნენ დაჩაგრულნი. ამას მოითხოვდა მარქსი რევოლუციის ინტერესების თვალსაზრისით. მარქსი 1869 წ. ამასვე ურჩევდა ირლანდიის შესახებ ინგლისელებს, რომ ირლანდია ყოფილიყო გამოყოფილი.

ოპორტუნისტები და ბურჟუაზიული რეფორმისტები ხშირად გამოდიოდნენ ამ დებულების წინააღმდეგ, ისინი ერების განთავისუფლებას უწოდებდნენ უტოპიას და განუხორციელებლად მიაჩნდათ ეს. ისინი ამბობდნენ: ყოვლად შეუძლებელია პატარა ერებს მიეცეს დამოუკიდებლობა, იმიტომ, რომ ეკონომიურად სუსტი ერი თუ იქნება დამოუკიდებელი ის ვერ შესძლებს თავის სახელმწიფოს გამაგრება-განმტკიცებას და ის სახელმწიფო დაიღუპება. მარქსმა წამოაყენა პრინციპი მცირე ერების განთავისუფლებისა ერთა თანასწორობის ნიადაგზე.

მაგრამ შეიძლება გკითხონ: პროლეტარიატის დიქტატურის დროს, რა საჭიროა ერების გამოყოფა, დამოუკიდებლობა, რა საჭიროა ერებს ჰქონდეს თავისუფალი სახელმწიფო. ჩვენ გვესმის, ამბობს ზოგიერთი, როდესაც ბურჟუაზიული წესწყობილებაა, როდესაც აქ ადგილი აქვს ეროვნულ შუღლს, მაშინ, ცხადია, ამ პატარა ერებს [illegible] იქნეს დამოუკიდებლობა [illegible] მაშინ, როდესაც ძალაუფლება პროლეტარიატის ხელშია, როდესაც ეროვნულ შუღლს არ უნდა ჰქონდეს ადგილი რა საჭიროა პატარა ერებს ჰქონდეს თავისი სახელმწიფო. ამის შესახებ უნდა ვსთქვა, რომ ინტერნაციონალური კულტურა ეს არ არის ისეთი კულტურა, რომელსაც არ უნდა ჰქონდეს ნიადაგი არც საქართველოში არც სომხეთში. ეს უნდა იყოს ერების გარეშე, თავად შექმნილი კულტურა — ასეთი კულტურა არის უაზრობა. ინტერნაციონალურ იდეებთან შეუძლია ახლოს იყოს მუშათა კლასი მხოლოდ მაშინ, როდესაც შეგუებულნი არიან იმ ენასთან, რომელზედაც ლაპარაკობს მუშათა კლასი, და იმ კონკრეტიულ პირობებთან, რომელშიაც ის ცხოვრობს. ყველა ერის პროლეტარიატი უნდა ვითარდებოდეს თავის ეროვნულ ნიადაგზე, რომ შევიდეს ინტერნაციონალურ ოჯახში, იცოდეს შესაფერ ცოდნას ეროვნულ ენაზე და იმ განსაკუთრებულ პირობებში, რომელშიაც ცხოვრობს. (ტაში).

ქართველი ერის გულში მრავალი წლის ჩაგვრამ მწარე მოგონებები დასტოვა. სხვა პირობებში უმნიშვნელო ფაქტიც, სხვა დიდი ერის გულში გამოუხმაურებლად, რომ დარჩეს, მაგრამ ქართველ ერის გულში ამას დიდი მნიშვნელობა ექნება, ამიტომ საქართველოს ნაციონალურ საკითხს, ეროვნულ საკითხს, ფრთხილათ და მეტის-მეტად წინდახედულად უნდა მოვეპყრათ. ამ საკითხს მეტად ფრთხილი მიდგომა სჭირდება. და ამიტომ ჩვენ უნდა ვაწარმოოთ ბრძოლა ნაციონალურ შევიწროებასთან ვისი მხრითაც არ უნდა იყოს ეს, და რამაც არ უნდა გამოიხატებოდეს იგი. იმავე დროს უნდა ვებრძოლოთ შევიწროების ტენდენციას საქართველოს მხრით სხვა ეროვნებების მიმართ. ჩვენ ვხედავთ, რომ საბჭოთა ხელისუფლება მეტის მეტად სასტიკად ეპყრობა ყველა იმას, ვინც გაბედავს და განიზრახავს ერის ენის შეურაცხყოფას. თქვენ გახსოვთ ამხ. [illegible], რომ გაასამართლეს რამოდენიმე კაცი, რომლებთაც უწოდეს ჩვენს ენას მეტად შეურაცხმყოფელი სახელით [illegible] ცხადია, მეტად სასიხარულოა და საჭიროა; ძველად ამისთანა შემთხვევაში ჩინებსა და წარჩინებას აძლევდნენ. დღეს კი თუ ამას ვინმე გაბედავს, მას უმასპინძლდებიან ციხით. ეს აუცილებელია. მაგრამ ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ თუ ჩვენ მოვითხოვთ შესაფერ მოპყრობას, ჩვენ სხვებისთვისაც უნდა შევქმნათ ისეთი პირობები, რომ მცირე ერები, რომლებიც საქართველოში იმყოფებიან, გრძნობდენ თავს ჩვენთან თანასწორად და თავის ქვეყანაში, ჩვენ უნდა შევქმნათ ისეთი პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ ქართველ ერის მშრომელ მასის განვითარებას. და ყველა ეს უნდა იყვეს აშენებული თანასწორობით საფუძველზე და საქართველოს უმცირესობისათვის, რომლებიც ორგანიზაციულად არ არიან მოწყობილნი ერთეულებში, ავტონომიურ კავშირებში და სხვა, — მათთვის უნდა შეიქმნას სკოლები და სხვა ასეთი, რომ ისინი გრძნობდენ თავს ჩვენთან სრულიად თანაბარ პირობებში. ამ მხრივ საბჭოთა ხელისუფლებამ მეტად დიდი საქმე გააკეთა. ჩვენ დროს, ჩვენ სასტიკად ვებრძოდით იმის წინააღმდეგ, რომ ოსეთს ჰქონდა თავისი დამოუკიდებელი რესპუბლიკა. ვებრძოდით აჭარას და სხვას. რატომ არ გვსურდა, რომ აჭარას ჰქონოდა თავისი ავტონომიური რესპუბლიკა. რა იყო აქ საშინელი? არაფერი. მაგრამ სამწუხაროდ ის იმპერიალისტური სული, რომელიც ძველ რუსეთში და, შემდეგ დროებითი მთავრობის დროს რუსეთში ტრიალებდა, — ეს იმპერიალისტური სული ტრიალებდა ჩვენშიაც და ჩვენ ტყვია-ზარბაზნებით ვუმასპინძლდებოდით პატარა ერებს, რომლებიც მოითხოვდნენ დამოუკიდებლობას. (ტაში).

ეს იყო მეტად შემცდარი ნაბიჯი. მაშინ, როდესაც ჩვენ მოვითხოვდით ჩვენ დამოუკიდებლობის აღიარებას, ჩვენ უნდა გამოგვეჩინა იმდენი სულგრძელობა, რომ ასეთი დამოუკიდებლობა მიგვეცა იმ პატარა ერებისათვის, მათ საკუთარ ტერიტორიაზე, რომლებიც შედიან საქართველოს ფარგლებში. შეგვექმნა მათთვის ისეთი პირობები, რომ მათ არ ეგრძნოთ თავი უცხო ხალხათ ჩვენში. თქვენ გახსოვთ, რომ ჩვენ დროს ეს საკითხი მწვავედ იდგა, მაგრამ არ იყო გადაჭრილი; დღეს კი გულახდილად უნდა ვთქვათ, რომ ეს საკითხი გადაჭრა, ოსეთს, აჭარას აქვს თავისი ავტონომია და ჩვენ ამ ქვეყნებს არ ვუმასპინძლდებით ტყვია-ზარბაზნებით და დამოკიდებულება ამ ქვეყნებსა და ჩვენ შორის მეტად მეგობრული და მტკიცე არის. ჩვენ, თავის თავად ცხადია, უნდა ვიდგეთ ინტერნაციონალიზმის პოზიციაზე. მაგრამ, ვიცით, რომ ყველა ერი, რომელსაც მუშათა კლასი ხელმძღვანელობს, საერთო ინტერნაციონალის ოჯახში შევა, შეიქნება თანასწორ-უფლებიან წევრად იმ შემთხვევაში, თუ განვითარდება მისი ეროვნული კულტურა. ეს კი შეიძლება მხოლოდ იმ პირობებში, თუ ერი სრულიად განთავისუფლდება ეროვნულ ჩაგვრისაგან და მას მიეცემა თავისუფალ არსებობის უფლება. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ერს არ უნდა ჰქონდეს უფლება თავისუფლებისა, დამოუკიდებელ არსებობისა. ეს ნიშნავს, რომ თვითეულ ერს შეიძლება ჰქონდეს დამოუკიდებლობა თავის სახელმწიფოში, თავის ეროვნულ ფარგლებში განვითარების საშუალება და ისე თავის ეროვნული თავისებურობით ის შევიდეს ინტერნაციონალურ ოჯახში.

იმ დროს, ამხანაგებო, როცა იმპერიალისტური რეაქცია არაზ[illegible] მება საერთოდ [illegible] რესპუბლიკების წინააღმდეგ და [illegible] მათ [illegible], როგორი უნდა იყოს ჩვენ დამოუკიდებლობა, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და ამავე დროს — კავშირი სხვა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებთან? ცხადია, რომ, საქართველო მარტო, სრულიად მოშორებული და მოწყვეტილი სხვა საბჭოთა რესპუბლიკებს ვერ დარჩება. იმ დროს, როდესაც რუსეთს, სომხეთს, აზერბეიჯანს და ყველა სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკებს ალყა აქვთ შემორტყმული იმპერიალისტებისაგან, როდესაც ყოველთვის ველოდებით ინტერვენციას, ცხადია, რომ ამ რესპუბლიკების შორის უნდა იყოს მჭიდრო, ძმური კავშირი და შეთანხმება ინტერესებისა. ასეთი მჭიდრო კავშირი წარმოსადგენია მხოლოდ სამხედრო სამეურნეო და პოლიტიკურ კავშირის ფორმებში. ეს კავშირი ცხოვრების მიერ არის ნაკარნახევი. და თქვენ გახსოვთ, რომ აქედან გასული — სომხეთის, აზერბეიჯანის და საქართველოს მთავრობები გრძნობენ ამ კავშირის საჭიროებას მაშინ, როდესაც აქ ყოფნის დროს მეტად გამწვავებული მდგომარეობა იყო ამ სამ რესპუბლიკათა შორის და მუდმივ ბრძოლის ალში ვიმყოფებოდით, როცა საზღვარგარეთ გაიქცნენ, გაიქცნენ, იქ შეკრეს ასეთი კავშირი და სთქვეს — ასეთი კავშირი ჩვენთვის აუცილებელი ყოფილაო. ჩვენ ვამბობთ, ასეთი მჭიდრო კავშირი, სრულ, თანაბარ, სწორუფლებიან პირობებში საჭიროა ყველა საბჭოთა რესპუბლიკებისათვის, როგორიც არის რუსეთი, უკრაინა, აზერბეიჯანი, სომხეთი და საქართველო. ეს კავშირი აუცილებლად მჭიდრო უნდა იყოს მხოლოდ სამხედრო სამეურნეო და პოლიტიკურ საკითხებში. მე-12 ყრილობის დადგენილება, რომელიც თქვენ, ალბად, გექნებათ წაკითხული, აუცილებლად და უცვლელად მისაღებია ჩვენთვის. ეს დადგენილება ჩვენმა ყრილობამ უნდა მიიღოს, რომ ქაღალდზე არ დარჩეს და გატარებულ იქნეს ცხოვრებაში. აი, ამხანაგებო ჩვენი აზრი ეროვნულ საკითხის შესახებ. ჩვენ ვამბობთ, რომ ეროვნული საკითხის სწორად გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ პროლეტარიატის და მის ძალაუფლების დროს. მას ვერ გადასჭრიდა სწორად ბურჟუაზიული წყობილება, ეს ვერ გადასჭრა სწორად ჩვენმა დემოკრატიულმა რესპუბლიკამ და მისი გადაჭრა სწორად შესაძლებელი შეიქნა მხოლოდ მაშინ, როდესაც საქართველოში დამყარდა პროლეტარიატის ძალაუფლება. ეხლა მინდა გადავიდე ერთ ფრიად საყურადღებო საკითხზე, რომლის შესახებ, ალბად, თვითეული თქვენგანი ფიქრობს და, შესაძლებელია, შეკითხვასაც ამზადებს. მე მინდა ორიოდე სიტყვით შევეხო წითელ [illegible] ჩვენში. ჩვენი მოწინააღმდეგენი ამტკიცებენ, რომ რუსეთის წითელი ჯარი არის იმპერიალისტური ჯარი, საოკუპაციო ჯარი, გავარკვიოთ, რა არის ეს — საოკუპაციო ჯარი. საოკუპაციო ჯარი ეწოდება ისეთ ჯარს, რომელიც რომელიმე სახელმწიფოს მიერ იქნება შეყვანილი მეორე სახელმწიფოში დაპყრობითი მიზნებით. ერთი სახელმწიფო მეორეს იპყრობს და იქ თავის ძალა-უფლებას განამტკიცებს, შეიყვანს ჯარს და დაამყარებს იქ ამ ჯარის დიქტატურას. [illegible] ჯარი საქართველოში იმ მიზნით, რომ საქართველო დაიპყროს და შეუერთოს რუსეთს?

ამ მიზანს არ ატარებს რუსეთის ჯარი. ჩვენ ვიცით, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა უფრო მტკიცედ დადგა მას შემდეგ, რაც გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება. ჩვენ ვიცით, რომ წითელი ჯარი შემოვიდა ჩვენში ისე თავაზიანათ, ისე დარაზმულად, რომ პირდაპირ წარმოუდგენელია. ჩვენ გვახსოვს შემოსვლა გერმანიის ჯარებისა, გვახსოვს შემოსვლა ინგლისის ჯარებისა, გვახსოვს ისიც, როცა აქედან გაჰყავდათ თავისი ჯარი ინგლისსა და გერმანიას. მაშინ ჩვენი დელეგაცია მივიდა ფონ-კრესსთან, რომ მას დაეტოვებინა აქ თავისი ჯარი იმიტომ, რომ ჩვენ მოველოდით მეზობელ სახელმწიფოების თავდასხმას და გვინდოდა მათი დახმარებით თავი დაგვეცვა. მაგრამ, მიუხედავათ ამისა, გერმანიამ გაიყვანა თავისი ჯარი და შემოვიდა ინგლისის ჯარი. როდესაც ინგლისმა დააპირა თავისი ჯარების გაყვანა, ჩვენ ვევედრით და ვთხოვეთ ინგლისს დაეტოვებინა თავისი ჯარი ჩვენ დასაცავად. მაგრამ, თქვენ გახსოვთ, [illegible] ეს ჯარი, როგორ ეპყრობოდა მცხოვრებლებს. რა დიქტატურა ჰქონდათ გამოცხადებული მაშინ. ასეთია რუსეთის ჯარი? არა, ასეთი არ არის ამხანაგებო, მე ბათუმში ვიყავი მაშინ, როდესაც შემოვიდა რუსეთის ჯარი ჩვენ გვეუბნებოდნენ, რომ ტფილისში ხვრეტენ ხალხს, [illegible] არის აღმართული და ადგილი აქვს მცხოვრებლების ჩამოხრჩობას, სასახლის წინ რამოდენიმე სტუდენტი დახვრიტეს. ეს არ გვჯეროდა.

ამ ხმებს ავრცელებდნენ ისინი, ვინც მტრულად იყვნენ განწყობილნი საბჭოთა ხელისუფლებისადმი და დღესაც მტრულად არიან განწყობილი. ჩვენ ვფიქრობდით, რომ რუსეთის ჯარი შემოვიდა საქართველოს დასაპყრობად, მაგრამ ეს ასე არ არის, მის შემოსვლას არ ჰქონია დაპყრობითი ხასიათი. ჩვენ ამაში ვრწმუნდებით დღეს.

რუსეთის ჯარი შემოვიდა არა რუსეთის მთავრობის დავალებით, არამედ ქართველი კომუნისტების შუამავლობით.

რუსეთის ჯარი შემოვიდა იმ მიზნით, რომ აქედან გაეგდოთ უცხო [illegible] რომ განემტკიცებინა აქ [illegible] რაზის დიქტატურა, მენშ[illegible] გლე[illegible] იმ მიზნით, რომ შემოეტანათ ჩვენ[illegible] ოქტომბრის რევოლუციის დრო[illegible] (ტაში).

რუსეთის ჯარმა დიდი მისია შე[illegible] სრულა.

და აი დღეს ეს ყრილობა სოცია[illegible] დემოკრატიული მუშათა პარტი[illegible] ყოფილი მენშევიკების, იღებს [illegible] მუშათა კლასის დიქტატურას. [illegible] ნიშნავს ეს. ეს ნიშნავს იმას, რ[illegible] ორ ნახევარი წლის წინათ რ[illegible] ჯარმა გააკეთა ეს საქმე, რომ[illegible] საქმეებით მისაღებია მუშათა [illegible] სისათვის. აქედან თავის თავად ცხ[illegible] დია, რომ რუსეთის ჯარი სრუ[illegible] დაც არ არის საოკუპაციო ჯ[illegible] რი და ამიტომაც ეს ტერმი[illegible] სრულებითაც არ შეესაბამება [illegible] ჯარს.

შეიძლება ბევრმა სთქვას: რატ[illegible] უნდა მოსულიყვნენ ჩვენში [illegible] ლი კომუნისტები რუსეთის წ[illegible] ლი ჯარით. მაგრამ, ამხანაგებო, [illegible] იცით, რომ რევოლუციამ არ [illegible] საზღვარი. თქვენ ხედავთ, რომ [illegible] ჩვენს რეზოლუციებში [illegible] გაუმარჯოს სოციალისტურ [illegible] ლუციასო. რას ნიშნავს ეს. ეს ნი[illegible] ნავს იმას, რომ თუ შესაძლებელი იქნება, ჩვენ შეიძლება გერმანიაში [illegible] წავიდეთ, საფრანგეთში [illegible] დეთ, სხვა ქვეყნებშიც [illegible] რომ ავაფრიალოთ წითელი სო[illegible] ლისტური დროშა. (ტაში) [illegible] გახსოვსთ ალბად 1907 და 19[illegible] წლებში, რომ სპარსეთში რევო[illegible] ციონური ალმური ტრიალებდა, ჩვენ ვამზადებდით რევოლუციონურ [illegible] მებს, ვძლევდით მათ ყუმბარებს, რომ იქ რევოლუცია მოეწყოთ. [illegible] ნიშნავს ეს? რატომ სპარსელებმა [illegible] გვითხრეს? „რა გინდათ თქვენ, [illegible] მოდიხართ, ჩვენ თვითონ გავაკეთებთ ჩვენი რევოლუციის საქმესო? [illegible] იმათ მიიღეს ჩვენი დახმარება. [illegible] თუ არა ეს მისაღები? [illegible] მისაღები. ჩვენ ვაწარმოებდით [illegible] ამ მუშაობას, ჩვენ [illegible] რევოლუციონურ მოძრაობას. [illegible] გკითხავთ: არის თუ არა მისაღ[illegible] სოციალისტისათვის და რე[illegible] ციონერისათვის, რომ შემო[illegible] ჩვენში რევოლუციონური ჯარი [illegible] ქვეყანაში, სადაც ადგილი ჰქონ[illegible] იმპერიალისტების თარეშს და [illegible] ამბობდნენ: ჩვენ რუსეთის რე[illegible] ციონერ პროლეტარიატს გვა[illegible] ნია დასავლეთის იმპერიალისტ[illegible] მე მგონია ისტორია სრულიად [illegible] მართლებს ამ რევოლუციონურ [illegible] რის შემოსვლას, რომელმაც აა[illegible] ლა ჩვენში ოქტომბრის რევოლუ[illegible] დროშა. შეიძლება შემეკითხონ: [illegible] ამ ჯარმა შეასრულა დიდი მი[illegible] რამ მუდამ ხომ არ უნდა იყო[illegible] ხომ უნდა დადგეს მომენტი, რომ [illegible] ჯარი გავიდეს აქედან. — უნდა [illegible] გეს, — და მე მგონია ეს მომენტი [illegible] ახლოვებულია. წითელ არმიამ შე[illegible] რულა დიდი მისია და ის უნდა [illegible] უბრუნდეს ჩვენს მოკავშირე სახე[illegible] მწიფოს, დაუბრუნდეს თავის [illegible] შვილს, დაუბრუნდეს თავის [illegible] მამას, ნათესავებს. მაგრამ როდის [illegible] საკითხი. არის თუ არა შესაძლებე[illegible] ლი დღეს-ხვალ წითელმა არმიამ [illegible] არ არის შესაძლებელი. ეს [illegible] დამღუპველი ჩვენი ქვეყნისათვის. [illegible] წითელი ჯარი გავიდეს, თქვენ [illegible] ნახავთ, რომ ხოლოყაშვილის [illegible] დები, რომლებიც დღეს [illegible] მოდიან თამამათ, მაშინ [illegible] ლენ. თქვენ დაინახავთ, [illegible] აქ გაბატონდება დიქტატურა [illegible] ყაშვილისა (ხმები: ჩვენ მხარს [illegible] უჭერთ). დიახ თქვენ არ [illegible] მაგრამ მათ დაუჭერენ [illegible] თვით ანტანტის იმპერიალისტ[illegible] ჩვენ ვიცით, დოკუმენტალურად [illegible] ვიძლია დავამტკიცოთ, რომ ან[illegible] ტის იმპერიალისტებს და აქედან [illegible] დახვეწილებს აქვთ ერთგვარი [illegible] რი ამ ბანდებთან. და როგორ [illegible] რობთ თქვენ, მაშინ არ დადგება [illegible] ტატურა ამ ბანდების, [illegible] თვის წინამძღვარი იყო? [illegible] რომ აქ აღმოჩნდა სამხედრო ცენტ[illegible] რომელშიაც შედიოდნენ ძველი [illegible] მის გენერლები, მეფის [illegible] ფიცერი ოფიცრები, მემამულეები [illegible] ვადები, აი ეს სამხედრო ცენტრი [illegible] ზადებდა გადატრიალებას ჩვენში, [illegible] ზადებდა აჯანყებას და საბჭოთა [illegible] ლისუფლების დამარცხებას. [illegible] გგონიათ, რომ გაიმარჯვა ამ ცენტ[illegible] მე ვფიქრობ, რომ რუსეთის [illegible] აქ არ ყოფილიყო, ის ალბად გა[illegible] რჯვებდა, — როგორი წესწყობილე[illegible] იქნებოდა მაშინ. თავადი აზნაურ[illegible] მემამულე მუშა და გლეხი ისე [illegible] ბოდა, როგორც [illegible] სასახლეს [illegible] ლი [illegible] იქნებოდა ის მუშათა [illegible] რასაკვირ[illegible] ლია არა. იქნებოდა საშინელი [illegible] და ამიტომ მე ვამბობ, რომ [illegible] სეთის ჯარის გაყვანა მანამ, [illegible] ჩვენ არ შევქმნით ჩვენს საკუთარ[illegible] მედო წითელ ჯარს, სანამ ჩვენ [illegible] შევქმნით ჯარის საიმედო საკომან[illegible] ნაწილს, მანამ რუსეთის ჯარის [illegible] ნა შეუძლებელია. რუსეთის ჯა[illegible] გაყვანა შესაძლებელი იქნება მხო[illegible] მაშინ, როდესაც შეერთებული [illegible] ბით შევქმნით შესაფერ წითელ [illegible] და შესაფერ საკომანდო ნაწილს [illegible] ნი მოწოდება უნდა იქნეს [illegible] უნდა შეიქნას ისეთი პირობები, [illegible] ჩვენ განვამტკიცოთ ჩვენი [illegible] ხებული მაგარი ფრონტი პრო[illegible] რიატის დიქტატურისა, შევქმნათ [illegible] თელი ჯარი და მაშინ ვეტყვით [illegible] ჯარს: თქვენ დიდი მისია შე[illegible] ლეთ და შეგიძლიათ დაუბრუნ[illegible] თქვენს ტერიტორიას (ტაში).

საქართ. პარტიულ-საბჭოთა პრესის
ცენტრალურ კანტორისაგან
(ყოფ. გაზტრესტი), რუსთაველის პროსპექტი № 26, ტელ. № 5—43.

ცენტრალური კანტორა ამით აცნობებს ყველა სახელმწიფო დაწესებულებებს და კერძო პირებს, რომ 1 სექტემბრიდან გაზეთ „კომუნისტ"-ში განცხადებები მიიღება შემდეგი ფასით:

ნონპარელის სტრიქონი პირველ გვერდზე 30 კ. ჩერვონცებით.
" " მეოთხე გვერდზე 15 კ. "
თეატრალური განცხადება არა უმეტეს 60 სტ. 30 პროც. დაკლებით.
სამგლოვიარო არა უმეტეს 30 სტრ. 4 მანეთი.
საქმიო განცხადება თვეში 4 მანეთი.

ყველა განცხადებები არა ნაკლებ 10 ჯერ დაბეჭდილი—10 პროც. დაკლებით.

იქვე მიიღება განცხადებები იმავე წესით თვიურ ჟურნალ „რევოლიუციის მატიანე"-ში, „კომუნიზმის დროშა"-ში და ორკვირეულ იუმორისტულ ჟურნალ „ნიანგ"-ში. (6—3)

საქართ. პარტიულ-საბჭოთა პრესის
ცენტრალურ კანტორისაგან ყოფილი გაზტრესტი,
რუსთაველის პრ. № 26. ტელ. 5—43.

ენკენისთვეში გაზეთ „კომუნისტ"-ზე დაწესებულია შემდეგი ფასები:

თვიური ხელისმოწერა ქალაქში შინ მიტანით . . . 4 000.000
" " ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის 4.500.000
კოლექტ. ხელის მოწერა მხოლოდ მუშებისათვის . . . 3.000.000
ერთი ეკზემპლიარი . . . . . . . . . . . . 200.000

ჟურნალ „ნიანგი"-ს ფასები:

თვიური ხელის მოწერა . . . . . . . . . . . . 1.000.000
ერთი ეკზემპლიარი . . . . . . . . . . . . 400.000

ცენტრალური კანტორა სთხოვს ყველა ხელისმომწერლებს 1 ენკენისთვიდან შემოიტანონ ხვედრი ფული, წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთი არავის არ გაეგზავნება.

0—6

# ახალგაზრდა მარქსისტების მოწოდება

## თბილისის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციისადმი.

ტფილისის ახალგაზრდა მარქსისტების რევოლიუციონური წარსული და მათი საქმიანობის ისტორიული ღირებულება საქართველოს მასშტაბით უდაო ფაქტია.

თანამედროვე სინამდვილის იბიექტიური შეგნება და წარსულის გადაფასება რადიკალურად ისმება ჩვენს წინაშე და მას, უდაოა, ტფილისის ორგანიზაციებიც შეგნებულად შეხვდებიან. **საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის პლატფორმის შეუსაბამობა უკვე ნათელჰყო თანამედროვე სინამდვილემ,** რასაც ყოველგვარი ყოყმანის გარეშე მხარი უნდა დაუჭიროს იმ ახალგაზრდათა რიგებმა, რომლებიც ყოველთვის ამ პარტიის პლატფორმას ვიზიარებდით. ჩვენი უფროსი ამხანაგების მოწოდებას, უპირველესად [illegible] გამოეხმაურა გურიის ახალგაზრდობა, რომელმაც, საქართველოს ახალგაზრდობასთან ყველაზე უფრო ადრე შეიგნო თანამედროვე ისტორიული სინამდვილე და დაადგა გზას რევოლიუციონური მარქსიზმისას. საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციების ისტორიული მოწამსი და დანიშნულება იმაში მდგომარეობდა, რომ შეგვესწავლა რევოლიუციონური მარქსისტული იდეოლოგია და ამდენადვე ჩვენს ორგანიზაციებს ქონდა იდეიური და თეორიული ხასიათი, ხოლო ჩვენი ორგანიზაციების პრაქტიკული დანიშნულება სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში ისახებოდა ენერგიულ მონაწილეობაში, რომლის დროსაც ვიზიარებდით გზას „დემოკრატიზმით სოციალიზმისკენ". ამ პლატფორმის ისტორიულმა შეუსაბამობამ თავისებური გავლენა მოახდინა თვით რევოლიუციონური მარქსიზმის სწორ გაგებაზე და მით აშკარა ოპორტიუნიზმით ვეზიარეთ. დემოკრატიული რესპუბლიკის, როგორც მმართველობის პოლიტიკური ფორმის შეუსაბამობა და პარლამენტარიზმის სრული თეორიულ-პრაქტიკული გზის სილატაკე საქართველოს 3 მი წლის სინამდვილემ და რუსეთში, რადიკალურად წამოყენებულმა პროლეტარიატის დიქტატურის პრინციპმა საკმაოდ ნათელჰყო, რაც ჩვენის მხრივ—შეგნებასა და ანგარიშის გაწევას მოითხოვს. წარსული შეცდომების შეფასება და მათი აღიარება პროლეტარული ახალგაზრდობის მოწინავე რიგებს სასირცხოდ არ უნდა მიაჩნდეს მაშინ, როდესაც ბურჟუაზიული ევროპის მსხვილი კაპიტალი უდიდეს შემოტევას აწარმოებს სოციალისტური სახელმწიფოების წინააღმდეგ და როდესაც მოახლოებულია ხანა სოციალისტური რევოლიუციის. რევოლიუციის მსვლელობაში რომ ჩვენ საქართველოს ახალგაზრდობის ერთი ნაწილი ჩამოვრჩით ნამდვილ რევოლიუციის საფუძველზე მდგომ ახალგაზრდობას—ეს უდაო. ამ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში, ვერ ვასრულებდით იმ ისტორიულ მისიას, რომლისთვისაც ჩვენ ვიყავით მოწოდებული და რომელიც მართლადაც ხელთ აიღო ახალგაზრდობის კომუნისტურმა ინტერნაციონალმა. ევროპის ახალგაზრდათა მეორე ინტერნაციონალი, რომლის პლატფორმაზე იდგა დღევანდლამდე საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციები, ასცდა, რა მარქსისტულად გაგებულ კლასთა ბრძოლის ხეორიის აუცილებლობას, და მიიღო რა კლასთა შეთანხმების თეორია, დაჰკარგა თავისი რევოლიუციონური ღირებულება და მით აშკარა ოპორტიუნიზმში გადაიჩეხა. რევოლიუციური ახალგაზრდობის რევოლიუციონური კადრი, რომლებიც ამ რამოდენიმე ხნის განმავლობაში გაუგებრობაზე აგებულ შეცდომებს უშვებდა, დღეს **უკვე ვალდებულია ისტორიის წინაშე დაირაზმოს 3 კომუნისტური ინტერნაციონალის დროშის ქვეშ, და მით მოინანიოს თავისი ისტორიული დანაშაული ახალგაზრდობის წინაშე.** ახალგაზრდათა 3 კოკომუნისტური ინტერნაციონალი საქართველოში იდღესასწაულებს წელს მე-3 ჯერ საერთაშორისო ახალგაზრდობის დღეს, ორ სექტემბერს, რომელსაც დღეს უკვე შეგნებულად და სამართლიანად [illegible] უნდა შეუერთოდ ახალგაზრდა მარქსისტებმაც. დღეს თანამედროვე სინამდვილის შეგნება გვავალებს ჩვენ ახალგაზრდობას—მხარი დაუჭიროდ ამ უფროს ამხანაგებს, რომლებმაც შეგნებულად გადასდგეს დიდი ისტორიული ნაბიჯი, და მით თავიდან ავიცდინოთ ის გაუგებრობა, რომელსაც ეწირებოდა მთელი ჩვენი ახალგაზრდული ენერგია.

დროა თავი დავაღწიოთ ძველ აზროვნებას და დავადგეთ ნამდვილ რევოლიუციონურ მარქსიზმის თვალსაზრისზე ახალგაზრდა კომკავშირებთან ერთად.

შორს ბურუსი და გაურკვევლობა, რევოლიუციონურად განწყობილ ახალგაზრდობის შეგნებიდან.

წინ თავდადებული რევოლიუციონური ბრძოლისაკენ.

**გაუმარჯოს პროლეტარული ახალგაზრდობის გაერთიანებულ ფრონტს!**

**გაუმარჯოს ახალგაზრდათა კომუნისტურ ინტერნაციონალს.**

**გაუმარჯოს კომუნიზმს.**

**ტფილისის ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტთა კონფერენციის მოწვევი საინიციატივო ბიუროს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ალექსანდრე მეგელიშვილი**

**პრეზიდიუმის მდივანი აპოლონ ლომთათიძე.**

**პრეზიდიუმის წევრები: 1) მოსე გოგიბერიძე 2) შალვა ხიხარულიძე.**

საინიციატივო ბიურო მოთავსებულია პლეხანოვის პროსპექტზე № 103. სასტუმრო „ნოე"-ში ოთახი № 92.

# ექსპედიცია ყაზბეგზე

### „სპარტაკის" ექსპედიცია.

### ყაზბეგზე ასვლა.

ყაზბეგი. 30 აგვისტო. 28 აგვისტოს საშინელ ქარბუქში და 20 გრ. ყინვაში ტფილისის „სპარტაკის" 16 ინსტრუქტორი გზისმაჩვენებელ კაზალიკაშვილითურთ, ყინულზე 1200 საფეხურის გაჭრის შემდეგ, ავიდა ყაზბეგის მწვერვალზე, ყაზბეგზე ასულთა შორის არის 5 ქალიშვილი. ყველანი სრულიად დაუშავებელნი გადარჩენ. ამგვარი მოგზაურობა არ ახსოვს კავკასიის ალპინიზმს. ექსკურსიის ხელმძღვანელი ინჟინერი ნიკოლაძე.

### სამეცნიერო ექსპედიცია.

როგორც ვიცით ამას წინად ყაზბეგზე გაემგზავრა სამეცნიერო ექსპედიცია, რომელიც შეადგინა საქართველოს ფიზიკურმა ობსერვატორიამ. ექსპედიციას მიზნად აქვს საქართველოს ანდამატობის საერთოდ და კერძოთ კი კავკასიონის ქედის გეოფიზიკური თვისებათა გამოკვლევა, ამიტომ ექსპედიციას აქვს უდიდესი მეცნიერული ინტერესი.

ექსპედიციის სამეცნიერო მუშაობა განიყოფება 2 ნაწილად: ანდამატობის გამოკვლევა და გაზომვა და გეოფიზიკური გამოკვლევა. ანდამატობის გამოკვლევა საფუძვლად დაედება საქართველოს (და კერძოთ ამიერკავკასიის) ანდამატობის გაზომვას.

ფრეიბერგის ანდამატის თეოდოლიტის და ისრისებრივი ინკლინატორის შეწევნით განსაზღვრული იქნება დედამიწის ანდამატობის ინკლინაცია, დახრა ჰორიზონტალური და ვერტიკალური ხაზები.

ანდამატობას გამოკვლევა დაიწყება კარსანის საანდამატო სადგურზე (პირველი პუნქტი) და საქართველოს სამხედრო გზაზე სად. ყაზბეგამდე ყოველ 20 ვერსზე, შემდეგ სადგ. ყაზბეგიდან ყაზბეგის მთის მწვერვალამდე; შემდეგ გაზომვა მოხდება იმავე გზით უკან დაბრუნებისას კარსანის საანდამატო სადგურამდე, სადაც იგი დასრულდება. ანდამატობის გამოკვლევასთან ერთად იწარმოებს ასტრონომიული გამოკვლევაც.

გეოფიზიკურ გაზომვათა მეორე მხარე გამოიხატება ტემპერატურის, ატმოსფერულ ზედდაწოლის, ჰაერის ნამიანობის, ქარების ძალის და მიმართულების, ღრუბლების რაოდენობის და მიმართულების, მზის სხივების აქტივობის და სხვა მეტეოროლოგიურ მოვლენათა გამოკვლევაში.

ამ მიზნით 1 კლასის, II ხარისხის მეტეოროლოგიური სადგური სოფ. კობში გაძლიერებული იქნება ერთი დამკვირვებლით. მთელი ექსპედიცია კი გაემგზავრება სად. ყაზბეგზე სადაც დღე-ღამის განმავლობაში მოახდენს სრულ გეოფიზიკურ დაკვირვებებს. ამის შემდეგ იქ დარჩება ორი დამკვირვებელი შემდეგი ხელსაწყოებით: რიშარის ბაგოგრაფით და ტერმოგრაფით, მიულერის ბარომეტრით, ასმანის ასპირაციონულ ფსიქრომეტრით, ფუსის ანემომეტრით, ვირენის ქრონომეტრით, წვიმის გასაზომი ხელსაწყოთი და სხვა. მეორე პუნქტი—ერმოლოვის ქარავი და მესამე პუნქტი ყაზბეგის ძირი. იქაც ექსპედიცია გაჩერდება ერთი დღე-ღამე და მოახდენს დაკვირვებებს და ბოლოს ავა ყაზბეგის მწვერვალზე.

მწვერვალის ძირამდე მივა 5 დამკვირვებელი ობსერვატორიის დირექტორითურთ.

მწვერვალზე ასვლა მოხდება ორჯერ მორიგეობით და იქ 2—3 დღე-ღამის განმავლობაში მოხდება სრული დაკვირვება: ბარომეტრიული ზედდაწოლა პაროტის ვერცხლის წყლის ბარომეტრით, ნამიანობა ფსიქრომეტრით, ქარის ძალა და მიმართულება ფუსის სამგზავრო ანემომეტრით. ჰაერის ტემპერატურა და ზედაპირი 2 თერმომეტრით, მაქსიმალური და მინიმალური ტემპერატურით წყლის დუღილის წერტილი გიპსომეტრით, მზის შუქის აქტივობა მიქელსონის აქტინომეტრით. გარდა ამისა, ღამით დატოვებული იქნება 2 ჩამწერი ხელსაწყო კუზნეცოვის თერმოგიგსოგრაფი და რიშარის ბაგოგრაფი.

ყველა ზემოაღნიშნულ პუნქტებში დაკვირვება მოხდება ხშირად, ე. ი. დღისით ყოველ საათში და ღამითაც შეძლებისდაგვარად აგრეთვე ყოველ საათში.

უკან დაბრუნება მოხდება ისევე, როგორც მწვერვალზე ასვლა, ე. ი. შეჩერება პუნქტებში და დაკვირვების მოხდენა.

ექსპედიციას თან გაჰყვება 2 ტოპოგრაფი ყაზბეგის და დევდორაკის ყინულის ტოპოგრაფიული გაზომვის შესასწორებლად, რადგან უკანასკნელი გაზომვა მოხდა დიდის ხნის წინად და საჭიროებს ზოგიერთ ცვლილებებს.

განათლების სახ. კომისარიატის თანაგრძნობის და ფართო დახმარების გამო ექსპედიცია ძალიან ჩქარა მოეწყო. მასში მონაწილეობის მიღების სურვილი განაცხადა საქ. სახ. განათლების კომისარმაც, მაგრამ ავადმყოფობამ ხელი შეუშალა მას.

**ექსპედიციის ჩასვლა ყაზბეგში.**

26 აგვისტოს ტფილისიდან გასული სამეცნიერო ექსპედიცია ჩავიდა სად. ყაზბეგში 27 აგვისტოს. ყაზბეგის მწვერვალზე ასვლა დაიწყო 29 აგვისტოს სადგურზე მეტეოროლოგიურ ხელსაწყოების დადგმის და დაკვირვების მოწყობის შემდეგ.

**მეტეოროლოგიური დეპეშები.**

სადგ. ყაზბეგიდან ყოველდღე იგზავნება საქართველოს ფიზიკურ ობსერვატორიის მეტეოროლოგიური დეპეშები ზედდაწოლის, ტემპერატურის, ქარის ღრუბლების, ტემპერატურის მინიმუმის და ნამიანობის შესახებ.

# კოოპერატიული ცხოვრება

## მეცხვარეთა ამხანაგობა „მწყემსის" შესახებ

მეცხვარეთა ამხანაგობა „მწყემსი" დაარსდა 1920 წელს. მაშინდელმა მენშევიკურმა მთავრობამ ახალ გამგეობას გადასცა ფრიად მოზრდილი თანხა (123.500.000 მან.), რაიც მაშინდელი მატყლის ფასის მიხედვით შეადგენდა 30 875 ფუთ მატყლის ღირებულებას.

პირველმა გამგეობამ დაიწყო მატყლის დასამზადებლად ზეების დარიგება. იმ თავითვე დაეტყო გამგეობას, რომ მან აიღო არა კოოპერატიული გეზი. იგი ცდილობდა ზოგიერთ ბოზოლა მეცხვარეების გულის მოგებას, მათ ჩალრჩობას ფულში, რათა მეცხვარეთა დიდი უმრავლესობა უმოწყალოთ ეყვლიფნათ, მართლაც წლის ბოლოს აღმოჩნდა, რომ ზოგიერთ მეცხვარეებს გაუტანიათ შემოტანილ მატყლის საფასურზე მეტი, ხოლო მრავალი აღმოჩნდა ისეთი, რომლებმაც მთელი თავისი მატყლი ჩააბარეს ამხანაგობას, ხოლო გამგეობამ ერთი გირვანქის ფასიც არ მისცა მათ. ამ ნიადაგზე საანგარიშო 1920 წლის ბოლოს მეცხვარეთა შორის შეიქმნა დიდი უკმაყოფილება. მოითხოვდნენ ანგარიშის გასწორებას, კრების მოწვევას, მაგრამ გამგეობა ყურსაც არ იბერტყდა. მეორე უკმაყოფილება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ მეცხვარეებს გაზაფხულზე გადაუწყვიტეს მატყლის ფასი, ხოლო ფული კი ჩააბარეს გაზაფხულის ფასის მიხედვით, წლის დამლევს; ამნაირად, მეცხვარეთა სიტყვით, თითო ფუთ მატყლში მათ მიიღეს წლის დამლევს ერთი გირვანქა ჭერამის ფასი.

გამგეობა სცდილობდა საქმიანი ურთიერთობა ჰქონოდა არა სახელმწიფოებრივ და კოოპერატიულ ორგანიზაციებთან, არამედ კერძო პირებთან, რათა ადვილი ყოფილიყო საკუთარი სპეკულიატიური მიზნების განხორციელება. მრავალი თანხები გასცეს კერძო პირებზე, რომლის დაბრუნება მეტად საძნელო და ზოგიერთ შემთხვევაში საეჭვოც არის. კერძო პირებზე გაცემული თანხები შეადგენენ 21.000 ჩერვ. მანეთს დაახლოვებით.

ამნაირად, ის ფული, რომელიც მეცხვარეს უნდა მიეღო, კერძო პირების ხელში ტრიალებდა, რომლებიც ამ თანხებს სასპეკულიაციო მიზნით იყენებდნენ.

გამგეობა იქამდე გათამამდა, რომ აშკარა ბოროტმოქმედებას არ ერიდებოდა, პირველ გამგეობის თავმჯდომარემ „მწყემსი"-ს ფულით იყიდა „მწყემსი"-სათვის ცხვარი, მოახდინა ამ ცხვრის ფაქტიური გაყიდვა და ამ საშუალებით იმდენი ფული აიღო, რომ შეიძინა სახლი, სადაც ამ ჟამად მოთავსებულია რესტორანი „Над Курой".

გამგეობის ერთი წევრის დახმარებით ამხანაგობიდან მოტყუებით გაიტანეს 800 ფუთი მატყლის ფასი. ეს ფული დღემდე გაუნაღდებელია.

წევრებთან ანგარიშების გასწორების დროს გამგეობა ზოგიერთ შემთხვევაში არ ერიდებოდა აშკარა ბოროტ-მოქმედებას. ასე, მაგალითად, ერთი წევრი ვალდებული იყო „მწყემსი"-სათვის ჩაებარებინა 320 ფუთი ხორბალი, ამის ნაცვლად მისგან მიიღეს ერთი გუდა ყველი (2 ფუთი) და ანგარიში გასწორებულად ჩასთვალეს.

ასეთი ფაქტები მრავალი იყო გამგეობის მოქმედებაში, როცა ანგარიშს უსწორებდნენ თავისიანებს.

3 წლის განმავლობაში არც ერთი წლიური ანგარიში არ ყოფილა შედგენილი; თუმცა ბუხჰალტერიაში მრავალი ხალხი მუშაობდა. რაც უფრო არეული და გამოუკვეველი იქნებოდა ანგარიშები, მით უფრო კარგი იყო გამგეობისათვის: მღვრიე წყალში ადვილად დაიჭერდნენ თევზებს.

ყველა ამ ფაქტების გამო მეცხვარეობა საშინლად აღელვებული იყო გამგეობის წინააღმდეგ, მოითხოვდნენ კრების მოწვევას, რომ სინათლეზე გამოეტანათ ეს შავი საქმეები, გამოჰქონდათ ამის შესახებ დადგენილებები, მაგრამ გამგეობა, იმ შიშით, რომ საზოგადო კრება დაგმობდა მათ მოქმედებას, ჩამოაშორებდა მათ ამხანაგობას და დასვამდა დამნაშავის სკამზე, განგებ არ იწვევდა კრებას.

ბოლოს იქამდე მივიდა საქმე, რომ ამხანაგობას მოელოდა დაშლა. ამის გამო გამგეობა აიძულა უკანასკნელ შემადგენლობის საბჭომ, რომელშიაც მოჰყვა რამდენიმე პირი კოოპერატიულ საქმიანობით დაინტერესებული, მოეწვია საზოგადო კრება. პირველი საზოგადო კრება დაინიშნა 1923 წ. იანვრის 23-ს თბილისში. კრებას ცოტა ხალხი დაესწრო, იგი გამოცხადდა თათბირად. თათბირმა დაადგინა შემდეგი კრება მოწვეულიყო ქვემო მაჩხაანში, სადაც მრავალი მეცხვარეობა შესძლებდა დასწრებას. კრების მოწვევა დაინიშნა 7 თებერვლისთვის ქვემო მაჩხაანში. გამგეობამ მოულოდნელად, საბჭოს დაუკითხავად და მეცხვარეთა თათბირის წინააღმდეგ, კრება გადასდო, რადგან არ უნდოდა მეცხვარეებთან პირისპირ შეხვედრა. იქამდე მივიდა საქმე, რომ სასურკომისარი იძულებული იყო გამგეობა დაეპატიმრებინა. დროებითმა გამგეობამ ხელახლა მოიწვია კრება 27 თებერვალს. ეს ყრილობა შესდგა. ეს ყრილობამ საპატიო თავმჯდომარედ აირჩია მიწად-მოქმედების კომისარი მოქ. სტურუა. ყრილობას დაესწრო სასურსათო კომისარი მოქ. ერქომაიშვილი, რომელმაც წარმოსთქვა ვრცელი და შინაარსიანი სიტყვა.

მოხსენება გააკეთა გამგეობამ, საბჭომ და სარევიზიო კომისიამ. გაიმართა ხანგრძლივი კამათი. ყველა ამის შემდეგ ყრილობამ გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც აღინიშნა გამგეობის მიერ ჩადენილი მრავალი უკანონობა და ბოროტმოქმედებანი, გამოუცხადა საბჭოს და გამგეობას სრული უნდობლობა და გადააყენა კიდეც. ამის შემდეგ მოხდა ახალი არჩევნები ახალი გამგეობის, რომელშიაც—მეცხვარეთა ინიციატივით—მოწვეულ იქმნა ერთი პასუხის მგებელი კომუნისტიც—მოქ. შ. მათიკაშვილი.

„მწყემს"-მა, ჩამოიშორა რა თავიდან არა სასურველი ელემენტები, დაიწყო მუშაობა ახალი გამგეობის და საბჭოს სახით. თამამად შეიძლება ითქვას, რომ „მწყემსი"-ს ცხოვრებაში იწყება ახალი ხანა. მიუხედავად იმისა, რომ „მწყემს"-ს ჰქონდა დიდი ვალები, მიუხედავად იმისა, რომ გაცემული სესხების დაბრუნება საეჭვო გახდა, მიუხედავად იმისა, რომ ყრილობის მიერ განდევნილმა მავნე ელემენტებმა გარედან ბრძოლა გააჩაღეს „მწყემს"-თან, მიუხედავად ამგვარ საეჭვო მემკვიდრეობისა, ახალი საბჭო და გამგეობა ენერგიულად შეუდგენ თავის მოვალეობის ასრულებას. ბუხჰალტერიის მოწესრიგებასთან ერთად, გამგეობა შეუდგა გაზაფხულის მატყლის დაგროვებას. ერთი პარტია მატყლისა გაიტანა მოსკოვში და ამავე დროს დაიბევა შემოდგომის მატყლიც. 1922 წ. მატყლის ანგარიშები ახალმა გამგეობამ უკვე გაასწორა. ახლა შეუდგა 1921 და 1920 წლის ანგარიშების გასწორებას ამ მეცხვარეებთან, რომლებმაც მატყლი შემოიტანეს 1920—1921 წლებში და რომლებსაც ძველი გამგეობა ანგარიშს არ აძლევდა სხვა და სხვა გაუგებარ მიზეზების გამო. ყველა ამას ახდენს „მწყემსი" თავის საკუთარი საშუალებებით და ენერგიულ მეცადინეობით.

ვინც გაეცნობა ამხანაგობის თანხათა მდგომარეობას დაინახავს, რომ ამხანაგობა „წყემსი" დღეს სდგება ახალ გზაზე, კოოპერატიულ გზაზე.

„მწყემსი"-დან გარიყული ძველი გამგეობა და მისი დამქაშები, რომელთა დიდი უმრავლესობა მიცემულია პასუხისგებაში, ყოველ დღე სთხზავენ ახალ-ახალ პროვოკაციას „მწყემსი"-ს გამგეობის და თვით „მწყემსი"-ს წინააღმდეგ, რათა მათ წინააღმდეგ დაწყებული საჩივარი იქნება როგორმე მიიჩქმალოს, ხოლო ის ხალხი, ვინც მათ შავი საქმეები სააშკარაოზე გამოიტანა, რაიმე ხიფათში ჩაგდოს. ამ მიზნით ისინი არ ერიდებიან არავითარ პროვოკაციას, ისინი სრულ მორალურ სიმდაბლემდე მივიდნენ—საქმის მოსაგებად პოლიტიკურ პროვოკაციას მიჰყვეს ხელი.

„მწყემსი"-ს ახალ შემადგენლობის გამგეობა და საბჭო ღრმად დარწმუნებულია, რომ ამხანაგობის საქმეთა ნაყოფიერად წასამართავად აუცილებლად საჭიროა ახლო კავშირი იქონიოს საბჭოთა ხელისუფლებასთან, რომლისაც კოოპერაციის აყვავება თავისი მოქმედების ერთ მთავარ მიზნად მიაჩნია. ამ მიზნით, როცა გამგეობის ერთი წევრი კომუნისტი (შ. მათიკაშვილი) დროებით ჩამოშორდა ამხანაგობის ყოველდღიურ მუშაობას, გადაიდგა ნაბიჯი გამგეობის შესავსებად პასუხისმგებელ კომუნისტით.

„მწყემსი"-ს საბჭო და გამგეობა ითვალისწინებს რა ამხანაგობის დიდ მნიშვნელობას საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებაში და დარწმუნებული იმაში, რომ საბჭოთა ხელისუფლება სათანადოდ აფასებს „მწყემსი"-ს მნიშვნელობას, იმედს გამოსთქვამს, რომ იგი დახმარებას არ მოაკლებს მას, ხოლო პასუხისმგებელ პირის წარმოგზავნით პირდაპირ კავშირს დაიჭერს „მწყემსი"-ს საქმიანობასთან.

საბჭოს თავმჯდომარე დ. ქადაგიძე.
საბჭოს წევრები: გ. ათანელიშვილი, ლ. მურთაზაშვილი, გ. ალუდიშვილი.

---

### ვალიუტის კურსი ტფილისში.

(31 აგვისტო).

| | |
|---|---|
| ჩერვონცები — — — | 44,250 |
| გირ. სტერლინგ. ეფექტ. | 44,000 |
| " ჩეკები — | 42,500 |
| დოლარები ეფექტ. — | 9300 |
| " ჩეკები — | 8650 |
| ოსმ. ქაღ. ლირა | 6.150 |
| საბჭ. ფულის ნიშნები | 19,5 |

### მუშკოპის ფასები.

(31 აგვისტო)

პური გირ.—120 ათ. ნატეხი შაქარი—2.400 ათ. ფხვნილი შაქარი—1.850 ათ. ძროხის ხორცი—750. ბრინჯი—450 მაკარონი—600, კარტოფილი—75.

### ტფილისის ბაზრის ფასები.

(31 აგვისტო).

პური 1 ხარ.—350, პური 2 ხარ.—250—275. ნატეხი შაქარი—2,600. ფხვნილი შაქარი—2.000. ძროხის ხორცი—750—800.

### ბირჟის საქონლის განყოფილების მიწოდება.

(31 აგვისტო)

ფხვნილი შაქარი. გაზის და წყალსადენის მილები. ინგლისური თეთრი თუნუქი. ხორბალი და პურის პროდუქტები. ასანთი რუსეთის. ქაღალდი და კარტონები. ნახიჩევანის ქვამარილი. რკინეულობა.

### ბირჟის საქონლის განყოფილების მოთხოვნილება.

(31 აგვისტო)

ფიჭვის ფიცრები და სვეტები. ნარმა. უმაღლესი ხარისხის ფქვილი. ცემენტი პორტლანდის. ქვა-მარილი. ცეილონის ჩაი. ყუბანის ხორბალი. კარტონები. საკვები ფქვილი. მზესუმზირას ზეთი. ნედლი ტყავები.

### ტფილისის საქონლის ბაზრის განწყობილება

(31 აგვისტო).

ხორბლისა და პურის პროდუქტების ბაზარზე მცირე მოთხოვნილებაა. დანარჩენ ბაზრებზე უცვლელია.

### ვალიუტის ბაზრის განწყობილება.

(31 აგვისტო)

ვალიუტის ბაზრის განწყობილება ხასიათდება შედარებით დიდი მოთხოვნილებით და მცირე მიწოდებით მოთხოვნილება უმთავრესად ჩერვონცებზეა.

### ბირჟის გარეშე გარიგებანი.

(აგვისტოს განმავლობაში)

პირველიდან 28 აგვისტომდი დადებულია 182 ხელშეკრულება, სულ 593,801 მან. 57 კ. (ჩერვ.) თანხისა. 29 აგვისტოს—58 ხელშეკრულება—85,489 მან. 30 კაპ. თანხისა. სულ 240 გარიგება—679.290 მან. 97 კ. (ჩერვ.) თანხისა.

ყოველდღიურ გარიგებების რიცხვი უდრის 10.

ყოველ გარიგების საშუალო თანხა—2842 მან. 21 კ.

# ბუნებისმეტყველება პედაგოგიურ ტექნიკუმებში

ახალი შკოლა აგებული სალ პედაგოგიურ პრინციპებზე ოქტომბრის რევოლიუციის ერთ უდიდეს მონაპოვარს წარმოადგენს. ახალგაზრდობა აღზრდილი იმ ჯანმრთელ პრინციპებზე, რომელნიც დაედვა საფუძვლათ ახალ შკოლას, უნდა გახდეს ნამდვილ ბურჯათ იმ განახლებულ ცხოვრებისა, რომელიც იწყება და რომელიც დამკვიდრდა ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ. სახალხო განათლების კომისარიატი შკოლების საკმაო გამორკვეულ ტიპებს იძლევა. შესაძლებელია ცვლილებანი, მაგრამ აწინდელი ცვლილებანი იქნება კორექტივები და შესწორებანი შკოლის ცხოვრებაში, რომლებიც ძირითად ცვლილებას არ წარმოადგენენ. საქართველოს სახალხო განათლების კომისარიატი ხანგრძლივ და ბეჯით მუშაობას აწარმოებს ახალი შკოლების შესახებ, რაც ცხადია იმ მასალებიდან, რომელნიც გამოქვეყნებულ იქმნა, თუმცა არა ვრცლად პრესაში.

ამ მუშაობის შედეგია ოთხწლედები, ანუ ოთხი წლიანი შრომის შკოლები სოფლად, შვიდწლედები, ე. ი. შვიდწლიანი შრომის შკოლები და ცხრაწლედები. ფრიად საგულისხმიეროა, რომ ცხრაწლედის ანუ ცხრა წლიანი შრომის შკოლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდას ეძლევა საშუალება მთლიანი დამთავრებული ცოდნის მიღებისა და ამასთანავე უმაღლეს სასწავლებელში შესვლისა. ამნაირათ ეს შრომის შკოლა საშუალო სასწავლებლის ტიპისაა. ამასთანავე ისე მოწყობილია, რომ ცხრა წელში ემზადება უნივერსიტეტისათვის, რაც უნდა ჩაითვალოს სრულიად საკმარისად და მეტის-მეტად დროულად. საერთოდ უნდა ვსთქვათ, რომ შრომის შკოლები ჩვენი ცხოვრების პირობებისათვის საკმაოდ შეფარდებული არიან.

ამ შკოლების გარდა, როგორც ემჩნევა გვექნება სპეციალური ტეხნიკუმები, როგორიცაა—პედაგოგიური ინდუსტრიალური და სხვა. სამწუხაროთ პრესაში ამ შკოლების შესახებ არაფერი არ გამოცხადებულა გარდა იმისა, რომ ამ შკოლებში მიიღება მოწაფეები შვიდწლედების დამთავრების შემდეგ, როგორ გავიგოთ ეს? იყო თუ არა სჯა-ბაასი სპეციალური ტეხნიკუმების შესახებ? საჭიროა თუ არა მათ ცხოვრებაში ცვლილებების შეტანა, თუ ისინი უცვლელად დარჩებიან?

ამის შესახებ როგორც ვსთქვი არაფერი ცნობები არ არის და ცნობები კი საჭიროა. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ შკოლების შესახებაც იქნებოდა მუშაობა, რადგანაც ამათაც სჭირიათ ცვლილებანი, დიდი თუ პატარა, მაგრამ მაინც ცვლილებანი. რადგანაც ამის შესახებ არაფერი არ იყო გამოქვეყნებული ვფიქრობ, რომ ზედმეტი არ იქნება, რომ რამოდენიმე აზრი გამოვსთქვა ტეხნიკუმების შესახებ, სახელდობრ პედაგოგიურ ტეხნიკუმების შესახებ, რომელნიც მე მეტად მაინტერესებენ. საქმე ის არის, რომ, თუ პედაგოგიური ტეხნიკუმი იმ სახით დარჩა როგორიც მას ჰქონდა წარსულ სასწავლო წელში, მაშინ ისინი სავსებით ვერ მიაღწევენ და დააკმაყოფილებენ იმ მიზანს, რომლისთვისაც ისინი მოწყობილნი არიან. მართლაც ყოველ სასწავლებელს უნდა ჰქონდეს მიზანი და გარკვეული პროგრამა, რომლის განსახორციელებლათ შესაფერისი გეგმაც უნდა იყვეს. როგორც ვიცით პედაგოგიური ტეხნიკუმები უმთავრესათ [illegible] გვაქვს, რომ მოვამზადოთ შრომის შკოლის მასწავლებლები. საუცხოვო მიზანია. შრომის შკოლის მასწავლებლობა დიდი საქმეა. აქ, შრომის შკოლებში, იზრდება ჩვენი მომავალი თაობა, რომელმაც უნდა განახორციელოს ის, რაზედაც ჩვენ ვფიქრობთ და ვოცნებობთ, მან უნდა [illegible] შრომის და ბედნიერების ქვეყანა. და აი ამ თაობას სჭირია გონებრივათ განვითარებულნი, ზნეობრივათ სპეტაკი, ფიზიკურათ ჯანმრთელი და საქმის დიდათ მოყვარულნი ადამიანები, საქმისთვის თავდადებულნი, რომ ახალ თაობაში გამოიწვიონ ას ცოცხალი ინტერესი, სიყვარული და აღფრთოვანება, რომელიც საჭიროა ბავშვების ასამუშავებლათ, სიხარულ-სიამოვნებით და შეუმჩნევლად მათთვის სწავლა-განათლების გარდაცემა. მასწავლებელი უნდა იყვეს სული და გული, ჯანმრთელობის და სიცოცხლის შემტანი შკოლის ცხოვრებაში.

როგორც ვსთქვი ამისათვის არის საჭირო, მასწავლებლის სათანადო მომზადება. სამწუხაროთ წარსული წლის პროგრამები პედ. ტეხნ. ასეთი მომზადების საშუალებას იძლეოდენ. აი რისთვის. როგორც ზევით ვსთქვით შრომის შკოლებმა ძირითადი ცვლილებანი განიცადეს. პროგრამები მათი ძირიან-ბუდიანათ შეიცვალენ. ისეთი საგნები გამოფდა შკოლაში, რომლებსაც წინათ ან სდევნიდნენ ან და, თუ სტოვებდენ, მაშინ უკანასკნელ ადგილს აძლევდენ. ასეთი საგანი ბუნების მეტყველება. ეს საგანი საერთო სასწავლო გეგმაში შემოღებული იყო 1875 წ. შემდეგ განდევნეს შკოლებიდან და მხოლოდ 1902 წ. (უმთავრესათ საშუალო სასწავლებლებში დაუთმეს ადგილი, მაგრამ მისცეს საერთო გეგმაში ერთი პატარა კუნჭული, რომ შკოლის ცხოვრებაზე გავლენა არ ექნა. და ეხლა კი ამ საგანმა დიდი ადგილი მოიპოვა, პირველთაგანი ადგილი აქვს შრომის შკოლებში და შრომის პრინციპის განხორციელებაში უმნიშვნელესია. თუ ეს ასეა, მაშინ პედაგოგიური ტეხნიკუმი უნდა ამზადებდეს ამ საგნის მასწავლებელსაც, მაგრამ გადახედეთ პროგრამებს და თქვენ ნახავთ, რომ მთლად ასეთ არ არის. პედ. ტეხნ. პროგრამებში მას აქვს დათმობილი ქიმიის ორი გაკვეთილი, თუ ფიზიკას არ ვიქონიებთ მხედველობაში. ეს, რასაკვირველია, უხერხულ მდგომარეობას ჰქმნის. და აი ახლა შრომის შკოლის მასწავლებელი უნდა შევიდეს ბავშვებთან ბუნების მეტყველების (და სხვა გაკვეთილებზეც) ისეთი ცოდნით, როგორც მიუღია მას წინათ დაბალი საფეხურის სასწავლებელში. რა უნდა ასწავლოს მან?

აუარებელ ფრიად საყურადღებო კითხვებს უსვამენ მას ბავშვები... ბავშვები გაფაციცებით უცდიან პასუხს. მასწავლებელი წითლდება-ყვითლდება და ან სრულიად არ იძლევა კითხვაზე პასუხს, რაც უკეთესია ასეთ შემთხვევაში. (მხოლოდ ბავშვები იმ შეგნებამდე უნდა იყვნენ მიყვანილი, რომ ყველა კითხვაზე პასუხს ვერ მიიღებენ), ან და მასწავლებელი იძლევა ისეთი პასუხს, რომელიც მისით, სიჩქარით მოჩმახული და სინამდვილისგან ძალიან შორს არის, ეს უარესი შემთხვევაა.

მართლაც დღეს გართულებულ ცხოვრების პირობებში ადამიანს გართულებული ამოცანები წარმოუდგა, ვერ ასცილდება ამას ბავშვიც.

აიღეთ მაგალითად, ასეთი გრანდიოზული და აუცილებელი მოვლენა როგორიცაა შემოდგომის ფოთლების დაცვენა და მისი მიზანშეწონილება. მცენარეების და ცხოველების ურთიერთი განწყობილება, მისი მიზანშეწონილება და წარმოშობის მიზეზები. და ცოტაა ასეთი კითხვები?

ყველას პასუხი უნდა. როგორი იქნება ეს პასუხები?

დანამდვილებით შეიძლება ვსთქვათ რომ ასიდან ოთხმოცდა თუთხმეტი არა დამაკმაყოფილებელ პასუხს მოგცემენ. ახლა დარვინიზმი, ამის შესახებ ხომ თითქმის არაფერი არ იციან, გარდა სახელწოდებისა ზოგიერთ შემთხვევაში. ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგია, განა ეს კი იციან? და ასე სხვა.

აი, ამიტომ ვფიქრობ, რომ ამას უნდა მიექცეს ყურადღება და პედაგოგიურ ტეხნ. პროგრამაში სათანადო ადგილი დაეთმოს ბუნების მეტყველებას.

აუცილებლივ უნდა იქნეს გამოყოფილი ცალკე, დარვინიზმი, ზოოლოგია, ბოტანიკა, ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგია და მათი მეთოდიკა, ასევე შეიძლება ვსთქვათ გეოგრაფიაზეც. დღეს ჩვენ არ შეგვიძლია გვერდით აუაროთ ეკონომიურ-კულტურულ გეოგრაფიას, აგრეთვე გეოგრაფიის მეთოდიკას.

მაგრამ, მეტყვიან, საიდან ავიღოთ, დრო ყოველივე ამისათვის? ერთი, რაც საჭიროა მისთვის დრო უნდა მოინახოს, თუნდა ამით კვირეული სამეცადინო საათები თვალსაჩინოთ გაიზარდოს, მაგრამ, მეორე—არის ისეთი საგნები შარშანდელ პროგრამაში, რომელთა საათები უვნებლათ შეიძლება შეკვეცილნი იყვნენ. არიან ისეთი დისციპლინები, რომელთაც შესწავლა თავიდან ბოლომდინ არ არის საჭირო.

ისტორია მაგალითად, ინგლისის სკოლებში ძალიან შეკვეცილათ, საქმისათვის უზიანოთ ისწავლება და სხვები.

ყოველივე ეს მოსაზრებები მქონდა მხედველობაში, როდესაც ამ წერილის დაწერას მოვკიდე ხელი და ვფიქრობ ყოველივე ეს ფრიად საჭირო და მნიშვნელოვანია.

ვლ. ჩხენკელი.

# პროფკავშირებში

### საბჭოთა მოსამსახურეების კავშირში.

### პროლეტარული კულტურის ტეხნიკუმი.

კავშირის კულტ-განყოფილებამ აცნობა ადგილკომებს, რომ 20 აგვისტოს გაიხსნა საგანგებო პროლეტარული კულტურის სასწავლებელი, რომელსაც მიზნად აქვს დასახული შეასწავლოს მსმენელებს პროლეტარული მხატვრული შემოქმედება: არტისტობა, რეჟისორობა, ლიტერატორობა, ჟურნალისტობა. კულტგანყოფილებამ წინადადება მისცა ადგილკომებს, რაც შეიძლება მეტი თანამშრომლები ჩარიცხონ ამ ტეხნიკუმში. მეცადინეობა ტეხნიკუმში იწარმოებს საღამოობით უფასოთ ქართულ, რუსულ, სომხურ და თათრულ ენებზე.

### კავშირის წესდება.

კავშირმა მიიღო ამ დღეებში ცენტრალურ კომიტეტისაგან 10,000 საკავშირო წესდება, რომელიც გავრცელდება კავშირის წევრთა შორის. წესდება უკვე ითარგმნება ქართულ ენაზე და დაურიგდება, როგორც ადგილკომებს და მაზრის განყოფილებებს, ისე კერძოთ, კავშირის წევრებსაც.

### მილიციის მოსამსახურეთა ჩარიცხვა კავშირში.

კავშირის სამდივნომ თავის უკანასკნელ სხდომაზე დაავალა საორგანიზაციო განყოფილებას, შეიმუშაოს სათანადო გეგმა მილიციის მოსამსახურეთა კავშირში ჩარიცხვის შესახებ და წარუდგინოს იგი შემდეგ მორიგ სხდომას.

### დაწესებულებათა დათვალიერება.

დაწესებულებებში გახშირებულ ზედმეტ მუშაობასთან საბრძოლველად შრომის დაცვის კომისიამ ივლისში დაათვალიერა სამი დაწესებულება, შინ. საქ. სახ. კომიტეტის დამსჯელ-გამასწორებელი განყოფილება, ა. | კავკასიის სატრანსპორტო-მომხმარებელი საზოგადოება და ა | კავ. სახალხო საფინანსო კომისარიატი.

### უმუშევართა რაოდენობა.

პირველ აგვისტოსათვის შრომის ბირჟას საბჭოთა მუშაკების სექციაში ირიცხებოდა სულ 6 304 უმუშევარი. მათ შორის 3.742 მამაკაცი და 2562 ქალი, ამათში კავშირის წევრად ითვლება 1084 მამაკაცი და 665 ქალი.

### ცენტრალური სამხედრო ადგილკომის დაარსება.

ვინაიდან სამხედრო დაწესებულებათა ის თანამშრომელნი, რომლებიც კავშირის წევრებად ითვლებიან, მეტად დაქსაქსულნი არიან ქალაქის სხვადასხვა კუთხეებში, რაც საშუალებას არ აძლევს კავშირს დაიცვას მათი ინტერესები, კავშირის სამდივნომ უკანასკნელ სხდომაზე დაავალა საორგანიზაციო განყოფილებას, დაარსოს ცენტრალური მთლიანი სამხედრო ადგილკომი და ამისთვის მოიწვიოს სათანადო საჭირო თანამშრომელი.

### დამხმარე კასის მუშაობა.

ივლისის განმავლობაში საურთიერთო დახმარების კასამ გაცემულ სესხის სახით დამხმარე კასიდან მისცა 2.483 947.000 მანეთი, ხოლო კავშირის თანხებიდან 413.536 000.

# ქრონიკა

— **ჯონ რიდის წიგნის თარგმანების კონკურსი.** საქციონერო გამოც. საზ-ბის „წითელი წიგნის" მიერ ამას წინად გამოცხადებულ იქნა შეჯიბრება ჯონ რიდის წიგნის „10 дней, которые потрясли мир"-ის ქართული თარგმანებისა. პრემიად დანიშნული იყო 50 ჩერვონეცი (ჰონორარი). საგანგებოდ მოწვეულმა ჟიურიმ (გრ. რობაქიძე, პ. საყვარელიძე, ვუკ. ბერიძე) პრემია მიუსაჯეს თარგმანს, რომელიც წარმოდგენილი იყო დევიზით „სამართლიანად მოჭრილი ხელი არ მეტკინება". თარგმანების ავტორი (კოლექტიურ) აღმოჩნდენ ილია ზურაბიშვილი და ანდ. საყვარელიძე, რომელთაც მიენდო მთელი წიგნის თარგმნა. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო 9 კაცმა.

— **კრება** ორშაბათს, 3 სექ. თვითმშრომელთა კლუბში საღამოს 6 საათზე დანიშნულია „ნემსის" დარგის (მკერავთა) საზოგადო კრება გაწმენდისათვის. დასწრება სავალდებულოა.

— **სეზონის მუშების დათხოვნის შესახებ.** ა.—კ. შრ. სახ. კომისარიატმა გამოსცა დადგენილება, რომლის ძალით სეზონობით მომუშავე მუშებს, სეზონის გათავებამდე დათხოვნის დროს უნდა მიეცეთ ორი კვირის დახმარება.

— **დროებითი მუშები.** ა.—კ. შრომის კომისარიატის დადგენილებით, დროებით მუშებათ ითვლებიან გამოურკვეველ სამუშაოზე მომუშავენი რომელიც გასტანს არა უმეტეს ორი კვირისა, და გამორკვეულ სამუშაოზე არა უმეტეს ერთი თვისა. აღნიშნულ პირობებში მომუშავეთ მუშაობის დასრულების შემდეგ არ ეძლევათ არავითარი დახმარება.

— **შვებულების შესახებ** ა.—კ. სახ კომისარიატის დადგენილებით მუშა-მოსამსახურეს შვებულებაში წასვლის წინ, შვებულების ხანგრძლივობის მიხედვით, ავანსათ უნდა მიეცეს წინა თვის საშუალო სამუშაო ხელფასის რაოდენობა. ხოლო საბოლოო ანგარიშის გასწორება უნდა მოხდეს მიმდინარე (შვებულების) თვის საქონლის მანეთის უკანასკნელი კურსით.

— **ადგილიდან დათხოვნის დროს** განხილულ მიზეზთა მიხედვით. დაქირავებულს სამსახურიდან დათხოვნისას არ ეძლევა დახმარება, სამაგიეროთ ის გაფრთხილებული უნდა იქნეს დათხოვნამდე ორი კვირით ადრე, ამ ხნის განმავლობაში მას უფლება აქვს გააცდინოს დრო შრომის ბირჟაში რეგისტრაციისათვის, არა უმეტეს 10 საათის სულ.

— **მეტრიული სისტემა.** მიღებულია ქართ. დივიზიის სასკოლო განყოფილების მიერ სასწრაფო ზომები, რათა 15 სექტემბრისათვის უშემადგენლობას და 1 ოქტომბრისათვის წითელ-არმიელებს შესწავლილი ჰქონდეთ მეტრიული სისტემის საზომები.

— **ახალგაზრდა საერთაშორისო დღესასწაული.** ქართ. დივიზიის პოლიტ-განყოფილებამ დაგზავნა ცირკულიარები ნაწილებში, რომ 2 სექტემბერს ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის დღესასწაულში ქართული დივიზიის ნაწილებმაც მიიღონ მხურვალე მონაწილეობა.

— **უზენაესი სასამართლო.** სრ. საქ. ცენტრ. აღმ. კომ. პრეზიდიუმის დადგენილებით უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეთ დაინიშნა ამხ. ა. თუმანოვი, წევრებათ: ამხ. ამხ. ლ. მიროტაძე, მ. ჩოდრიშვილი, ი. სტანსკი, ა. ფირცხალავა, გ. რთველაძე და გ. ჩხეიძე.

— **აღმოსავლეთ საქ. საოლქო სასამართლო.** აღმოსავლეთ საქ. ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეებათ დაინიშნენ: ამხ. ან. ახმეტელი და ვ. წივწივაძე.

— **სახალხო მსაჯულთა სიები.** სრ. საქ. ცენტრ. აღ. კომიტ. პრეზიდიუმმა მიიღო იუსტიციის სახ. კომისარიატის მიერ წარმოდგენილი სახალხო მსაჯულთა სიები 1923 წლიდან.

— **სასჯელისაგან განთავისუფლება.** სრ. საქ. ცენტ აღ. კომ. პრეზიდიუმმა შეიწყნარა პატიმარი მაშადი ნამაზ-ოღლის თხოვნა, დანარჩენი სასჯელის მოხდის შესახებ გამასწორებელ სახლის ატესტაციის მიხედვით.

— **უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობა.** საქ. აღმ. კომ. პრეზიდიუმმა დააკმაყოფილა უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობა, პატიმარ კოსტა პეტრესძე გოგოლაშვილის სასჯელისაგან განთავისუფლების შესახებ.

— **თიონეთის მაზრის გაუქმება.** სრ. საქ. ცენტ. აღ. კომ პრეზიდიუმის დადგენილებით გაუქმდა თიონეთის მაზრა და წინადადება მიეცა შინაგან საქ. სახ. კომისარიატს წარმოადგინოს ცნობები თუ გაუქმებულ მაზრის რომელი რაიონი, რომელ მაზრას მიეწეროს.

— **შრომის ბირჟა.** 30 აგვისტოს

# მუშათა ცხოვრება

## ახირებული ადგილკომი

(პროფკავშირის საყურადღებოდ).

აგერ სამი თვე გადის მას შემდეგ, რაც ამიერ-კავკას. და საქართველოს ინსპექციის თანამშრომლებმა აირჩიეს შეერთებული ადგილკომი. ამ ხნის განმავლობაში მას ერთხელაც არ მოუწვევია საზოგადო კრება თავის მუშაობის შესახებ მოხსენების გასაკეთებლად და ბევრმა თანამშრომლებმა არც კი იციან, თუ რას აკეთებს ადგილკომი. კულტურულ მუშაობაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. ამ ზაფხულზე მხოლოდ ერთხელ მოაწყო ექსკურსია კოჯორში. ბევრს ფახი-ფუხობდა, რომ ხშირად მოვაწყობთო, მაგრამ დღემდე თანამშრომლებს მარტო დაპირებებით ჰკვებავენ. ზაფხული კი უკვე მიწურულშია.

საღამო-მიტინგი სრულიად არ მოწყობილა.

არც შრომის კომისიის მუშაობა სჩანს.

ადგილკომო, დროა გამოიღვიძო.

მუშკორი გარეშე.

## ამხ. „კამოს" სახელობის თვითმშრომელთა არტელი „ნალი"

ეს არტელი მოთავსებულია თებერვლის ქუჩაზედ № 19. მე თითქმის ყოველ დღე მიხდება ზემოხსენებულ ქუჩით გავლა და, როგორც მუშას, მაინტერესებს ამ არტელის დაარსების ისტორია, მისი მიზანი და სხვ. არტელის დაარსება უკისრნია ერთ ამხანაგს, ვინმე მიკირტიჩიანცს, რომელსაც დიდი შრომის შემდეგ განუხორციელებია კიდეც სურვილი. ამჟამად აქ ეწევიან შრომას 18 ხელოსანი და 3 მოწაფე. თავდაპირველად აქ მოეყარათ თავი 18 ხელოსანს, რომელთაც თავიანთ პატარა წრეში შეუგროვებიათ 25 მილიონი მანეთი. ამ ფონდით დაუწყიათ საქმის წარმოება და ჩვენ როგორც გავეცანით საქმეს ორი თვის განმავლობაში სამოძრაო ფონდი გაზრდილა და თითქმის მიუწევია 4 ნახევარ მილიარდს. ამ ჯამიდან თითო ხელოსანს აქვს წაღებული—ერთს თვეში 150 მილიონი მანეთი. გარდა ამისა მათ აქვთ შეძენილი საკუთრებად—საბერველები, ზინდანები და „ტისკები". ერთი სიტყვით, ამ არტელს დიდი შრომის უნარი ეტყობა. მაგრამ ზოგიერთი გველაძუები ამ არტელს ძირს უთხრიან და ლამობენ მის დამხობას, დროზე შეიტყვეს არტელის წევრებმა მათი ბოროტი განზრახვა. ამ ბოროტ განზრახვის ჩამდენი არიან—არტელის გვერდით მყოფი ხელოსნები, რომელნიც არ შეუთანხმდნენ არტელის ხელოსნებს და განიზრახეს მათთვის წინააღმდეგობის გაწევა. ეს ბატონები ეკუთვნიან „თვითმშრომელთა კავშირს" და მე საჭიროდ მიმაჩნია, რომ ბოროტ-მომქმედ—პირებს არ ჰქონდესთ ადგილი არავითარ პროფ-კავშირებში. ზემოხსენებულ არტელს ჰყავს თავისი გამგეობა, სამი კაცისაგან შემდგარი. გამგეობის თავმჯდომარედ ითვლება ოგანეს მიკირტიჩიანცი, მდივნად—რუბენ ტარაიანცი და მოლარედ ვაჰან მანგასიანი. მათვე ჰყავთ სარევიზიო კომისია, სამი კაცისაგან შემდგარი. თვით არტელში სწარმოებს კულტურული მუშაობაც. აქ არის გახსნილი სამკითხველო და მუშები იწერენ ჟურნალ-გაზეთებს ორ ენაზედ (სომხურ და რუსულზე), რადგანაც თვით-მშრომელნი სომხები არიან. აქვე არსებობს საკომპლექტო კომისია და კულტკომისია. წერა-კითხვის არ მცოდნენი არიან რვა კაცამდე, რომელნიც უკვე შესდგომიან წერა-კითხვის სწავლას, ერთის სიტყვით ხსენებული არტელის შრომა ნაყოფიერია და ჩვენც უსურვებთ მათ წინსვლას და გამარჯვებას.

მუშკორი გ. მ—შვილი.

## მისაბაძი მაგალითი

რევოლიუციის თითქმის პირველ დღიდანვე ყველა ჩვენი ქარხნების მუშა-მოსამსახურეებმა შეიძინეს რევოლიუციონური წითელი დროშა, გარდა „კინო თეატრებისა". თითქოს ეს „კინოები" მუშათა მასებს არ ეკუთვნოდნენ; რადგან დღემდის მათ არავითარი წითელი დროშის შეძენის წყურვილი არ აღძვრიათ. მე მაკვირებს ეს სამწუხარო ფაქტი. ყველა კინოში ადგილკომი და რაიკომები არსებობს—სადაც მუშაობენ შეგნებული ამხანაგები და მიკვირს რად ხდება აგრე, რას ფიქრობენ ან რას აკეთებენ ეს ამხანაგები.

მეორე რაიონის—„კინო თეატრების" რაიკომის მოქმედება კი დიდად გამახარებელი და მისაბაძიც არის. დღიდან მათი არჩევისა გამოიჩინეს სრული რევოლიუციონური მოვალეობა და თავიანთ პირველ სხდომაზედ საკითხი დასვეს რაიონულ წითელ დროშის შეძენის შესახებ და მათ უკვე მიაღწიეს თავიანთ საწადელს. საბჭოთა ხელისუფლების დროს—ზემოხსენებულმა რაიკომმა მიმდინარე წლის 23 მაისში, აამუშავა მეორე რაიონის სამივე კინო, მაგრამ ამ დღის შემოსავალი ძალიან ნაკლები იყო ამისდამიხედვით კიდევ 20 აგვისტოს განიმეორა მუშაობა, რომლის შემოსავალმაც დააკმაყოფილა რაიკომის სურვილი. უნდა ითქვას, რომ რაიკომის სურვილი დიდებულია, მან შეიძინა ჩვენ წინაპართა საუკეთესო ზეთის საღებავით დახატული სურათები. აგრეთვე მშვენივრად მოაწყვეს რბილ სავარძლებით რაიკომის ოთახი, რაც შეეხება წითელ დროშას, ამ რამდენიმე დღეში მზად იქნება ისიც საუკეთესო აბრეშუმის და ოქროს ძაფით ნაკერი.

ამ დროშას ხელოსნების კავშირი გადასცემს მეორე რაიონის კინო-თეატრების რაიკომს.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!

გაუმარჯოს მათ თანამოაზრეებს!

მუშკორი გ. მ—შვილი.

## ჩვენს მუშათა სახლებში.

კვირას, 26 აგვისტოს, ელისაბედის ქუჩაზე, № 6, მუშათა სახლში შესდგა საზოგადო კრება აქ მცხოვრებ მუშებისა. კრება მოწვეულ იქნა ძველი სახლის გამკის ამხ. გრიგორიანცის მიერ და ახალის ამხ. ოსეპიანცის დანიშვნის გამო. კრებას თავმჯდომარეობდა ამხ. გრიგორიანცი. კრებამ მოისმინა რამდენიმე საჭირ-ბოროტო საკითხი, რომელიც დაკავშირებული იყო მუშათა სახლების გამგეობასთან და მის შემდეგისთვის უკეთ დაყენებაზე. ძველი გამგის მიერ მოსმენილ იქნა მოკლე ინფორმაცია საერთოდ მუშათა სახლების მდგომარეობაზე, რამაც ცოტა კამათიც გამოიწვია. ამის შემდეგ საერთო კრებამ ამოირჩია კომისია სამი კაცისაგან, რომელსაც დავალებული აქვს ყურადღებით მოექცეს მუშათა სახლის მდგომარეობას და მოაწესრიგოს წყლის ფულის დროზე გადახდის და ელექტრონით განათების საკითხები და სხვა. აღნიშნულ კომისიას დაევალა აგრეთვე რევიზია მოახდინოს ყოველივე ანგარიშებისა და მასთანვე სთხოვოს ყოფილ ხაზინადარს ამხ. ჯ. ბადარს დარჩეს თავის თანამდებობაზე, როგორც უკვე საქმისთან გაცნობილი, ყოფილ კომენდანტის ამხ. ფიალკოვსკის შესახებ კრებამ დაადგინა გამოეცხადოს მას მადლობა ერთნახევარი წლის უწყინარი და უსასყიდლოთ შრომისათვის მუშათა საკეთილდღეოდ. სახლის შინაგან სამეულში შედიან ამხანაგები: ბიბილაშვილი, მალინინი და ამხ. ქალი დავიდოვა. ამხ. ბიბილაშვილს დავალებული აქვს გასწიოს სახლის კომენდატობა. მუშკორად ამორჩეულ იქნა ამხ. ჯაში.

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ამ სახლში მცხოვრებ ამხ. მუშების ცოლები ძალიან ნაკლები ყურადღებით ექცევიან საზოგადო კრებებს და თითქმის, არ ესწრებიან საზოგადო კრებებს, რაც უნდა ჩაითვალოს მათი ჩამორჩენილობით, საზოგადოდ საბჭოთა აღმშენებლობაში ყველანი ქალიც და კაციც მხურვალე მონაწილეობას უნდა ღებულობდეს. დროა შეიგნოს ეს ამხანაგ ქალებმაც.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ სახლში აქვს ადგილი ფრიად სამწუხარო მოვლენას, ლოთობას, და მასთან დაკავშირებულ დებოშებს, რასაც თვით საზოგადო კრება არ უარჰყოფს; აქ სისუფთავესაც ნაკლებ ყურადღებას აქცევენ მდგმურები რა ნიადაგზედაც ხშირი აყალ-მაყალი ხდება ხოლმე.

სამწუხაროა აგრეთვე ისიც, რომ ზოგიერთი ამხანაგები ექომაგებიან სწორედ ისეთ პირებს, როგორც არიან აქვე ახლო მყოფი გასტრონომიული მაღაზიები და არა[illegible]ალურად მოვაჭრე მიკიტნები. ეს კი ჩემი შეხედულებით არ არის კარგი და თუ რაიმე შეცდომას ჰქონდა ადგილი წარსულში, შემდეგისთვის ნუღარ გავიმეორებთ და ვიმუშაოთ ერთად იმ ხელისუფლების გასამტკიცებლად, რომელმაც მისცა მუშათა კლასს სხვათა შორის ის საშუალებაც, რომ შეძლებისდაგვარად ვწეროთ ჩვენს მუშურ გაზეთებში როგორც ნაკლი, ისე კარგი მხარეები საბჭოთა აღმშენებლობაში.

მუშკორი ჯაში.

## კბილის საექიმო ამბულატორია

(მისი ორი წლის არსებობის გამო)

ს. მ. უ. ს. ლითონის განყოფილების მუშათა სახლში პიროგოვის ქუჩაზე № 3 მოთავსებულია კბილის საექიმო ამბულატორია, რომელსაც განაგებს კბილის ექიმი სევ. ჩარკვიანი და რომლის მოღვაწეობითაც მოწყობილია მუშა-მოსამსახურეთათვის კბილის წამლობა, მახსოვს ჯერ კიდევ წარსულ წელს, სევერიან ჩარკვიანი წარსდგა ლითონის განყოფილების კოლეგიაში ვრცელი წერილობითი მოხსენებით; თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ცხოვრებაში კბილების სისაღეს და მის ჯანმრთელობას, მის წამლობას და მოვლას.

მოხსენებაში ხაზ-გასმით იყო აღნიშნული თუ როგორ მოქმედობს ლითონი მუშებზე, მათ სხეულზე, და კერძოთ კბილებზე და ღრძილებზე. ექიმმა საჭიროდ დაინახა მელითონეთათვის კბილის საექიმო და ხმარების მოწყობა მოწესრიგება, რათა მელითონე მუშებისათვის შენარჩუნებული ყოფილიყო სისაღე და კბილების სიმაგრე.

კოლეგიამ თვისი დადგენილებით დაადასტურა კბილის საექიმო ამბულატორიის გახსნა და აღძრა შუამდგომლობა, სადაც საჭირო იყო.

ეს სიმპატიური საქმე კეთილად დამთავრდა და დღეს ჩვენი ამბულატორია ორმაგად მუშაობს. უკვე შესრულდა 2 წელიწადი, რაც ჩვენს მელითონე მუშებს და მოსამსახურეთ და აგრეთვე მათ ოჯახობას საშუალება აქვთ იწამლონ კბილები თავის ამბულატორიაში.

დღეს-დღეობით ამბულატორია ეკუთვნის საავადმყოფო კასას, იგი აძლევს დახმარებას არა მარტო მელითონე მუშებს, არამედ მთელ მე-2 რაიონში მდებარე ქარხანა-სახელოსნოების და დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეთ და მათ ოჯახობას.

ამბულატორიაში მუშაობა სწარმოებს დილით 8—1 საათამდე და საღამოთი 3—8 საათ. ორ წყებად. ყოველ-დღე ამბულატორიაში ცხადდება 60-დე განმეორებითი კბილით ავადმყოფი და 15-დე ახალი ავადმყოფი.

თვით ამბულატორია მოთავსებულია ფართე სინათლიან ოთახებში, არის საექიმო კაბინეტი, ავადმყოფთა მისაღები და სამორიგეო.

ყველგან და ყველაფერში დაცულია სრული სისუფთავე, სიფაქიზე და წესიერება, არც ერთი ავადმყოფი გაუსინჯავი არ რჩება, დრო [illegible] გადასული იყოს, [illegible] ჩარკვიანი მაინც იღებს ავადმყოფებს და აძლევს საშუალებას მუშა-მოსამსახურეს დაიმშვიდოს კბილის ტკივილი: ჩვენი მელითონე მუშები კმაყოფილნი არიან ასეთი ძვირფასი ექიმით, როგორც სევ. ჩარკვიანი, რომელმაც უკვე დიდი ხანია მთელ მუშებში დაიმსახურა სიყვარული და პატივისცემა. კარგი იქნებოდა მხოლოდ, რომ რიგის მოლოდინში მისაღებ ოთახში იყოს ხოლმე ჟურნალ-გაზეთები ავადმყოფებისათვის.

ეს კი უსათუოდ საჭიროა.

მუშკორი მელითონე.

---

ღრიცხვაზე გამოცხადდა 418, ახლად ჩაეწერა 10, გაიგზავნა 69 უმუშევარი.

— **ტყის გაშენება მთა-წმინდაზე.** კულტურულ ტყის მომწყობი კომისია შეუდგა მთა-წმინდის ტყით გაშენების საქმეს.

— **შეპყრობა.** შეპყრობილ იქნა მე-4 სამილიციო ნაწილში კაქილოტის სახლის სარდაფში დამალული ბოროტმომქმედი იოსებ მარალაშვილი, რომელსაც აღმოაჩნდა „ნაგანის" რევოლვერი.

— **ქურდობა.** მე-11 სამილიციო ნაწილში, ვლადიმერის ქ. № 10, გაქურდეს მოქ. ალექსანდრე ფირანიშვილის ბინა.

## მოხალისე სტატისტიკოს კორესპონდენტთა ქსელის მოწყობა სოფლად

საქართველოს სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს განზრახული აქვს ფართოდ მოაწყოს თემებში და სოფლებში მოხალისე კორესპონდენტთა ქსელი.

ასეთი აპარატის საჭიროება განსაკუთრებით იმით უფრო არის გამოწვეული, რომ საქართველოში არ არსებობს ისეთი სათემო სტატისტიკოსთა ინსტიტუტი, როგორც რუსეთში. მაშასადამე, სტატისტიკის ერთად-ერთი პირველი დაკვირვებითი ორგანოთ საქართველოში მხოლოდ მოხალისე კორესპონდენტთა ქსელი უნდა ჩაითვალოს. მაგრამ მისი მოწყობაც არ არის ადვილი. განსაკუთრებით დღევანდელ პირობებში მისი მოუწყობლობა კი ფრიად ხელს უშლის მიმდინარე სტატისტიკის წარმოებას.

კორესპონდენტმა რომ სინდისიერად შეასრულოს თავის მოვალეობა, საჭიროა მისი დაინტერესება. მისთვის არის ის მოხალისე, რომ ის საქმე რომელსაც ის უსასყიდლოდ ემსახურება, მას აინტერესებს, უყვარს. მაგიერად ის უნდა რითიმე წავახალისოთ, წავაქეზოთ, მისი ცნობისმოყვარეობა დავაკმაყოფილოთ. დღეს მოხალისე კორესპონდენტი ძლიერ ცუდ პირობებში იმყოფება. ის ვერ იღებს გაზეთებს, ვერც სტატისტიკურ გამოცემებს. რასაკვირველია, ასეთ პირობებში ძნელია სტატისტიკოსთა ქსელი დავაყენოთ ჯეროვან სიმაღლეზე. ცხადია, რომ უზრუნველყოფა მოხალისე კორესპონდენტებისა ყველა გაზეთებით შეუძლებელია. მაგრამ უნდა გაკეთდეს ის მაინც, რაც შესაძლებელია. ჩვენ ვფიქრობთ დღევანდელ პირობებში კორესპონდენტი ცოტათი მაინც დაკმაყოფილდება და ეს ცოტა კი უთუოდ უნდა შევასრულოთ.

ამისათვის სტატისტიკის სამმართველომ გადასწყვიტა მიაწოდოს თავის მოხალისე კორესპონდენტებს უსასყიდლოდ გაზ. „მიწის მუშა" და აგრეთვე სტატისტიკური პოპულიარი გამოცემები. ჩვენ ვიცით, რომ ეს ცოტა არის, მაგრამ თუ მივიღეთ მხედველობაში პროვინციაში დღევანდელ გაზეთის წყურვილს, ჩვენ ვფიქრობთ, რომ მოწყურებულ პროვინციელს ჯერ-ჯერობით ესეც დააკმაყოფილებს.

სამმართველომ უკვე მიმართა სათანადო დაწესებულებებს, დახმარებისათვის და დარწმუნებულია, რომ ისინი სრული თანაგრძნობით შეხვდებიან და ხელს შეუწყობენ მას ამ განზრახვის სისრულეში მოსაყვანად.

# პროვინციაში

## ბ ო რ ჯ ო მ ი.

ბორჯომში მოსალოდნელია ეპიდემიამ სტიქიური ხასიათი მიიღოს.

საავადმყოფოს უფროს ექიმთან საუბრის დროს გამოირკვა, რომ ბორჯომში მეტად გახშირდა მუცლით ავადმყოფობა (დეზინტერია). ექიმი ამას ხსნის იმ გარემოებით, რომ ამ ბოლო დროს შეჩნეულია სასმელი წყლის უსუფთაობა, რაც დიდ საფრთხეში აგდებს ხალხის ჯანმრთელობას.

დაინტერესდი და პირადათ ვინახული ის ადგილები, საიდანაც სასმელი წყალია გამოყვანილი; აღმოჩნდა, რომ წყალსადენის აუზები თავსახურიანათ ჩანგრეულია, ვინ იცის რას არ ჰყრიან შიგ. უარეს მდგომარეობაშია წყლის მილები; ის ბევრ ალაგას გატეხილია, და წყლით ცხოველები სარგებლობენ. რა თქმა უნდა ასეთი მდგომარეობა ყოვლად დაუშვებელია. კანალიზაციის საქმეც ასეთივე მდგომარეობაშია და არავითარი ზომები საქმის გამოსაკეთებლად მიღებული არ არის, ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ჯერ ამ საქმეს განაგებდა მამულის სამმართველო, ბოლოს გადმოეცა აღმასკომს, ვინაიდან სამმართველო არ ფიქრობდა მის მოვლაზე; აღმასკომი შეუდგა მსუბუქ რემონტს, მაგრამ მის დამთავრებამდე, რომ საკურორტო სამმართველოს გადაეცა, აღმასკომსაც საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა. ის დარწმუნებული იყო, რომ საკურორტო სამმართველო უკეთეს პატრონობას გამოიჩენდა.

აღმოჩნდა წინააღმდეგი, არავინ თავს არ იწუხებს არც წყალსადენის, არც კანალიზაციის შეკეთებისათვის. და ეს კი მთავარი საქმეა კურორტისათვის.

ისევ აღმასკომმა უნდა იკისროს სახალხო ჯანმრთელობის დაცვის საქმე, თორემ ისე მეტად ცუდი მდგომარეობაა.

რუხაძე.

# მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

## დადგენილება № 105

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი**

**იმ პირთა უზრუნველყოფის შესახებ, რომელთაც განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით სახელმწიფოს წინაშე და რომელთაც შრომის უნარი დაუკარგავთ.**

რათა უზრუნველყოფილ იქნენ ის შრომის უნარ დაკარგული პირნი, რომელნიც ცნობილ არიან თავიანთი დიდი დამსახურებით რევოლიუციონური, საბჭოთა და პროფესიონალურ მოღვაწეობაში, აგრეთვე მეცნიერებისა, ხელოვნებისა, ლიტერატურისა და ტეხნიკის სფეროში, ან რომელთაც თავიანთ მოღვაწეობაში გამოიჩინეს განსაკუთრებული თავგანწირვა და ერთგულება სამსახურებრივი მოვალეობისადმი, სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს გაძლიერებული პენსიები, რომელიც მიეცემა სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის მეშვეობით შემდეგ პირთ:

ა) ვისაც შრომის უნარი დაუკარგავს სრულიად, ან ნაწილობრივ და ვისაც მიუძღვის დიდი დამსახურება რევოლიუციონურ მოღვაწეობაში ან განსაკუთრებული ღვაწლი ტეხნიკის დარგში, უკეთუ ასეთ მოღვაწეობას საერთო სახელმწიფოებრივი ხასიათი ჰქონდა;

ბ) ვისაც შრომის უნარი დაუკარგავს სრულიად, ან ნაწილობრივ და ვისაც თავისი რევოლიუციონური, საბჭოთა და პროფესიონალური მოღვაწეობით თვალსაჩინო სარგებლობა მოუტანია რესპუბლიკისათვის, ან გამოუჩენია განსაკუთრებული თავგანწირვა და იშვიათი ერთგულება სამსახურებრივი მოვალეობისადმი;

გ) ვისაც შრომის უნარი დაუკარგავს სრულიად და ვისაც განსაკუთრებული დამსახურება აქვს მეცნიერებასა, ხელოვნებასა და ლიტერატურაში;

დ) პირველი მუხლის ა, ბ და გ პუნქტებში ჩამოთვლილ პირთა გარდაცვალების გამო პენსია უნდა დაენიშნოს მათი ოჯახის იმ არასრულწლოვან, ან შრომის უნარ დაკარგულ წევრს, რომელიც გარდაცვალებულის სიცოცხლის დროს მის ხარჯზე სცხოვრობდა.

2. დაწესდეს შემდეგი რაოდენობა გაძლიერებული პენსიებისა:

ა) 1-ლი მუხლის ა და ბ პუნქტებში აღნიშნულ პირთათვის სამუშაო ხელფასის საშუალო სატარიფო განაკვეთიდან მაქსიმალურამდე;

ბ) 1-ლი მუხლის გ პუნქტში აღნიშნულ პირთათვის—არა უმეტეს საშუალო სატარიფო განაკვეთისა;

გ) 1-ლი მუხლის დ პუნქტში აღნიშნულ პირთათვის ორი მესამედი იმ გაძლიერებული პენსიისა, რომელსაც გარდაცვალებული სიცოცხლეში იღებდა, ან უფლება ჰქონდა მიეღო.

3. ამა დადგენილებით გათვალისწინებული გაძლიერებული პენსიების გაცემის წესების შემოღებისთანავე, განათლების სახალხო კომისარიატი იმ წესის შესაცვლელად, რომელიც მიღებულია საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის მიერ 1921 წლის აგვისტოს 25 დებულებით—მეცნიერებისა და ხელოვნების დარგში დამსახურებულ მოღვაწეთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ,—დაუნიშნავს და მისცემს პენსიას ზემოხსენებულ დებულებაში აღნიშნულ ყველა პირს მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ მას შრომის უნარი ნაწილობრივ დაუკარგავს, ამასთანავე უკეთუ ამ პირთ შორის უნარი სრულიად დაუკარგავთ, ისინი გადარიცხულ უნდა იქნენ სოციალური უზრუნველყოფის კომისარიატის მზრუნველობად, იმ პირობით კი, რომ შეუძლებელია შემცირებულ იქნეს იმ პენსიის რაოდენობა, რომელიც მათ განათლების სახალხო კომისარიატიდან ეძლეოდათ.

4. ის კრედიტები, რომელიც ზემოაღნიშნული საჭიროებისათვის გახსნილი აქვს ყველა სხვა სახალხო კომისარიატსა და დაწესებულებას, გადაირიცხოს სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის გამგებლობაში და მისვე მზრუნველობას გადაეცეს ყველა ის პირი, ვინც დღეს გაძლიერებულ პენსიას იღებს.

5. გაეხსნას სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს—მისი აღრიცხვით კრედიტი ამა დადგენილებით გამოწვეული საჭიროებისათვის.

6. მიენდოს სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს, ორი კვირის განმავლობაში დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა, გამოსცეს ინსტრუქცია ამ დადგენილების შეფარდების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიავა.

სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარი კ. ხომერიკი.

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი ალ. სალარიძე.

1923 წ. აგვისტოს 25.

ტფილისი—სასახლე.

# პარტიული და საბჭოთა კალენდარი

## პარტიული.

### ყველა რაიკომებს.

— ტფილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების შენობაში 5 საათიდან საღამოს 8 საათამდი სწარმოებს წევრებათ ჩაწერა საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოებაში.

საზოგადოების წევრობა შეუძლია ყველას, გარდა სასამართლოში ჩირქ მოცხებულთა.

გადასახადი 3 ჩერვონეცის მანეთი წელიწადში. გადახდა სწარმოებს სამ წილათ.

სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება წინადადებას იძლევა გახსნილ იქნეს წევრებათ ჩაწერა წარმოებებში, ადგილკომების საშუალებით. საწევრო ბილეთების მიღებისათვის უნდა გამოცხადდენ რწმუნებულთან სიით და შეგროვებულ ფულებით. ბილეთები დამზადებული იქნება ერთი-ორი დღის განმავლობაში და გადაეცემა დანიშნულებისამებრ. ყოველგვარ ცნობებისათვის მიმართეთ საქმის მწარმოებელს მარგანიძეს ტფილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში 5 საათიდან საღამოს 8 საათამდი.

ეხლავე დაჩქარებით სწარმოებს მუშაობისა და წესდების გეგმის გამომუშავება და როდესაც დამთავრებული იქნება ეს სამუშაო და საორგანიზაციო კომისია დაამტკიცებს მათ—მოწვეული იქნება ნამდვილ წევრების საერთო კრება საზოგადოების საბოლოო ჩამოსაყალიბებლათ და წესდების დასამტკიცებლათ.

ამის გამო საჭიროა აქტიური კამპანიის გატარება საზოგადოების წევრებათ ჩაწერისათვის.

ტფილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფ. გამგე მ. ესსენი.

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ე ბ ი

ცეკავშირის თანამშრომელთა ადგილკომი ამით აუწყებს კულტკომისიის წევრის

**ზაქარია პავლეს ძე ტოგონიძის**

უდროოთ გარდაცვალებას. გამოსვენება ანტონოვის ქუჩიდან № 10 კვირას, 2 სექტემბერს, დილის 10 საათზე; დაკრძალვა წმინდა ნინოს სასაფლაოზე. (1150—1—1)

ცეკავშირის თანამშრომელნი ამით აუწყებენ დაუვიწყარი ამხანაგის

**ზაქარია პავლეს ძე ტოგონაძის**

უდროოთ გარდაცვალებას. გამოსვენება ანტონოვის ქუჩიდან № 10 კვირას, 2 სექტემბერს, დილის 10 საათზე; დაკრძალვა წმინდა ნინოს სასაფლაოზე. (1150—1—1)

ღრმად დამწუხრებულნი და გულდათუთქულნი: დედა ნადია, მამა ამბაკო, ძმა ვასილ, და ოლია, ბიძა ბესარიონ და ბიცოლა ანეტა ცეცხლაძეები, და კატუშა და სიძე ნოე ჩხატარაიშვილები აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობებს მათი ძვირფასი მე-8 კლასის მოწაფის

**ალისტრახოს**

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება კვირას, 2 სექტემბერს, 4 საათზე, ოზურგეთში ქალაქის სასაფლაოზე. (1147—1—1)

კვირას, ორ სექტემბერს, ქ. ქუთაისში, საფირჩხიის სასაფლაოზე გადახდილ იქნება ექვსი თვის წირვა და პანაშვიდი

**დავით კონსტანტინეს ძის მიქელაძის**

სულის მოსახსენებლათ, რასაც აცხადებენ მწუხარებაში მყოფნი დები და შვილები.

## ალმასკომის პრეზიდიუმი

აცხადებს იმ საბჭოს წევრთა საყურადღებოთ, რომლებიც ჩაწერილი არიან კომუნალურ სექციაში, რომ კომუნალურ სექციის სხდომა, რომელიც **დანიშნული იყო 20 აგვისტოს** და არ შესდგა სექციაში მომუშავეთა ამხანაგების უმრავლესობის დაუსწრებლობის გამო, **დანიშნულია** ამა წლის **3 სექტემბერს**, საღამოს 6 საათზე, ალმასკომის დარბაზში.

დასწრება სავალდებულოა.

(კრ. 592—2—1) პრეზიდიუმი.

**რ. ს. ფ. ს. რ.**

პურით და სასოფლო-სამეურნეო სხვა პროდუქტებით მოვაჭრე სააქციონერო საზოგადოება

**„ხლებოპროდუქტი"**

ტფილისის კანტორა

რუსთაველის პროსპ. № 9 ტელეფ. 14—47 და 7—14.

**მუდმივად არის**

საწყობებში ფქვილი, ბურღული, მაკარონი,

**მიიღება დავალებანი**

სახელმწიფოებრივ და კოოპერატიულ დაწესებულებათაგან რუს. საბჭოთა სოც. ფედ. რესპუბლიკიდან ფქვილის, ხორბლის და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების

**მისაწოდებლად.**

(კრ. 587—3—1)

**საქართველოს ს. ს. რ. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის**

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

24 აგვ. 1923 წ. № 8478.

1. ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზედ სამედიცინო საქმე მათ [illegible] ცნობილ იქმნას სავალდებულოთ ყველა გარდაცვალებულთა გვამების პატოლოგო-ანატომიური გაკვეთა, თანახმად კლინიკის გამგის განკარგულებისა.

2. ცნობილ იქმნას აუცილებელ საბჭოთა საავადმყოფოებში გარდაცვალებულთა გვამების პატალოგო-ნატომიური გაკვეთა, თანახმად საავადმყოფოს მთავარ ექიმის განკარგულებისა, თუ საავადმყოფოსთან არის მოწყობილი პროზექტურა.

3. გვამის გაკვეთის წესი განიმარტოს სპეციალური ინსტრუქციის მიხედვით.

ჯანმრთელობის სახ. კომისარი გრ. კუჭაიძე.

საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგე გოცირიძე.

590—1—1 სამკურნ. განყ. გამგე ჯაფარიძე.

**ს. ს. ს. რესპუბლიკის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სავალდებულო დადგენილება**

## განცხადებათა და რეკლამების შესახებ

13 აგვისტო 1923 წ.

1. ჯანმრთელობის ორგანოებს ევალებათ ყოველგვარ განცხადებების და რეკლამების წინასწარი ცენზურა თუ ისინი ეხებიან: ა) სამკურნალო საშუალებათა ვაჭრობას სამკურნალო ხელსაწყოების და მათი მოხმარება-მოქმედებას. ბ) საჰიგიენო, საკოსმეტიკო და სხვა საშუალებებს. გ) განცხადებებს მედიცინის ამა თუ იმ დარგში პრაქტიკის გაწევის შესახებ საექიმო პერსონალის მიერ: ექიმებისა, კბილის ექიმებისა, ექიმთა თანაშემწეების, ბებია ქალების, მასაჟისტების, ფარმაცევტთა და სხვა. დ) კურორტების, სამკურნალო და სასადილო წყლების.

შენიშვნა: მუხლს გ) ეკუთვნიან აგრეთვე განცხადებები, ფიცრები და სხვა, რაიც გამოკრულია ბინის კარებზედ კერძოდ მომუშავე სამკურნალო პერსონალის მიერ.

2. ბეჭდვითი ორგანოების მიერ არ უნდა იქმნეს მიღებული გამოსაქვეყნებლათ ყველა 1 მუხლში ჩამოთვლილი განცხადებები, ანუ რეკლამები თუ არაა მათზედ წინასწარ ცენზურა ჯანმრთელობის ორგანოებისა.

3. მაზრის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილებებს ეძლევათ უფლება ამა დადგენილებით მხოლოდ მუხლი „გ"-ს შესახებ ნება დართვისა, დანარჩენთა მიმართ ნებართვებს აძლევს მხოლოდ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი თავისი საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების მიერ ჯ. ს. კომის. სხვა დაინტერესებულ განყოფილებასთან შეთანხმებით.

4. მაზრის ჯანმრთელობის განყოფილების მიერ ნება დართული განცხადებები შესაძლებელია გამოქვეყნებულ იქმნას მხოლოდ სათანადო მაზრის ან ქალაქის ფარგლებში.

5. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ ნება დართული განცხადებანი გამოიქვეყნებიან რესპუბლიკის ფარგლებში.

6. ნებართვა შესახებ განცხადებების გარეგნული სახის, ფორმის, გამოხატულებისა (პრეის-კურანტები, ფურცლები, წიგნაკები, განცხადება შრომის წინადადებაზე და სხვა), მიეცემა ჯანსახკომის მიერ მიღებულ ფორმების მიხედვით.

7. იმ განცხადებებში, რომელნიც ეხებიან საექიმო პერსონალის მიერ საექიმო პრაქტიკის გაწევას აკრძალულია მოთავსება რაიმე ქებისა, რა ფორმითაც იგი არ გამოიხატებოდეს მათში უნდა გამოცხადდეს მხოლოდ გვარი, სახელი და მამის სახელი, წოდება და სპეციალობა, მისამართი და მისაღები დრო.

**ჯანმრთელობის სახალხო კომისარი გრ. კუჭაიძე.**

**საორგანიზაციო-საინსტრუქ. განყ გამგე გოცირიძე.**

კრ. (501—1—1)

განათლების სახალხო კომისარიატის მუშათა ფაკულტეტის სექტორის განკარგულებაში არსებული **ბუღალტერიის პრაქტიკული კურსი**

**ი. ფ. პალატნიკოვის**

პლეხანოვის პრ. № 132.

**სწარმოებს მიღება ახალ ჯგუფებზე.**

მეცადინეობა დაიწყება 20 ენკენისთვე.

კურსების გამგე ი. პალატნიკოვი.

0—37

ЦЕНТРАЛЬНАЯ КОНТОРА ПАРТИЙНО-СОВЕТСКОЙ ПРЕССЫ ГРУЗИИ

(бывш. Газтрест) Руставельский пр. № 26, доводит до сведения подписчиков, что ею

ОТКРЫТ прием подписки на

## МОСКОВСКИЕ ГАЗЕТЫ:

**На сентябрь месяц цены назначены в червонных рублях.**

| | Р. | Коп. |
|---|---|---|
| Известия Ц И К С. С. С. Р. | 1 | 65 |
| Правда | 1 | 65 |
| Беднота | 1 | 30 |
| Экономическая жизнь | 1 | 65 |
| Труд | 1 | 65 |
| Рабочая Москва | 1 | 40 |
| Гудок | 1 | 40 |
| Кооперативное Дело | 1 | 20 |
| Рабочая Москва с Крокодилом | 1 | 75 |
| Красная газета | 1 | 40 |
| Торгово-Промышленная газета | 1 | 65 |
| Накануне | 1 | 75 |
| **ЖУРНАЛЫ** | | |
| Безбожник | | 90 |
| Красная Нива | 1 | 50 |
| Огонек | 1 | 50 |
| Прожектор | | 90 |
| Эхо | | 90 |
| Всемирная Иллюстрация | | 90 |
| Дрезина | | 90 |
| Крестьянка | | 90 |
| Работница | | 60 |

**ელექტრონის სინათლის**

## სამკურნალო

საწოლებით რენტგენი [illegible]

**მიხეილ ბედევანიშვილის** სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ [illegible] ექიმობას საჭიროებენ.

საავადმყოფო სწარმოებს **ექ. სვიმონ ყიფშიძის** ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. (501—25—6

**დაიკარგა** პირადობის მოწმობა მოქალაქე არუთინ ზაქარიას ძე ავაქოვის სახელზე № 18049. ჩაითვალოს გაუქმებულათ. (1146—1—1)

**დაიკარგა** პასპორტი, მიღებული ერევანში თახარ ტაღი-ოღლის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. (1145—1—1)

**დაიკარგა** პირადობის მოწმობა № 2339 მოცემული ა | წ. 21 აგვისტოს ახალსენაკის მაზრის მილიციის უფროსისაგან კიმოთე იესეს ძე ცანავას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. (1148—1—1)

**დაიკარგა** საქართველოს სამკურნალო-სანიტარო მუშაკთა კავშირის წიგნაკი № 660 ალ როსტომბეკოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. (1144—1—1)

[illegible] სტამბა, [illegible] ქუჩა № 4.